

652
1965/3.

0410367
302-01901

Handwritten text in a stylized script, possibly a signature or title, spanning across the orange and cream background.

Large, stylized, white, calligraphic characters or symbols arranged horizontally on the orange background.

19565



ლიტერატურულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ - პოლიტიკური
შურნალი

საქართველოს მწერალთა
კავშირის აჭარის
განყოფილების ორგანო

შ ი ნ ა ა რ ს ი

გ. ლეონიძე — ლექსები	3
ნ. ჩხაიძე — მეფუტყრე (მოთხრობა)	8
ფრ. ხალვაში — ლექსები	19
ი. ზენიძე — გზები და გზაჯვარედინები (დოკუმენტური მოთხრობა)	21
ჯ. ჯაქელი — ლექსები	39
გი დე მოკასანი — წუთისოფელი (რომანი, გაგრძელება)	41

ლიტერატურული კალენდარი

ალ. გოგორენიძე — იაკობ გოგებაშვილი და ქართული ლიტერატურა	56
გ. სალუქვაძე — სერგეი ესენინი	61
ს. ესენინი — ყვავილები (ლექსი, თა- რგმანი გ. სალუქვაძისა)	63

პრიტიკა და კუპალიციტიკა

ალ. ჩავლიშვილი — მხატვრულ ოს- ტატობის თეორიული საკითხები	67
შ. შურიძე — დრამატურგიის გზა	74

საქმეზგარი
ოქგომგარი

აჭარის შურნალ-გაზეთების გამომცემლობა



აპარის წარსულიდან



ლ. შარაშიძე — მგზნებარე რევო-
ლუციონერი 80

ფოლკლორი

ალ. მსხალაძე — ძეგლის ლექს-
სიმღერები 85

სატირა და იუმორი

პაიზ ნესინი — მიზოძეთ, რასაც ინებებთ
(მოთხრობა, თურქულიდან თარგმნა
ნ. გვარიშვილმა) 93



რედაქტორი შოთა ქურიძე

სარედაქციო კოლეგია:

ხ. ახვლედიანი, ნ. გვარიშვილი, მ. ვარშანიძე (პ/მგ. მდივანი),
პ. ლორია, ალ. ჩავლეიშვილი, ფრ. ხალვაში.

რედაქციის მისამართი: ბათუმი, გოგებაშვილის ქ. № 24.
ტელეფონები: რედაქტორის — 33-71, პ/მგ. მდივნის — 33-72.

გიორგი ლონია

ს ა მ შ ო ბ ლ ო ს გ უ ლ ო

1.

ვაზდაბურულო,
გაზაფხულურო,
სიკვდილისათვის გზადაბურულო,
გთხოვ ერთი სიტყვა მეც დამანებო...
ადგილის ფუძევ,
ჭყონდიდის მუხავ,
ბაზალეთურო ლერწმოვანებო!
ქართლის რძეო
და კოლხიდის ღალავ,
ტკბილ ძუძუსწყაროს ღვართა დუდილო,
მიწავ, კუნთი რომ არ მოგელალა
და ქვეყნად გაჰქუხს შენი პურ-ღვინო!
მომძახის ზეცა მარაგვიანი,
მტევანელვარე ვაზი ურიცხვი,
მიყვარს სიმღერა არაგვიანი,
არ ვიგვიანებ სიყვარულისთვის.
როგორც ზღვის წყალით ძღება ღრუბელი,
ისე მეც მიწის ორთქლით ვიზრდები,
გვალვა რას მიზამს გადამბუგველი,
მბანენ ჭოროხის
და მტკვრის ზვირთები.
ახლოს მოიწი, სამშობლოს გულო,
სითბო მსურს შენი....
მცივა უშენოდ.

ეგების მარგო, რომ სავარგულო,
ადგილის დედას რითმე ვუშველო!

2.

ფრესკათ ღიმილნო,
ცეცხლის თვალეზო,
მე რომ ვერ ვთბები
თქვენს უალებოდ:
თბილისო,
მსხვრეულ ნარიყალათი,
რომ არ იცოდა,
ერის ღალატი!
დედას თონეო,
რუსთავის ბრძმედო
და მოდანდგარე
ნავსადგურებო,
თმოგვის,
ვარძიის
ჩაბდღვნილო მკერდო,
დიდოსტატების
ნასადგურალნო!
ქვებო, თამარის
სუნთქვით მსუნთქველნო,

მთებო, რომ ვერა ვმღერი
უთქვენოდ...

ფიქვის ძუძუე
და ცაცხვის სურნელო,
მთაწმინდის იავ,
გმირთა მზრუნველო!
და გორის ციხეე, გაუტეხელო,
არმაზო, დავლაე სალამანდრების,
სისხლო სულისა გულის მერხვეო-
ბროლნო,
ზურმუხტნო, წვიმა-ავდრების,
ჩონგურის ყელო,
აკვნის ფიცრებო,
ქალიშვილების ნაზნო მზერანო,
რუსხმულთ ჩქერანო,
ქართლის მერანო, —
მომეშველენით!
მას გეხვეწებით,
მინდა ვთქვა ლექსი
თქვენი შეწევნით!

3.

წარსულის ცრემლო,
მომავლის ცეცხლო,
მამათმთავრებო, —
შუქის კაცებო,
წამით მაჩუქეთ
სიცოცხლე თქვენი,
და თუ ვერ ვიტყვი
სიტყვას აწეულს, —
მომეცით ნება,
მომეცით ნება,
თქვენი გულისხმა
ვაქვეყნიერო...
თქვენი მკლავები
ჩემს გულზე დნება,
რომ ჩემი სიტყვა

გააფხვიერონ!
რომ იერიშით
ლექსი ავიდო,
აღტეხილებით,
გულახურებით:
სადაც გინდ ვიყო,
სადაც არ ვიყო,
მარად ჩემს მამულს
ვემსახურები!
დე, ჩემი სიტყვა
კრთოდეს უკუნში,
დე, ელვარებდეს
ქართლის მახვილში;
დე, მთებმა ჩართონ
თავის გუგუნში,

მინდვრებმა —

თავის გამოძახილში!

ხომ ვაზის რქა ვარ

მეც ნართვლევალი,

ლექსებზე ღამეგანათევარი!

თუ კი ვიტყოდე

სამშობლოს სათქმელს,

მეც ავენთები

მცირე ცვილადო.

მზე ჩემი წილი

მეფრქვევა სარკმელს,

ისიც სამშობლოს მიუწილადო!

წინაპართა შემოხედვანი

ხან სევდიანი წარსულისაც თუ ვარ მხედარი,
შორეულ ელვამ თუ კალამი დამისხიურა, —
მე გულს მესობა წინაპართა შემოხედვანი,
უწყალო მზერა მე მამოწმებს ყოველდღიურად!

ორპირ მახვილის უბასრესი გამკვეთელობით
შუა გამიყო სისასტიკით სული და ტვინი, —
მე აღარ ვიცი, სახლი ჩემი ვამკე ხელობით
თუ შევურაცხეპყავ...

ეს ლექსია თუ ფარატინი?

მწარედ მაწუხებს,

მამარწუხებს სიშიშველ ძნელი!

სამშობლოს კოშკის გამოვდექი უღონო მცველი!...

დღითა თუ ღამით, მაინც ნობათს არ დავცდენილვარ,

ვდგევარ

აჩრდილნი, სადაც ხმლებით გადაწვენილან...

ბოლნისის ძვა გეხუთე საუკუნისა

რამდენი ასო მე წამიკითხავს,

ამაო, მტვერზე თვით უმტვერესი...

რამდენი სიტყვა ყოფილა ფითხნა

და რამდენს არა ჰქონია ფესვი!

გულამომქრალი კაცის ნაწერი,

რომ უნდა გაჰქრეს, — წესია, წესი!

მაგრამ... ეს მგრგლოვან ასოთა მწკრივი,

წინაპართაგან ღვაწლით ნამცნები,

ამონაკაწრი, თითქოს არწივის,

ნასეტყვარი და ხანძარნაწვენევი, —

უკვდავებაა, როგორც კურთხევა...

ერის ძარღვიდან ამოკვეთილი

და ისევ ისე მდგარი ურყევად,
დასაყრდენია ერის კვერთხივით...
შიგ მოსჩქევს სისხლი, შიგ ცეცხლი ჰყვავის,
შიგ იფურჩქნება დილის ყვავილი...
უხვად სცოდნია რთველი და ხვავი,
ნოყიერება მსუყე ყამირის...
ქართლის გონების ბალავარია,
ძვრას ვერ უზამდა ქამი შავბნელი:
საუკუნეთა ფალავანია,
უაბჯარო და დაუჯაბნელი!
ვემთხვევი ქვას და მის მადლს ვილოცებ,
დამლოცოს, მადლი გამომატანოს!
იდიდე ქვაო, ასოვ, — ძელქვაო,
საქართველოსთან თანამართალო!

მატენდარანი

მზის შადრევანი, —
ერევანი.
მატენდარანი.
თეთრს პერგამენტზე წამწამები შავათ დახრილი...
— უწყალო იყო ისტორია!
შველა არ არი!
ასსარგადონი...
ქალაქები ფუძედათხრილი...
შენც უწყალო ხარ,
შავს თვალებში არა თენდება!
შენ თვითონვე ხარ — ჯვარზემცემელი,
თავისმკვეთელი!
არეზის ზვირთებს,
ზვარტნოცის მტვერს ნისლი ედება,
ჰსწვეთს წყლულის წვეთი
და ქვითინებს ანის კედელი...
დადე ეტრათი...
განკითხვანი შენი მწყურია...
დასტოვე ყველა ნაღმერთალები!
აქ მიწა ხანჯლის, შუბის წვერით
მოკირწყლულია,

* მატენდარანი — სომეხთა ძველი მატთანეების საცავი ერევანში.

მე კი დავმწვარვარ შავ თვალების
ნაღვერდალებით...

— დაიწვი ასჯერ, დაიბუგე,

შველა არ არი!

მეჩურჩულება სიჩუმეში მატენდარანი...

ასსარგადონი...

ქალაქები ფუძედათხრილი...

თეთრს პერგამენტზე წამწამები შავათ დახრილი...

კ ა რ მ ე ნ

რომელ ქარიშხალს ჩამოსტყდი ნეტავ, —

ცეცხლის ნატეხად, —

ქალი და ხმალი!

ისევ ჟღრიალებს კასტანიეტა,

ბაბილონზე მეტს სძლებს შენი ხალი!

ამოღებული სატევრის ელდავ,

ვინ არი შენი კოცნის დამთვლელი?

ვთვლიდი, დავიწვი...

ვერ გამომნელდა...

ზარხოში ცეცხლის ღვინით დავთვერი!

წარბქამანდებით ნაცნობი სახე...

გრიგალთა ვნება წარუმართველი...

შენი ხანჯლური სევდაც ხომ ამხელს,

კარმენ, ბასკი ხარ, ვგონებ, ქართველი!

და თუ ასეა...

გახსოვს მუხრანი?

დანაყულ ხმალზე სისხლის კურცხალი...

მთვრალი ყივჩაღი გზად მობუღრავე,

მტვერში ღრიალით დანამუხლარი.

ვაი, თუ ავი სიზმარი ახდა,

ტორეადორი დაეცეს მხოლოდ;

ვაჰ, თუ თავიდან იწყება ახლად,

ის, რაც გათავდა მუხრანის ბოლოს...





ნაკი ჩხაიძე

მ ე ფ უ ტ კ რ ე

ივნისი დაიწყო თუ არა, მე და დედაჩემმა ბახმაროსაქენ ავიკარით ბარგი-ბარხანა.

მთელი თვე მზიანი ამინდი იდგა და კურორტზე თოვლი მთლიანად ამდნარიყო. საყორნისა და მზისამოსავალ გორაზე თუმცა ისევ ქათქათებ-და თოვლის უწყვეტი საბანი, მაგრამ სუსხი თითქმის აღარ იგრძნობოდა. ბახვისწყლის ჭალაში, ნაძვნარიდან მოჩხრიალე ღელეების ღარტაფებში ინგირი და რძიარძია წელამდე ალორთქილიყო.

მესამე წელია არ ვყოფილვარ ბახმაროზე. მანამდე კი ყოველ ზაფხულს აქ ვატარებდი. შემდეგ სტუდენტი გავხდი, საწარმოო პრაქტიკამ აღარ გამართვა საშველი და ჩემს საყვარელ კურორტზე ასასვლელად დრო აღარ მრჩებოდა.

სამაგიეროდ წელს ადრიანად წამოვედი. დედაჩემმაც მხარი ამიბა და აჰა, თოვლისაგან ახალგამშრალ მიწას პირველებმა დავადგით ფეხი.

ჩვენი სახლი ღელეს გაღმაა, შიგ შუა ნაძვნარში შეფარებული. მანამდე ცერივით დაკიდებული აღმართი უნდა ავიაროთ. ხელბარგიც ბლომად გვაქვს.

ზედ სახლის მისასვლელთან ფუტკრის მთელი ლაშქარი გადამეღობა. ბზულით შემაფრინდნენ და წინ აღარ მიშვებდნენ. იქვე, პატარა მინდორზე ვილაცას ლამაზად ჩაემწყრივებინა ასამდე სკა. ჩემი ხელით გამოთხრილი ფრენბუთრის მოედანი და სალამპრო სულ სკეებით მოეჭანდრათ.

— ვინ ოხერმა მოყარა ამდენი სკა მაინცადამაინც ჩვენი სახლის წინ... რა ტყუილად წამოვიღე ბურთი! — გამკენწლა გულში.

ძლიერ გამიკვირდა, ბინაც ღია რომ დამხვდა. შიგ შევბრახუნდი. ჩემს საწოლზე ვილაცას ლოგინი გავშალა, პირადმა გამოტილიყო და არხეინად ხვრინავდა.

ჩავახველე. ხმა არ გაიღო.

— ეს ვინ ოხერი გაშლართულა ჩვენს ოთახში და გაღვიძებასაც არ ჯადრულობს, — ბრაზი მომივიდა და კარი გავახრჩიალე. როგორც იქნა, უცნობი შეიშმუშნა, მაგრამ საბანი კიდეც უფრო წაიხურა თავზე.

— გამარჯობა შენი! — ხმას ავუწიე.

მან ქერა, ხუჭუჭთმიანი თავი ძლივს გამოჰყო საბნიდან და ძილისაგან დასიებული თვალები აახამხამა.

— ეს ბინა ხომ ანზორ შაქარიშვილის არის? — განგებ დავუსახელე ჩემი სახელი და გვარი.

— დიხა... შაქარიშვილის გახლავთ... — თვალების ფშვინით წამოხტა იგი... — თქვენ გამოგაგზავნათ, ხომ? — ისე აუკანკალდა ხმა, თითქმის ბოდიშს მიხდიდა, დღემდე ადგილი წაგართვი და არ გეწყინოსო. სიცივისაგან თუ სირცხვილისაგან აცახცახებული ხელებით გახუნებული შარვალი გადაიცვა და ძველ ჩექმებს წაეტანა.

— მე თვითონ გახლავარ ანზორ შაქარიშვილი. თქვენ ვინ ხართ? აქ საიდან მოხვედით? — ხმა შევიცვალე, ირონიულად გადავხედე და ოთახში თამამად გავიარე.

— მასე გეთქვა, ძამია, თავიდან. შაქარი და თაფლი არ მოშორდა ჩვენს გვარს, — სცადა გაღიმება მან. — მეც შაქარიშვილი ვარ, მარა ლანჩხუთის რაიონიდან, სხვა შაქარიშვილების ჯიშის. მეფუტკრედ ვმუშაობ. წელს ჩვენმა კოლმეურნეობამ ბუქნარის ქუჩიდან აქეთ გადმოიყვანა სკები. აქანა უფრო მეტი სამუშეურიოა, ბევრი ყვავილი იცისო და მეც გადმოვყვეი. ცალკე კარავი ჯერ ვერ ავაშენეთ. თქვენზე მითხრეს, კარგი ხალხიაო, არ ეწყინებათო და გავბედე დროებით ამ ოთახში შემოსვლა. ძალიან შეკრუული ბინა გქონიათ. სული პირდაპირ ხელდახელ გამომატანია ყინვებში. ახლა დათბა, ორი დღეა, თვარა ძვლებს მამტვრევდა, იმფერი ყინვები იყო. მალე კარავსაც ავაშენებთ და გადავალ... მარტო ამოდი?

— არა, ჩვენ ბევრი ვართ. აგერ, დედაჩემიც მოდის, მალე სხვებიც ამოვლენ.

— მთლად თქვენებური არ ვარ მარა, თქვენი გვარის ვარ და...

— მერე რა... ახლა ჩვენც ამოვედით დასასვენებლად. არ დავისვენოთ თუ?

— კი, ბატონო, როგორ გეკადრებათ... ფუტკარს ვერ მოვშორდები და ერთი საწოლი თუ დავრჩებოდით თავისუფალი, დიდხანს არ შეგაწუხებდით. კოლმეურნეობის თავმჯდომარე შემპირდა, კარავს მალე აგიშენებთო...

— არც ერთი საწოლი არ დავგრჩება თავისუფალი... ჩვენ ისედაც ბევრი ვიქნებით. აგერ დედაჩემიც მოდის... ფუტკრები მოგვაშორეთ აქედან. ბურთის თამაშზე შემომიღის ხელს. მთელი მინდორი დაგვიკავებიათ.

— ბურთს, ძამია, ეგერ, დაბლა უფრო თავისუფლად ითამაშე... — ლელის პირში დოღი გაიმართება, იმხელა მინდორია გაშლილი.

— ლელის პირში თქვენ მიბრძანდით თქვენი სკეზით... — გავჯავრდი მე. კიდევ მინდოდა რაღაცა უხეში მეტყვა, მაგრამ დედაჩემმა ხელბარგი ვეღარ ამოათრია აივანზე და მისახმარებლად დამიძახა.

მეფუტკრემ დამასწრო და ხელბარგს თვითონ ჩაეჭიდა.

— უცხო სტუმარი გვყოლია? — გაიკვირვა დედაჩემმა და მეფუტკრეს ახედ-დახედა.

— იცნობ ამ კაცს? — ვკითხე მე.

დედაჩემმა უფრო გულდასმით შეათვალიერა ხაკის შარვალ-ხალათსა და ძველ ჩექმებში გამოწყობილი, სახეწამოწითლებული, წვერგაუბარსავი მეფუტკრე და ხელბარგს დაუწყო გახსნა...

— არ ვიცნობ, ჩვენებურს არ ჰგავს. ისე კარგი ვაჟკაცი ჩანს...

— მეფუტკრე ყოფილა... მაგიც საქარიშვილია, ლანჩხუთელი. ჩვენთან დარჩენა უნდა. კოლმეურნეობამ კარავი ვერ აგვიშენაო... ჩვენ კი სად გვაქვს მაგის ადგილი... — და დედაჩემს თვალით ვანიშნე, შენც უარი უთხარი-მეთქი.

— მერე რა უჭირს... დარჩეს.. ცოტა ჩვენი გვევირვით და სამივე კი დავეტყვი ამ ოთახში. მით უმეტეს, ჩვენი გვარის ყოფილა. ლანჩხუთელი და ჩოხატაურელი საქარიშვილები რამ გააჩნია. აბა რაფერ გინდა, შვილო? მეფუტკრე რომაა, იმიტომ ხის ძირში ხომ ვერ გაათევს ღამეს? მაგიც ადამიანია. კოლმეურნეობის ქონებას ღეთის ანაბარად ხომ ვერ მიატოვებს?!

გემრიელად გაეღიმა მეფუტკრეს. ბექებშიც გაიმართა. გაუბარსავი წვერ-ულვაში, აბურძგნული ხუჭუჭი თმა თავისთავად დაეწყო და ხელბარგს მარჯვედ ჩააფრინდა გასახსნელად.

— თქვენ ნუ შეწუხდებით, ქალბატონო... დაბრძანდით... მე დაგეხმარებით. ბარგს მე ამოვაწყობ. — ლაპარაკდა იგი და ფერზეც მოვიდა.

დედაჩემმა დაწვრილებით გამოჰკითხა მეფუტკრეს ვინაობა და დაამტკიცა, რომ ლანჩხუთელი საქარიშვილები ჩვენი ძველისძველი განაყოფი ყოფილან, რომ იგი ჩვენი შორეული ნათესავი იყო.

მე ხმა არ ამომიღია. დედაჩემსა და მეფუტკრეზე გაბრაზებულმა აივანს მივაშურე.

შუადღის ცხრათვალა მზე აჭერდა და უკვე სულის შემხუთავად ცხელოდა.

გაღმა, ბაისურას კალთებზე სქელი ნისლი ჩამოწოლილიყო. ადიდებული ბახვისწყალი კლდეებს შორის ზათქით მიღრიალებდა.

ბუქსიეთისა და უჩხუბის ქუჩებისკენ დამსვენებლებით სავსე ავტობუსები მოგუგუნებდნენ.

— სად უნდა ვითამაშო ბურთი, ყველგან სკა რომ ჩაუდგამთ...
დაჩემის გასაგონადაც ამოვიღრინე...

— პატარა მეიცა... დეისვენე... გამოშუშდი... ამ ბარგს ამოვალაგებთ და მერე ღელის პირში ერთად წავიდეთ ბურთის სათამაშოდ... მეც წამოვალ... განოვეყყენდი კაკალი კაცი ამ ოთხ კედელში მარტო ყოფნით! — თვალი ჩამიკრა კარის ძარძმოზე ასვეტილმა მეფუტკრემ.

— ბიჭოს! ეს ნამდვილად ძველი ფეხბურთელი იქნება! ცენტრალური თავდამსხმელი! — ცერად გავხედე ჩექმებში გამოწყობილ ოცდაათი-ოდე წლის კაცს.

უცებ დახშული გუგუნი შემომესმა, თითქოს სადღაც ხრამში ჩავარდნილი მანქანა ბუქსაობდა. სკებისაკენ გავიხედე. მზის სხივებზე ათასობით ფუტკარი ჭიანჭველებივით არეულიყო და ერთ ვეებერთელა ნაძვს მისეოდდა.

— უჭკუო ფუტკრები გყოლია. ცუდად გამოგიზრდია. ვერ გამოგიყვანია თარაზოში... ყვავილების ნაცვლად ნაძვის წიწვებზე დაეძებენ თავფლს. შორს გაფრენა ეზარებათ... აბა შეხედე! — ვცადე მეფუტკრის გამოკვარება.

მეფუტკრე გარეთ გამოვარდა, ნაძვის კენწეროს შეაქცერდა და სახე მოეღრუბლა:

— ხედავ, ბიჭო, შენ?... ნაყარი გამოსულა... აბა რაი, კაცი... ნამდვილად ნაყარია... დევილუპე... წუხელის მთელი ღამე თეთრად გავათენე, სკები არ მომპარონ-მეთქი. ამ დილას მაგრად ჩამეძინა და იმის ბრალია მაგი, დროზე რომ ვერ დავინახე. თუ გამეჭკა, თავმჯდომარეს ველარ გადავურჩები... — ვედროს ხელი წამოუსვია, ღელიდან წყალი მოარბენინა და ნაძვის ტოტებს შეასხა. შემდეგ ცარიელი ვედრო გადმოაბრუნა და დოლივით ააბრაზუნა.

წყლის შხაპუნმა და დოლის ხმაურმა ფუტკრები შეაშინა, გაწვიმდნენ, ეგონათ. აღმოსავლეთისაკენ გაშვებულ ტოტზე შებურთავდნენ და ნაყარი წიწვებზე გიდელივით ჩამოეკიდა.

შემდეგ მეფუტკრემ საწოლს ქვემოდან გაჭვარტლული საკვამური გამოათრია, შიგ კვარის ნატეხები ჩაყარა და ცეცხლი წაუკიდა, მაგრამ საკვამური თავგს გამოეხრა და ველარ დაუბერა, კვამლი ვერ აადინა.

— დასწყევლოს ღმერთმა! ხედავთ თქვენ ამას? თავგს რკინაც კი გამოუხრავს. ფუტკრები უკვამლოდ დამკბენენ, მარა ნაყარი მაინც უნდა ჩამოვიყვანო...

გაბრაზებულმა საკვამური ნაძვის ძირში მიაგდო, ჩექმები და ხაკის ხალათი გაიხადა, გიდელს და ხერხს ხელი წამოუსვია და ნაძვზე შეეცოცდა. ხელიკივით აძვრა დაძინებულ ტოტებს შორის, ნაყარიანი ტოტი ძირში ნიახერხა, გიდელში ჩაფერთხა და დაბლა ჩამოუშვა.

— მიდი, ანზორია, შვილო... მიეხმარე... ცოდვა მარტოხელა კაცი...

სახეზე აგი პირსახოცი აიფარე და გიდელი მაინც დაუჭირე... — მომადგა დედაჩემმა და პირსახოცი შემომამჩეხა ხელში.

მეფუტკრის ბრაზი კი მახრჩობდა, მაგრამ გაჭირვებაში მაინც შემეცოდა და გიდლისავე გავიქეცი.

მეფუტკრეზე გაჯავრებულმა ფუტკრებმა მე შემომიტიეს. პირსახოცმა ველარ დამფარა და ცხვირ-პირი გოგრასავით გამიხადეს. სიმწრის ცრემლები გადმომცვივდა, მაგრამ გიდელს ხელი მაინც არ გავუშვი. მეფუტკრე სწრაფად ჩამოსრიალდა ნაძვიდან, გიდელი ხელიდან გამომგლიჯა და ცარიელ ყუთში ჩაფერთხა. შემდეგ მეგობარივით გამიცინა:

— ხედავ, ბებო, შენ? ასე მალე რაფერ მოგიხდა ბახმაროს ჰაერი! ასე იცის აქანა, თქვენც ხომ ხედავთ, დეიდაჩემო? თქვენი შვილი ამ დილაზე წინდის ჩხირივით გამხმარი იყო და ახლა ბუკის მატლივით მეიქცა... აწი აღარ გააციებს ცხოვრებაში... — გაიძახოდა იგი. მაგრამ არც მას ადგა კარგი დღე. წელს ზევით სულ დაკბენილი იყო. დასიებული ლოყებიდან სისხლიც მოწვეთავდა და გაღიმებაზე ხელს უშლიდა. მაგრამ მაინც კმაყოფილი იღიმებოდა.

თითქოს არაფერიაო, ლელეზე გაიქცა და ცივი წყლით მაგრად დაიზილა დაკბენილი სხეული.

დედაჩემმა ოდეკალონი შემასხა სახეზე.

— ოდეკალონი რად უნდა მაგას... შენც ცივი წყლით დაიბანე პირი... ცივი წყლის გეშინია თუ? მაშინ უკეთეს წამალს გამოგიწერ. წამოდი ჩემთან. — ხელი ჩამჭიდა მეფუტკრემ და ოთახში შემიყვანა. საწოლს ქვემოდან მოზრდილი სპილენძის ლანგარით გადამალული თაფლის ფიჭა გამოიტანა და კიდეჩამტვრეულ ჭიქაში არაყი ჩამოასხა.

— ბალანას ნუ დააღვინებ არაყს... გულს გაუფუჭებს. — შეაფრინდა ხელში დედაჩემი.

— რაო, დეიდაჩემო? ბალანა აგი საცოლო კაძახი? აგი ჭაჭის არაყი არ გეგონოს თქვენ, ბუზის წვენია. იმ ბუზის წვენია, დღეს ასე რომ დაგვკბინა... სანთლის არაყია... ბუზის ნაკბენის პირველი წამალი აგია. აბა დამაკვირდით მე, რაფერ მომიხდეს... — და სავსე ჭიქა ორჯერ შეუსვენებლად გამოცალა. შემდეგ მე შემიღესო. მეც გამოვცალე და ზედ ფიჭის მოზრდილი ნატეხიც დავაყოლე. ტკივილები მაშინვე გამიქრა. დედაჩემმა სადილიც გაგვიწყო. მეფუტკრე მაღიანად ილუქმებოდა ბარიდან ჩამოტანილ ცივი მჭადის ნატეხს და მრგვალად მოხარშული ქათმის ბარკალს. ზედ სანთლის არაყსაც აწრუპავდა.

— ჰოდა... წელან გელაპარაკებოდით, მეც შაქარიშვილი ვარ. საგარეოდ კონსტანტინე მქვია, სამინაოდ კოსტიას მეძახიან... ბაღნობიდან ჭიამკვდარი ვიყავი. გვერდები მტკიოდა. ომის დროს ცარიელი კუჭი მსხლის წვერზე მქონდა გამოკიდული. სიღარიბეც გამომიციდია. ყველაფერი ჩემს

მშობლებს გავატანე საიქიოში. ახალი სახლი ჩემი ხელით ავიშენე, ვენახიც ჩავყარე... მარა აგია ჩემი დანაშაული, რომ ამდენხანს უცოლოდ დავრჩი... — ლაპარაკობდა იგი თავის თავზე.

შემდეგ ახალგაზსნილ ბარგს გადაავლო თვალი, წიგნებით სახსევ ჩემოდანს გაკვირვებით დააცქერდა და თვალი თვალში გამიყარა:

— აგი წიგნები ყველა ამ სეზონზე უნდა წაიკითხო, ბიჭო, ხომ? მაგარი თვალი და გული გქონია... მე ვერ ვისწავლე. არ მაჩუქა ბუნებამ ნიჭი. ომმა შემიშალა ხელი, მარა ისედაც ზარმაცი ვიყავი. წიგნების კითხვას ყურეფასპირში ბურთის თამაში მერჩია... აა... აბა, ბიჭო!.. ხელავ შენ, რაფერ ბურთივით დაგვისივა დღეს ცხვირ-პირი ფუტკარმა? მარა ხვალემდი გავვივლის... ათი წელია ფუტკარს დავდევ და სულ ასე დაქბენილი ვარ. ყოველ წელს ბახმაროზე ამოვდივართ და იმან გადამარჩინა. გვერდების ტკივილზე დედის რძესავით მომიხდა, თვარა ჩემი ძვლებიც არ იქნებოდა მიწაში. რკინის ნატეხივით გავხდი, ხანდახან ხის ქვეშაც ისე გემრიელად მძინავს, როგორც თბილ ლოგინში...

თავის თავზე ლაპარაკში საჭმელიც არ მოიკლო მეფუტკრემ და სანთლის არაყით შემთვრალი სკებში გავიდა.

— იყოს ჩვენთან მაგი ვიღაცა კოსტაიეა... ბევრი ლაპარაკი ყვარებია და თავს შეგვაქცევით... — გადავულაპარაკე დედაჩემს.

დედაჩემიც ეზოში გამოჰყვა მეფუტკრეს.

— ასე, შეილო... იყავი ამ სეზონზე ჩვენთან. თუ ჩემს ბიჭს არ მოშვიდება, არც შენ... აბა სად უნდა წახვიდე? ფუტკარი აქანა გყავს და... კარავს ალბათ, დიდხანს ვერ აგიშენებენ.

— დიდი მადლობა, დედაჩემო... დასვენებაში კი შეგიშლით ხელს, მარა სამაგიერო ჩემზე იყოს. აგერ ვარ, საყადელზე ბიჭი კოსტაიე... დალხინებაშიც და გაჭირვებაშიც ერთი გლახა კაცის მაგიერობას კი გავიწევით... — ალაპარაკდა მეფუტკრე და ნაძვნარში დაბმულ ძაღლს საჭმლის ნარჩენები დაუყარა.

მე დიდად დამაინტერესა ფუტკარმა და კოსტაიას ავედევნე.

— კოსტა, მართლა ემტერება დედალი ფუტკრები მამლებს? — შევეკითხე წიგნში წაკითხული.

— აბა რა გგონია შენ... იმას ჩვენზე მეტი ჰკუთა აქვს. რომ ვერ ლაპარაკობს, იმიზა? დედლებს თვალზე დასანახავად ეზარებათ ზარმაცები. მუშაობა უყვართ, მამლები კი უქნარები არიან და იმიზა გამოყრიან გარეთ. სკასთან ახლოსაც აღარ მიაჭაჭანებენ.

— შეხედე შენ? მართლა ჰკუთი გატენილი ყოფილან... — გავიკვირვე მეც. — არც მე მიყვარს შრომა და თაფლთან ახლოს არ მიმიშვებენ, ხომ?

— იმიზა დავისივებს მასე ცხვირ-პირი. შეგატყვევს, რაც კაცი ყოფილ-

ხარ. ისწავლე მუშაობა თვარა, მეორეჯერ სულ სიმინდის ფუჩიჩასავით გვი
გიხდიან ტყავს...

— მთელი დღე სკეპში უნდა იტრიალო, კოსტა? წამოდი, ბურთი ვი-
თამაშოთ. ფუტკარს ძაღლიც კი დაიცავს... — ღელისპირისაკენ გავიტყუე
მეფუტკრე და ჭალაში ბურთი გავაგდე. მალე სხვებიც შემოგვიერთდნენ
და შეიქნა ერთი წეწვა-გლეჯა.

— მასე, კოსტა, ჰო... მაგრად დაარტყი... პირდაპირ კარებში! — ვამ-
ხნევებდი კოსტაიას და ოცდაათი წლის ვაჟკაცი ჩეჩმების ბრახუნით ენა-
გამოგდებული დასდევდა ბურთს. დასდევდა და ფუტკრისაგან დაკბენილ
სახეზე ბავშვური ღიმილი დასთამაშებდა. ერთხელ გოლიც გაიტანა და
რძიარძიებით დაფარულ მინდორზე თიკანივით შეიკუნტრუშა.

ასე გარბოდა დღეები. მე და კოსტაია ერთმანეთს აღარ ვშორდებო-
დით. ერთად დავდიოდით ბურთის სათამაშოდ, თეატრში და კინოში. რამ-
დენიმეჯერ ბიბლიოთეკაშიც წამყვა. ჭადრაკის თამაშიც კი მოსინჯა და ძა-
ლიან მოეწონა ცხენით დედოფალზე წაპარება.

ერთად ვდარაჯობდით სკეპს. ბევრჯერ ჩამოვიყვანეთ ნაყარი ნაძ-
ვების კენწეროდან.

საღამოობით კი ყოველთვის ერთსა და იმავეს ვეკითხებოდით:

— კოსტაია, ამ დილით რამდენი ფუტკარი გაუშვი თაფლზე სანადი-
როდ?

— ორი მილიონი და ოცდაცამეტი. — ღიმილით მიპასუხებდა იგი.

— რამდენი დაბრუნდა?

— ორი მილიონი...

— ბიჭოს, ოცდაცამეტი რომ გმირულად დაღუპულა?

— გზა დაეხნეოდათ, ანდა სადმე დაღამდებოდათ. ხვალ დაბრუნ-
დებიან... არა და მაგის ჯავრიც არ მკლავს. ყველა ჭირს გაუწყვეტია... —
ისე იტყოდა, გეგონებოდათ მართლაც ფეხებზე ჰკიდია ფუტკრის ჯავრიო,
მაგრამ ნურას უკაცრავად. აბა გაგებდათ და ხელი წაგეკარებინათ რო-
მელიმე სკისთვის, მწყერივით დაგაკლავდათ ზედ. ყოველდამე, მზისამო-
სავალ გორიდან მზის გადმოწვევრამდე თოფით და ძაღლით დარაჯობდა.
დილით, ჩვენი გამოღვიძების შემდეგ, თუ მიდებდა თავს თვალის მოსატ-
ყუებლად.

თოფი ჰქონდა ძველისძველი — „ბერდენკა“, ოცდათორმეტ „ცენტ-
რალკად“ გადაკეთებული, დაჟანგული და კონდახმორყეული. გილზეები „ეა-
კანით“ გატენილი.

ძაღლი ხბოს ოდენა ჰყავდა, ბონძღვერა და კუდიანი, ზურგშავა და
გულთეთრა. ორი ლავაში პური არ ყოფნიდა ერთ ჯერზე, — ყურმას
ეძახდა. დიდსაც და პატარასაც განურჩევლად კბენდა. დღისით ნაძვის

ჩრდილში დააბამდა გრძელი ჯაჭვით. სადამოკებით გაუშვებდა და ყურში მთელ ღამეს სკებთან დარბოდა. ყეფით ყბა არ მოედლებოდა.

— ამ თოფს მასე ნუ უყურებ შენ, ას მეტრზე დათვს სულ ბღღვინს გააცლის. შარშან ნახევარტონიანი დათვი დავაგორე ბუქნარის ქუჩაზე. სკებში შემომეპარა. ამ ძაღლსაც ნუ ემასხრები შენ. ათი მგელი და ოცდაცხრა მაჩვი ჰყავს დახრჩობილი. ფუტკართან კაციშვილს არ მიაჭაჭანებს, — მიქებდა მეფუტკრე თავის თოფს და ძაღლს...

ერთ სადამოს კოსტა ბაზრიდან მთვრალი დაბრუნდა. „ბუხის წვენი“ ზედმეტი მოსვლოდა და დარაჯობა ვეღარ შეძლო. მალე ძილმა დასძლია და დაწვა. ნაშუალამევს ყურში რაღაცას ისე გამძაფრებით შეესხა, რომ ნაძვის ძირები სულ კბილებით დაგლიჯა.

— არიქა, ბიჭო ანზორა, წამოხტი ზედ... ნამდვილად ქურდები შეესივნენ სკებს... — გარეთ გამოვარდა შეშინებული კოსტაია.

გარეთ ისე ბნელოდა, რომ ათასწლოვანი ბუშებერაში ნაძვებიც კი არ ჩანდნენ.

— აჰა, კოსტა, ჯიბის ფარანი... არ შეგეშინოს, მეც მალე გამოვალ... ტანზე ჩაიცვამ... — ზურგში მივაწიე ფარანი მეფუტკრეს და ჩაცმა დავიწყე... კოსტამ თოფს ხელი წამოუსვა და სკებში შევარდა.

— რომელი ხარ მაქანა?! სკებს ხელი არ ახლო, თვარა სულს გაგაფრთხობინებ! — ვაჟკაცურად დასჭექა მან და თოფი ჰაერში გაისროლა. შემდეგ ჯიბის ფარანიც გაანათა.

ფარნის შუქზე დაინახა რაღაცა უზარმაზარი, თვალეზიანებული. იგი მისკენ ბღღვინით გამოექანა. გულგახეთილი კოსტაია აივანზე ამოვარდა.

— დათვია ნამდვილად. დედალი დათვი, თავის ბელებიანად, ასე შუალამეში იცის შემოპარვა. დევდილუბე. დამინგრია სკები. პირდაპირ ვესროდი, მაგრამ ამ თოფით ვერ მოვკლავ და დაჭრილი სულ დაფშვნის იქაურობას... — გაიძახოდა იგი.

დედაჩემმა ლამპა გამოარბენინა, ლამპის შუქზე ენაგამოვდებული და კუდაპრეხილი კამეჩი დავინახეთ. იგი მეკამეჩე რეჯებას გამოპარვოდა, ბალახს გამოდევნებოდა და სკებში შემოსულიყო. ერთი სკისათვის ზურგი წაეფხანა და გადმოეგდო. გაბრაზებული ფუტკრებიც ცხვირ-პირში შესეოდნენ. კუდაპრეხილი ცხოველი გაცოფებულის ზმუილ-ბღაღილით და აკიანთებული თვლებით სკებში დროის ცხენივით დაჯირითობდა. ძაღლიც ცეცხლზე ნავთს ასხამდა. ფეხებში აწყდებოდა და უმოწყალოდ კბენდა. დაკბენილი, დასისხლული და დასიებული რეჯებას კამეჩი სკებიდან კუდაპრეხილი გამოვარდა და ბახვისწყლის ჭალაში გადაჯირითდა.

იმ ღამეს კამეჩს ზევით-ქვევით სირბილში ათამდე სკა გადმოეგდო და მეორე დღეს კოსტაიამ ძლივს მოუყარა ფუტკრებს თავი.

— ხედავ, ბიჭო, შენ! რა მაგარია ჩემი ფუტკარი! რა დღე წაჰყიდა ამ-

ხელა კამეჩს? ფეხზე ველარ დგება... კამეჩი კი არა, დათვი ვერაფერს დააკლავს... რეჯება ერთ კილომეტრზე მომკრავს თვალს და კატასავით გამოიბის... — დიდხანს იკვეხნიდა მეფუტკრე კოსტაია.

სეზონი იწურებოდა, როცა კოსტას ბარიდან სტუმრები ეწვივნენ და პატარა უკონვერტო წერილი გადასცეს. კოსტამ მოუთმენლად წაიკითხა იგი, სიხარულისაგან თვალები გაუბრწყინდა და თავი გამოიღო, შუა ნახევარში ჭილოფი გააგდო, ფიჭის სქელი ნაჭრები გაიტანა და „ბუზის წვენი“ სასმისებში აარაკრავა. გვარიანად შეჭიკჭიკდნენ.

სტუმრების წასვლის შემდეგ სანთლის არაყისაგან შეზარხოშებული მეფუტკრე მთელ დღეს ნახევარში დახეტილობდა და ლილინებდა: „გამიყვანეთ სეფაშიო“... ძალიან გვანტერესებდა მისი ასე აჭიკჭიკების მიზეზი, მაგრამ ახლოს აღარ გვეკარებოდა.

სალამოს, ვახშამზე, ხმასაც აღარ იღებდა, ლუკმას ძლივს იღებდა პირში. ველარ მოვითმინე და პირდაპირ შევეკითხე:

— კოსტაია, რა ამბავია დღეს შენს თავზე, მთელი დღეა რომ კრიმანჭულობ და ჩვენთან ლაპარაკს აღარ კადრულობ, რა გახარეს იმ ბიჭებმა?

— არაფერი... ისე... — უფრო დაიმორცხვა მან... — რაღაცა პატარა საქმე მქონდა წამოწყებული და...

— მაინც რაია მასე სასიხარულო, ჩვენც გვითხარი, გაგვიხარდება! — შეუჩნდა დედაჩემიც.

— ამ დღეებში ცოლი უნდა მოვიყვანო და...

— მართლა, კაცო? აბა მაყრობა მომწევია! — ტაში შემოვკარი.

— პატარა კი არა, დიდი სასიხარულო საქმე გქონია წამოწყებული, — გაელიმა დედაჩემსაც.

— სასიხარულო კია, მარა...

— მარა რაი?... გიშლის რამე ხელს თუ? — მზრუნველობით ჩაეკითხა დედა.

— ცოტა ამაჩქარეს... შემოდგომისკენ მინდოდა ქორწილი. ახლა იმ გოგოს ძმაი თურმე ჯარში მიჰყავთ და წასვლამდე უნდა გაათხოვოს დაი.

— მერე შენც მოკიდე ხელი და წამეიყვანე. რა გვარის ქალია?

— ბურჭულაძის...

— კოსტაია, ბურჭულაძის ქალებს ხუმრობა არ უყვართ. ცხონებული ბებიჩემი იტყოდა: ბახმაროზე ერთმა ბურჭულაძის ქალმა დოღში ღორი გამეიყვანა და დაქებული დოღის ცხენები ხუთ კილომეტრზე ჩამოიტოვაო... შენც არ შეგსვას ღორზე... — გავეხუმრე მე.

— შემაჯინოს მერე, მაგის არ მეშინია მე... ქალი კარგი კია და...

— აბა რა გიშლის ხელს? თქვი, ნუ გრცხვენია... — ჩაერია დედაჩემი... — ფუტკარს ჩვენც მიგხედავთ...

— ფუტკრის დიდი ჯავრი კი მაქვს. კოლმეურნეობის ქონებაა და,

რომ რაიმე მოუვიდეს, მე ვაგებ პასუხს. ყურშივე ქურდს არ მიაკარებს, მარა მარტოდ ცოდვას... ღამიანობით მეკამეჩე რეჯებაც შემპირდა, შეგიხედავო. ამ საღამოს წყაროსთან შემხვდა და შევერიგდით. ისე, კაცმა რომ თქვას, რა მისი ბრალი იყო, ბალახს გამოკიდებულმა კამეჩმა თუ სკები გადმოაგდო. დღეი კი, თქვენც თუ შეწუხდებით, დეიდაჩემო, ძალიან დამავალბთ. მარტოხელა კაცი ვარ და...

— რამ გაგიტეხა, კოსტაია, გული, აგერ არ ვარ ბიჭი, არ შეგარცხვენ. ქურდს, დათვს და კამეჩს სკებთან ახლოს არ გავაკარებ, შენი „ცენტრალ-კით“ გავუხერგე შუბლს, ნაყარს, თუ გამოვა, იმასაც ვეპატრონები, — გულზე ხელი დავიბაგუნე.

— დამაცა, ბიჭო, სიტყვის თქმაი. ნაყარი აწი აღარ გამოვა. სიცივეები შემოჰკრა... ჰო... იგი მინდოდა მეთქვა, რომ ბოროტი კაცი არა ვარ... არც ქურდი ვარ... არც მძარცველი... არც ღარიბი. უსწავლელი კაცის პირობაზე საშუალო ოჯახი მოვაწყვე, ორმოცდაათ ფუთამდე მარტო „ცოლიკოურის“ ღვინოს ვაყენებ. „ადესაი“ კიდეც სხვია. მტერ-მოყვრის დაფასებაც ვიცი.

— რად გინდა ჩემთან, კოსტაია, ამდენი თავის ქება! მე მაინც ვერ დამათრობ ღვინით და...

— შენ, ბიჭო, ჭურის ნარეცხიც კი გეყოფა... ისე კარგი ბიჭი ხარ... ნასწავლი. კარგი ოჯახის შვილი... ჰოდა... შენი დამოყვრება მინდა.

— დამოყვრება? როგორ? ვერ გავიგე... — გაუკვირდა დედას.

— როგორ და ამ ყურცეცხლა ვაჟკაცმა ჯვარი შემიცვალოს!...

— ჯვარი შეგიცვალოს?! რა ღროს ბაღანას მეჯვარეობაა... მერელა თქვენ ისედაც ნათესავები ხართ, ერთი გვარის.

— ერთი გვარის კი ვართ, მარა, სხვადასხვა რაიონში ვცხოვრობთ. შორეული ნათესაობაც არაა საკმარისი, ერთმანეთს უფრო მინდა, რომ დავუახლოვდეთ, დავმოყვრდეთ. ბაღნები თუ გამიჩნდა, მაგან მომინათლოს, უსწავლელი კაცის პირობაზე გაგიწევთ საკადრის მოყვრობას.

— ჩემზე მეტი ვერავინ გამონახე სამოყვრო კაცი, ხომ? — ხმა განგებ დავიბოხე.

— არა, შენ უნდა შემიცვალო ჯვარი. ჩემი მეჯვარე შენ იქნები... — გაჯიუტდა იგი.

— მე აღარ მკითხავ? — ბეჭებში გავიმართე.

— არ მკადრულობ, ხომ?

— კი, მაგრამ მასე იოლად ვერ გამოხვალ.

— ქირას მახდევინებ?

— რად მინდა შენი ქირა... იმ შენს საცოლეს დები ჰყავს?

— ჰყავს, აბა რაი... ჩემსავით დედისებრთა და გამოწყვეტილი კი არაა. ერთი კი არა, ოთხი... მერცხლებივით გოგონებია. არც ერთი არაა გათხო-

ვილი. მაგით კი ვარ მდიდარი — ცოლისდების მაყრობა არ ამტკიცებს.

— ჰოდა, ერთი ჩემთვისაც გაიმეტე.

— გაჩერდი, ბიჭო! რა დროს მაგნაირი მასხრობაა... ადამიანი სერიოზულად გელაპარაკება ჯვარი შემიცვალეო, შაფირად დამიდექიო და შენ კი რას ელაზღანდარავები... — გამიჯავრდა დედა.

— მერე მეც სერიოზულად ველაპარაკები. ჯვარს იმ პირობით შევუცვლი, თუ მის ერთერთ ცოლისდას გამირიგებს. უკეთესი სიტყვა რაღა უნდა... მაშინ ვიქნებით ნამდვილი მოყვრები და...

დედაჩემმა თავში ხელი ჩამარტყა — ენას მოუკელიო. დიდხანს გაეპატიჟა კოსტაიას, სხვა აიყვანე მეჯვარედ, ვინმე სერიოზული კაციო, მაგრამ ერთხელ ნათქვამი ველარ გადაათქმევინა და მეორე შაბათს მეფუტკრის ქორწილში გამიშვა. ჯიბეში ხუთთუმნაიანი ჩამისრიალა. ჯვარის შემცვლელი ხარ და კოსტაიას საჩუქარი მიართვი, თავი სერიოზულად გექიროს ხალხში, სირცხვილი არ მაჭამო, იქაც მასხრობა არ დაუწყოო.

კოსტაიამ ჩემი თავი დიდი მოწიწებით წარუდგინა შაფირად თავის ახლად შეძენილ მოყვრებს და კუთხე-მეზობლობას. საქორწილო სუფრაზეც თავის გვერდით წამომჭიმა შაფირის სკამზე.

ჩვენს პირდაპირ მისი ცოლისდები ჩამწკრივდნენ. მართლაც მერცხლებივით გოგოები ყოფილან. კალმით დახატულებიო, სწორედ იმათზე ითქმოლა. ერთს, შუათანას, შავტუხას და შავთვალწარბას პირველი შეხედვისთანავე მართლა დავადგი თვალი და ხუმრობის ხასიათი დამეკარგა.

სირცხვილისაგან ლოყებშეწითლებული გოგო კი მაგიდის ქვეშ შეჭრომას ცდილობდა.

კოსტაიამ მალე შეამჩნია ჩემი გაჭირვება, ფეხი ფეხზე მაგრად დამაჭირა და ყურში ჩამჩურჩულა:

— ბიჭო, მაგი გოჭის თავი მოთაღე, თავს ნუ მოიკლავ შიმშილით. ერთი კვირა დამაცალე, ავი ქორწილი ჩათავდეს, მთიდან ფუტკრები მშვიდობიანად ჩამოვიყვანო და მერე მე არ ვიყო კოსტაიე საქარიშვილი, თუ თქვენს ქორწილში ორლიტრიანი ყანწები არ დავატრიალო. მაგი შავტუხა გოგო იმისთანა მარჯვეა, რომ ცივ ქვაზე დასასხლებს კაცს. მერე, ხედავ, რაფერ მოეწონე? მე კი არ ვმასხრობ, სერიოზულად გელაპარაკები...

— აბა შენ იცი, კოსტაია... სამაჰანკლოს რამდენს მთხოვ? — გავემასხრე მეფუტკრეს.

გული კი ზღვასავით მიღელავდა. ის ერთი კვირა მთელ საუკუნედ მეჩვენებოდა.



უჩილონ ხალაუმი

ს ა ხ ე

მომენატრება ნაცნობი სახე
და შემოხედვა ნაცნობ თვალების,
ის სიყვარულის სინათლით ადებს
მთელ ჩემს სიცოცხლეს დღემდის, ხვალემდის.
წლებმა გაავლო შუბლზე ხაზები,
თუმცა ღიმილი შერჩა იგივე,
დაგიმორჩილებს ეს სილამაზე,
კვლავ წაიკითხავ სახეს წიგნივით.
ზოგის მზერაში გასუსხავს ჰაერი
და შავი ყინვა ჩამქრალ ხანძრების,
ზოგის სახეზე მოჩანს თვალები,
როგორც ცარიელ სახლის ფანჯრები.
ზოგს რა აწუხებს ვერა, ვერ იტყვი, —
დაუმალია ავიც, კეთილიც,
დგას მძიმედ, როგორც რკინის სეიფი
და პირისახე აქვს დაკეტილი.
და გტკივა რაღაც ჩუმად, მალულად,
შენც გულში წყენა შეგეპარება,
და მწუხარება, როგორც ღამურა,
აფარფატდება შენივ თვალებთან.
სახეს კვლავ ბინდი თუ შერჩენია,
გული თვალებში სითბოს დაეძებს,
ყოველ მოწმენდილ ცას მირჩენია
კარგი ამინდი კაცის სახეზე.

ნ ე ლ ი

ნელა დის მდინარე,
თითქოს დაღლილია,
იგი ფიქრებით მღვრიე და თბილია.
ჭადრების რტოებში ჩიტები მღვრიან,
მზე არი, ხალხია და ყველაფერია.
და მაინც რაღაცა აკლია შუადღეს,
შენი მომლოდინე წუთები მდადავენ.
თუ ფიქრი შეძელი,
ლოდინი ადვილია,
თავზე ფოთლებით ღრუბლები გადივლიან.
ჩრდილებით აჭრელდება მყუდრო ეზოები,
მოხვალ დაქანცული, ხეებს ეზომები.
თითქოს შენც აქა ხარ და ჩუმი წუხილით
მიღიმი ისე, ვით არვის უღიმი.
და მეც გეუბნები:
შენთვის სულ ვიწვალე,
შენ, ჩემო ნატრულო სიტკბოვ და სიმწარე.
შენ, ჩემო ახლო სიტყვავ და სალამო,
შენ, ჩემო ტკივილო და ჩემო წამალო.
შენ, წვიმავ, გვალვიან მიწაზე ნასხურო,
შენ, ჩემო ხვალეო და ჩემო წარსულო.
შენ თბილ დილასავით მოხვალ და ჩარჩება
ამ ჩემი თვალების გაღებულ ფანჯრებში.

ი ე ბ ი

იპ, გამარჯობათ, იებო,
ამოღიმილდით, აინთეთ
ტყეს მოკიდებულ აპრილის
ამ ჩაუქრობელ ალითვე.

ფერებო, — მიწის სიტყვებო,
წვიმის სურნელო კეთილო,
იცოცხლეთ, თვით სიყვარულსაც
თავი არ მოაწყვეტინოთ.



იური ბენიძე

გზები და გზაჯვარედინები

დოკუმენტური მოთხრობა

...დადის ქალაქში კაცი. ქალაქი
ჩუბთავი, ხოლო კაცი — ანდრო
მიხეილის-ძე ბოლქვაძე. ახლა იგი
დაახლოებით სამოცი წლისა იქნე-
ბა, აქვს ფართო მხარ-ბეჭი, მაგრამ
ოდნავ წაზრიალა. დიდ შუბლს ქვე-
მოთ ღრმად ჩაცვენილი თვალები
ხშირი ნაოჭებით შემოგარსვია.
მზედაკრული სახე სუფთად გაუპა-
რსავს, ყურებს ზემოთ და კეთაზე
თეთრი თმები კუნძულებივით შე-
მორჩენია, წინანდელი გრუზა თმის
ნაშთი.

დადის ქალაქში იგი და იხსე-
ნებს — როგორ მოხდა ეს, როცა
ათი წლის წინათ გამოჩნდა აქ. ჯა-
შუშის აბგარ-აბჯარი მანამდე ორი
ათეული წლის წინათ შესხნეს.

ახლა მას პირველად უდევს ჯი-
ბეში ქალაქში ფრთხილად შეხ-
ვეული ნამდვილი საბჭოთა პასპო-

* მოთხრობაში ზოგიერთი გვარი შეცვ-
ლილია. იბეჭდება მცირეოდენი შემოკლე-
ბით.

რტი. მან ეს ქალაქი აირჩია, რად-
გან აქ დიდი მშენებლობა მიდიო-
და, ფაქტიურად ქალაქი ჯერ არც
კი არსებობდა. სამაგიეროდ არ იყ-
ვნენ არც ნათესავეები და არც ძვე-
ლი ნაცნობები. მას უნდოდა მარ-
ტო ყოფილიყო, ხოლო ადამიანე-
ბი, ახლა რომ გარს ეხვივნენ, ალ-
ბათ, მისი ყველაზე ახლობელნი
გახდებოდნენ ამქვეყნად.

მთელი დღე ხეტილობდა იგი
ქალაქში და ათვალიერებდა მომა-
ვალი ქუჩების კონტურებს: ისინი
იქნებოდნენ ფართო და ლამაზი.

მტკვრის სანაპიროზე, პარკში,
იგი დიდხანს უყურებდა ბავშვების
თამაშს, უსმენდა მათ მხიარულ
ჟივილ-ხივილს და ერთდროულად
სიხარულსაც გრძნობდა და სინა-
ნულსაც — მას ხომ არ განუცდია
ოჯახური ბედნიერება და არც მა-
მობა იცის რა არის...

მეორე დღეს ანდრო ქარხნის
კადრების განყოფილებაში იჯდა.

წინააღმდეგ მოლოდინისა, არავინ ჩაჰკირკიტებია მის წარსულს, ხოლო როცა გაიგეს, რომ იგი ოდესღაც ისმენდა ეკონომიურ მეცნიერებათა კურსს, რამდენიმე დღის შემდეგ შემოიარეთო, სთხოვეს.

ალბათ, ეს იყო ყველაზე ძნელი დღეები მთელი მისი საკმაოდ მძიმე და უთავბოლო ცხოვრების მანძილზე. ეჭვი ტანჯავდა მას. უღმობელი მეხსიერება აღადგენდა წარსულის უბადრუკ სურათებს. ერწმუნებიან კი ეს ადამიანები, დაეხმარებიან დაიწყოს ახალი ცხოვრება?

და აი „განაჩენიც“. იგი მოანგარიშედ გაგზავნეს ქარხნის საამქროს კანტორაში, მისცეს ადგილი საერთო საცხოვრებელში...

...განვლო კიდევ რამდენიმე წელმა და, როცა მოხუცი ბუღალტერი პენსიაში გავიდა, მას შესთავაზეს შეეცვალა იგი.

ქალაქი კი ამასობაში იზრდებოდა და კეთილგწყობოდა. აშენდა დიდი ახალი სახლები და ერთ-ერთ მათგანში მას ბინაც მისცეს.

იყო პერიოდი, როცა ახალი პროდუქციის ათვისება არღვევდა მუშაობის ჩვეულ რიტმს. ქარხანაში ფაციფუცი იყო, გვიანდებოდა ფინანსური დოკუმენტაციის გაფორმება. ბევრი ინჟინერი მთელი დღეობით არ გამოდიოდა საამქროებიდან, მუშებთან ერთად ითვისებდნენ ახალ ტექნოლოგიას. საერთო დაძაბულობა გადაედო „საბუღალტერო საამქროსაც“. განუწყვეტილად წაგრუნობდნენ არი-

თომეტრები, ჩხაუნობდნენ საანგარიშოს კოჭები. აქაც გაჩაღდა ბრძოლა ქარხნის დროული დაფინანსებისათვის, იმისათვის, რომ მუშა-მოსამსახურეებს აკურატულად მიეღოთ ხელფასი. გვიან სალამოს შინ რომ ბრუნდებოდა, ბოლქვადე ამჩნევდა, რომ თავს არც დაღლილად გრძნობდა და არც გაწამებულად. რა იყო ეს? ამქვეყნად ხეტილის მრავალი წლის მანძილზე მან შეითვისა ერთადერთი ზნეობრივი წესი: იზრუნე მარტო შენთვის! და უცებ.. ნუთუ მისთვის ძვირფასი და ახლობელი გახდა მთელი ქარხნის, იქ მომუშავე ადამიანების ინტერესები?

ცოტა ხნის შემდეგ მან ახალი მღელვარება გადაიტანა. საამქროს პროფკავშირულ საანგარიშო საარჩევნო კრებაზე ადგილკომის შემადგენლობაში ვილაცამ ანდრო ბოლქვადის კანდიდატურა დაასახელა. ამან ისე შესძრა იგი, რომ აღარ შეეძლო ყურადღებით მოსმენა. უცებ გაისმა ვილაცის ხმა, რომელმაც ეს წინადადება ნაადრევად, ნაჩქარევად მიიჩნია. ნუთუ კოლექტივში არ არიან უფრო ღირსეული ადამიანები? ატყდა საშინელი ხმაური. ყველანი თავისას გაიძახოდნენ. ბოლოს, ერთმა ძველმა მუშამ მხარი დაუჭირა მის კანდიდატურას; მან თქვა, რომ საჭიროა არ არის ადამიანის წარსულში ვიქეჩებოდეთ, მთავარია, როგორია იგი დღეს.

ასე აიჩიეს იგი ადგილკომში.

და დღეები კვლავ სწრაფად, ფაცი-
ფუცში მიჰქროდნენ და აღარ რჩე-
ბოდა მტანჯველი ფიქრისა და თა-
ვის თავში, წარსულში მომქანცვე-
ლი ჩიჩქნის დრო.

და აი დადგა დრო, როცა ბოლქ-
ვაძეს თვითონ მოუხდა მოენახულე-
ბინა ნათესავები, წასულიყო ქალა-
ქში, რომელიც მან დიდი ხნის წი-
ნათ დატოვა.

თბილისში ცხოვრობდა მისი ბი-
ძაშვილი — გეოლოგი ცოლითა და
ორი შვილით. ისინი თბილად და
გულლიად შეხვდნენ, თითქოს არც
კი არსებობდა მისი სამარცხვინო
წარსული. მას ბავშვები მიჰყავდა
და მათთან ერთად ხეტიალობდა
ბოტანიკურ ბაღში, კომკავშირის
ხეივანში, თბილისის ზღვის სანა-
პიროზე. მაგრამ განსაკუთრებით
უყვარდა მთაწმინდის პლატოს პა-
რკი და იქიდან დიდხანს გაჰყუ-
რებდა ქალაქს.

...1958 წლის ოქტომბრის თბი-
ლი დღეები იდგა. ჩვენი რესპუბ-
ლიკის დედაქალაქის ქუჩები, პრო-
სპექტები, სანაპირო და მოედნები
უხვად იყო მორთული დროშებით,
ტრანსპარანტებით, ცოცხალი ყვა-
ვილებით. არასოდეს არ ყოფილა
ქალაქი ასე მოკაზმული და ლამა-
ზი. იგი დღესასწაულობდა თავისი
არსებობის 1500 წლისთავს.

ხალხის ნაკადმა იგი ოპერის
თეატრში შეიყვანა. თბილისის სა-
ქალაქო საბჭოს საიუბილეო სესია-
ზე ანდრო სკოლის მეგობარმა —
აკადემიკოსმა მიიწვია.

...სადღესასწაულო კონცერტის

შემდეგ ანდრო ბოლქვაძე გვიანო-
ბამდე დადიოდა ილუმინირებულ
ქალაქში, მოზეიმეტა შორის. იგი
ძლიერ ღელავდა და პირველად
მთელი იმ წლების მანძილზე, სამ-
შობლოში რომ გაატარა, ჯერ პა-
ტიმრობაში, შემდეგ კი პატიმრო-
ბიდან განთავისუფლებულმა, პი-
რველად მოუხდა მოეთხრო თავის
წარსულზე.

და აი ერთხელ მან მოგვითხრო
ყველაფერი, რაც ნახა და განიცა-
და.

როგორ დაიწყო ეს

ფოთში გატარებული სიყმაწვი-
ლის შთაბეჭდილებებიდან დამაშა-
ხსოვრდა ეპიზოდი, რომლის შესა-
ხებაც მინდა უპირველეს ყოვლისა
მოგვითხროთ.

გიმნაზიიდან სახლში რომ მივ-
დიოდი, ჩემს მეგობარ, მომავალ
აკადემიკოსთან ერთად მიყვარდა
პორტში შევლა. აქ ხშირად იდგ-
ნენ ჭიათურის მარგანეცის წასა-
ღებად მოსული უცხოური გემები.
ხანდახან პორტთან ახლოს, მინდო-
რზე ინგლისელი მეზღვაურები
ფეხბურთს თამაშობდნენ. ეს თა-
მაში მაშინ ნაკლებად ცნობილი
იყო, მაგრამ სწრაფად შემოდიოდა
მოდაში ფოთელებს შორის.

ჩვენი გზა პორტის ბინძური ქუ-
ჩაბანდებით საწყობების გასწვრივ
მიდიოდა. ერთხელ ჩვენი ყურად-
ღება მიიპყრო პატარა აუზთან
მდგომი მტვირთავების ჯგუფმა;
ისინი რაღაცაზე საშინლად იცი-
ნოდნენ. ახლოს მივედით და დავი-

ნახეთ, რომ წყალში ფართხალებდა რამდენიმე ვირთხა. შუაში ეგდო ერთადერთი აგური. ყველა მასზე ასვლას ცდილობდა, რადგან სხვანაირად თავს ვერ გადაირჩენდნენ. მაგრამ იგი ისე პატარა იყო, რომ მხოლოდ ერთ ვირთხას დაიტევდა.

აგურის ირგვლივ მძაფრი ბრძოლა წარმოებდა. ვირთხები აქაფებდნენ მღვრიე წყალს, კბენდნენ და ღრღნიდნენ ერთმანეთს. ბოლოს ერთ-ერთმა, ყველაზე დიდმა ვირთხამ გაიმარჯვა და აგურზე ავიდა. მთლად დაფლეთილი და გასისხლიანებული, იგი ხარბად იყურებოდა აქეთ-იქით.

მან გაიმარჯვა არსებობისათვის ბრძოლაში, მაგრამ ისე საზიზღრად გამოიყურებოდა, რომ ერთმა მტკირთავმა ჯოხი კრა აგურს და ძალაგამოლეული ვირთხა ისევ წყალში ჩავარდა, გაიზიარა თავისი ამხანაგების გარდუვალი ბედი.

მაშინ ჩვენ მტკირთავებთან ერთად უბრალოდ გავიცინეთ ამ სცენაზე და გზა განვაგრძეთ. მაგრამ შემდეგ ეს ამბავი არაერთხელ გამხსენებია, რადგან საოცრად მაგონებდა ყველაფერ იმას, რაც განვიცადე საზღვარგარეთ, ემიგრაციაში.

მამაჩემს საპარიკმახერო ჰქონდა ფოთში. მდიდრები არ ვიცავით, მაგრამ არც გვიკირდა. მამა ოცნებობდა თბილისში გადაეყვანა ოჯახი და იქ ფართო შენობაში საპარიკმახერო გაეხსნა დიდი სარკეებითა და საზღვარგარეთული სა-

ვარძლებით. მაგრამ არასოდეს არ ყოფნიდა სახსრები და წლიდან წლამდე გადასდებდა ხოლმე თავისი გეგმების განხორციელებას. წინააღმდეგ ვიტყვი, რომ მის იმედებს არ ღირსებია ასრულება. საბჭოთა საგადასახადო პოლიტიკა თანდათან ზღუდავდა მის მეწარმულ მისწრაფებებს და, ბოლოს და ბოლოს, მან საერთოდ დახურა თავისი საწარმო.

გიმნაზია რომ დავამთავრე, ხელისუფლების სათავეში მენშევიკები იდგნენ. საქართველო გახდა „დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკა“. მაგრამ მენშევიკი ლიდერების შეპირებული სიკეთე არ ჩანდა. მოსახლეობის საცხოვრებო დონე ყოველთვიურად უარესდებოდა. გულისტკივილით ვუყურებდით, როგორ გადიოდნენ პორტიდან მარგანეციტით დატვირთული უცხოური გემები, რომლებსაც სანაცვლოდ არაფერი მოჰქონდათ.

სწავლის გაგრძელება ვერ შევძელი. იძულებული გავეხდი მეძებნა სამუშაო, რაც იმ დროს ადვილი საქმე არ იყო. ადგილობრივი შრომის ბირჟაში დავიკავე უბრალო კანცელარისტის ადგილი. სამსახური ბევრ დროს არ მართმევდა, რადგან ბირჟა სამუშაოს არავის აძლევდა. საერთოდ სამუშაო სულ უფრო და უფრო მცირდებოდა.

„ახალგაზრდა მარქსისტების“ ორგანიზაციაში, რომელშიც მეც შევდიოდი, იმართებოდა ცხარე კამათი მენშევიკური რესპუბლიკის

შემდგომი განვითარების გზებზე. მართალია, ბევრს უკვე ეპყირებოდა ქართველი საზოგადოების სხვადასხვა ფენის შეთანხმების შესაძლებლობაში, მაგრამ ჩვენი შტატის ორატორები სამართლის, პატრიოტიზმის, რესპუბლიკის ცნებათა მანიპულირებით გვიმტკიცებდნენ, რომ ჩვენ განვიციდით მხოლოდ დროებით სიძნელებებს, რომელთა გადალახვა შეიძლებოდა დასავლეთის სახელმწიფოთა დახმარებით.

გავიდა ერთი წელი. მეორე, დროებითი სიძნელებები მუდმივად გადაიქცა. საქართველო უცხოელთა ჯარების გასასვლელი ეზო გახდა. ხალხში სულ უფრო პოპულარული ხდებოდა ბოლშევიკური ლოზუნგები. ისინი ამხედრებდნენ ხალხს ბელშევიკური მთავრობის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლისათვის.

მხოლოდ ახლა წავიკითხე აღ. ქუთათელის რომანი „პირისპირ“, რომელიც სიმართლით მოგვითხრობს იმ წლების ამბებს. ამ წიგნის რომელიმე პერსონაჟს, ცხადია, თავს ვერ შევადარებ, მაგრამ ზოგიერთი მათგანის საქციელში თითქმის ჩემს თავს ვხედავ — მერყევ, ნაციონალისტური შხამით გაბრუნებულ ყმაწვილს.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ თბილისში გადავედი და გაცხოველებით დავიწყე მზადება უნივერსიტეტში შესასვლელად. გადავწყვიტე პოლიტიკისათვის თავი დამენებებინა და მხოლოდ მესწავლა. მუშაობისა-

გან თავისუფალ დროს ბიბლიოთეკაში ვატარებდი, ბევრი წიგნი წავიკითხე პოლიტიკურ ეკონომიკასა და ფილოსოფიაში. 1923 წელს მიმიღეს ეკონომიურ ფაკულტეტზე.

ვცხოვრობდი მაშინ პატარა ოთახში, რომელიც ქვრივმა ქალმა მომაქირავა. მერე დიასახლისმა შემომისახლა ერთი ქუთაისელი ახალგაზრდა, მღვდლის შვილი გერონტი ვაშლომიძე. იგი რამდენიმე წლით უფროსი იყო ჩემზე, მაღალი, გამხდარი. ფერმკრთალ გამოწყულ სახეზე მკვეთრად ჩანდა სათვალის მინით გადიდებული თვალები. მან თავი გამაცნო ლიტერატორად, თუმცა მისი არც ერთი ნაწარმოები არ წამიკითხავს. მართალია, ღამ-ღამობით იგი ბევრს წერდა, ჯერ ჩემგან ფარულად, შემდეგ კი აშკარად, მაგრამ ეს იყო ანტისაბჭოთა ხასიათის ყველანაირი მოწოდებანი, თეზისები, ფურცლები. გერონტი იყო მელნიკური უჯრედის წევრი, რომელიც ისევე, როგორც ყველა სხვა ბუტყუაზიულ - ნაციონალისტური პარტია. საქართველოში, არალეგალურ მუშაობას ეწეოდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. მან რამდენიმეჯერ მიმიწვია თავისი უჯრედის სხდომაზე, მაგრამ რისიმე მომიზნებდით თავს ვარიდებდი. მე ხომ გადავწყვიტე სწავლას არ მოვწყვეტოდი!

1924 წლის ზაფხულის ერთ საღამოს ვაშლომიძე როგორღაც მხიარულ ხასიათზე დაბრუნდა და გამანდო, რომ შორს აღარ არის

გადამწყვეტი ამბები, რომელთა წინაშე მე ნათლად უნდა განმესაზღვრა ჩემი პოლიტიკური პოზიცია.

— მითხარი, — არ მეშვებოდა იგი, — იქნები თუ არა ჰეშმარიტი პატრიოტების მხარეზე, რომლებიც ესწრაფვიან გაათავისუფლონ საქართველო ბოლშევიკების მეურვეობისაგან? მე არ შემძლია დაწვრილებითი ცნობები გადმოგცე, მაგრამ ხვალ თუ ჩემთან ერთად წამოხვალ უჯრედის სხდომაზე, ბოლოს და ბოლოს, გაიგებ სად არის შენი ადგილი...

მე ვუპასუხე, რომ რამდენიმე დღით მივდივარ ფოთში, რადგან დედის ავადმყოფობა შემატყობინეს. ეს იყო ფანდი. მე არ მინდოდა პოლიტიკაში გავრეულიყავი, მაგრამ ვერც უარი ვუთხარი მეგობარს და გადავწყვიტე გავცლოდი მას.

მაგრამ ფოთში ველარ წავედი. მეორე დღეს დამაპატიმრა საგანგებო კომისიამ. ბრალი დამდეს, რომ ხელს ვუწყობდი მენშევიკების, კერძოდ ვაშალომიძის ჯგუფის ანტიხალხურ ძირგამომთხრელ საქმიანობას. ეს ჯგუფიც დაპატიმრებული იყო.

გამოძიება რამდენიმე თვეს გაგრძელდა. ჯერ მე წინასწარი პატიმრობის საკანში ვიყავი, მერე კი ჩემთან მოათავსეს აგვისტოს მენშევიკური ავანტიურის მონაწილეები. მათმა ნაამბობმა განმიმარტეს იმ ამბების აზრი, რომელზეც გადაკვრით მელაპარაკებოდა ვაშალომიძე. უკვე ჩემი დაპატიმრების შე-

მდეგ საქართველოს ზოგიერთ რაიონში მენშევიკებმა შეძლეს შეეკონწივებინათ რამდენიმე შეიარაღებული რაზმი და აეჯანყებინათ ისინი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. შეთქმულთა გეგმით, თბილისი უნდა აეღო პირწავარდნილი ავაზაკის ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმს, რომელიც მანგლისის მახლობლად იდგა ტყეში. ვარაუდობდნენ, რომ თბილისთან მიახლოების კვალობაზე ეს რაზმი თანამგრძნობებით „გაიზრდებოდა“ და გადაიქცეოდა „განმათავისუფლებელ არმიად“, მერე კი, ვითომც, დაგვეხმარებოდნენ დასავლეთის სახელმწიფოები და ნოე ჟორდანიას მენშევიკური მთავრობა, რომელიც პარიზში იჯდა, დაბრუნდებოდა.

მაგრამ, ჯერ ერთი, ჩოლოყაშვილის ბანდამ, რომელშიც შედიოდნენ რამდენიმე ათეული კულაკი, ვაჭარი და ყოფილი „სახალხო გვარდიელები“, მოახერხა დაეკავებინა ერთადერთი სოფელი — პრიუტი და არავითარი თანამგრძნობებით იგი არ გაზრდილა. მეორეც, ჟორდანიას დაპირება გარედან დახმარებისა ტყუილი გამოდგა. ამის თაობაზე დასავლეთის სახელმწიფოებთან არავითარი შეთანხმება არ არსებობდა. მაგრამ მაშინ ეს არავინ იცოდა! ავანტიურა სამარცხვინოდ დამთავრდა. სასჯელისაგან რომ თავი დაელწიათ, ბანდის ნაშთები მეტაჟრთან ერთად თურქეთში გადაიხვეწნენ.

როგორც შემდეგ გავიგე, ცნო-

ბილ მენშევიკ ირაკლი წერეთელს, რომელიც ოპოზიციაში ედგა ნოე ყორღანიას მთავრობას, ამის თაობაზე უთქვამს: — სამწუხაროა, რომ იტალიური გემი, რომელმაც 1921 წელს ბათუმიდან წამოიყვანა ჩვენი მთავრობა, მაშინ არ ჩაიძირა. ნაკლებ სისაძაგლეს გავუქეთებლით ქართველ ხალხს.

შუა ნოემბერში დასაკითხავად გამოიძახა გამომძიებელმა მიქაძემ, რომელიც ჩემს საქმეს აწარმოებდა. მიქაძემ მკითხა, რას ვიზამდი, თუ კი გამათავისუფლებდნენ წინასწარი პატიმრობიდან. ასეთ შეკითხვას არ ველოდი, რადგან თავი დავიწმუნე, რომ დამსჯიდნენ, მაგრამ ძლიერ გულწრფელად ვუპასუხე, სწავლას განვაგრძობ, თუკი ამაზე უარს არ მეტყვიან მეტი.

— კარგი განზრახვაა, — შენიშნა გამომძიებელმა, — ეცადეთ მის განხორციელებას. ვაშალომიძის შემთხვევაში თქვენ პატიოსნად არ მოიქცით, დაფარეთ მისი დანაშაულებრივი მოქმედება. და მაინც, ჩვენ არ გთვლით თქვენ საბჭოთა ხელისუფლების თავგამოდებულ მტრად. ვფიქრობთ, თავისუფალი რომ გახდებით, გადასინჯავთ დამოკიდებულებას თქვენს მეგობრებთან. — შემდეგ მიქაძე აღდა და საზეიმოდ განმიცხადა:

— ოქტომბრის რევოლუციის შვიდი წლისთავის აღსანიშნავად სრულიად საქართველოს ცაქმა გამოაცხადა ამნისტია. ჩვენ ვავა-

ვრცელეთ იგი თქვენზე. თვეისუფალი ხართ.

მეც ავდექი, არ ვიცოდი რა მეტქვა და გაუბედავად ავცმუკდი. მაშინ მიქაძემ მითხრა:

— ჩემი რჩევაა: ნუ ჩაიდენთ დანაშაულს. აღარ დაგინდობთ.

უნდა გამოვტყდე: ჩემი მოულოდნელი განთავისუფლება მაშინ დიდსულოვნების აქტად არ მიმიჩნევია. ვფიქრობდი, გამომძიებამ უბრალოდ ვერ დამიმტკიცა, რომ მე, მართლაც დავფარე ის, რაც ვიცოდი ვაშალომიძის საქმიანობის შესახებ.

დაპატიმრების გამო სწავლაში ერთი წელი დავკარგე და შემდეგ ბეჭითად ვინაზღაურებდი ყველაფერს. ზაფხულში ნათესავებს ვეწიე ფოთში.

ერთხელ, თბილისში რომ ვბრუნდებოდი, სამტრედიის პერონზე გადავედი და პირისპირ შევეჩხე გერონტი ვაშალომიძეს. სადგურის ბუფეტის დახლოდან ჩვენი შეხვედრის აღსანიშნავად თითო ბოთლი ღვინო დავლიეთ. გერონტიმ მითხრა, რომ ამას წინათ დაბრუნდა პატიმრობიდან და ჯერ არ იცის სად იცხოვრებს.

— ვიქნები იქ, სადაც ყველაზე უფრო დავჭირდები საქმეს და მეგობრებს, — პათოსით მითხრა მან. — უნაგირიდან ჯერ კიდევ არ გამოვვარდნილვარ.

გერონტიმ სურვილი გამოთქვა სადგურ რიონამდე გავეცილებინე. საუბარი განვაგრძეთ ტამბურში, სადაც მან არ მომიწონა სურვილი

დამემთავრებინა თბილისის უნივერსიტეტი.

— მომავალ საქართველოს დასჯირდება ბევრი განათლებული ადამიანი, — მითხრა მან, — მაგრამ არა საბჭოთა დიპლომით. ნამდვილ ცოდნას მხოლოდ ევროპაში შეიძენ და უნდა ეცადო იქ მოხვედ.

— ამისათვის საჭიროა სახსრები, — შევეპასუხე მე.

— რა თქმა უნდა, — მიპასუხა გერონტიმ, — ეს სახსრები აღმოაჩნდება ჩვენს ემიგრანტულ მთავრობას, თუ კი საჭიროდ ჩათვლის დაეხმაროს.

რიონში რომ გამოემეშვიდობა, ვაშალომიძემ მითხრა, თბილისში საქმე მაქვს, მაგრამ ჯერ ვერ ჩამოვალ.

— დიდად დამავალე, თუ საჭიროების შემთხვევაში დამეხმარები, ანდრო.

— რაც კი შემიძლება, — ვუპასუხე მე და ხელი ჩამოვართვი. ჩვენ ხომ დავლიეთ და რიხიან გუნებაზე ვიყავი.

გავიდა რამდენიმე თვე. მე თითქმის დამავიწყდა ეს შეხვედრა, რომ მოულოდნელად დებეშა მივიღე — ბათუმის მატარებელს დახვდი და ერთი გლეხი ამანათს გადმოგცემსო. წავედი ვაგზალში და შევხვდი გლეხს. მან ხურჯინიდან ამოიღო მომცრო, მაგრამ ტყვიასავით მძიმე შეკვრა და გადმოშვა იგი პატარა წერილთან ერთად. გერონტი მატყობინებდა, რომ კიდე იქნებოდა რამდენიმე შეკვრა და მთხოვა შემენახა ამანათები მის

ჩამოსვლამდე. თვის ბოლოს ჩემს ოთახში უკვე ინახებოდა სამი შეკვრა. ყველა მათგანში იყო სასტამბო შრიფტი.

თვითონ გერონტი არ ჩანდა. მე უკვე შევშფოთდი, როცა, ბოლოს, მივიღე მისი წერილი, მუშტაიღში მოდიო — ჯერ კიდევ ასე ვეძახდით მაშინ ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკს.

დანიშნულ დროს შევხვდი მას. გერონტიმ მაღლობა გადამიხადა და ჩემს დახმარებას დიდი პატრიოტული საქმე უწოდა.

— მაგრამ შენთან შრიფტის შემდგომი შენახვა სახიფათოა, — თქვა მან, — თვითონ მე შენთან მოსვლა არ შემიძლია. იქნებ, დათანხმდე და მიიტანო იგი მითითებულ მისამართზე?

მე დავეთანხმე შემესრულებინა მისი ეს თხოვნაც.

არ ვიცი, რატომ მოქმედებდა ეს კაცი ჩემზე ასე უცნაურად. არ იყო იგი, და მე მხოლოდ ვსწავლობდი. გამოჩნდებოდა და უკან მივდევდი, როგორც ძალი პატრონს.

ასე მიმიყვანა მან მტკვრის ნაპირას ძველისძველ სახლში, სადაც იკრიბებოდნენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გაბოროტებული ადამიანები.

ვაშალომიძე ხმამაღლა გვიკითხავდა მენშევიკებისა და სოციალ-ფედერალისტების ემიგრანტულ გაზეთებს „ბრძოლის ხმას“ და „ცნობის ფურცელს“, რომლებსაც ალაჰმა უწყის საიდან იღებდა. ისი-

ნი წერდნენ, რომ საბჭოთა ხელისუფლება ირღვევა საშინაო და საგარეო სიძნელეთა ტვირთქვეშ, რომ მისი დღეები დათვლილია. ჩვენ ვუჯერებდით სულელ მჯდბნელებს, რომლებიც სამშობლოდან შორს იყვნენ, თუმცა ჩვენს თვალწინ სრულიად საწინააღმდეგო ხდებოდა. რუსეთში ამუშავდა ვოლხოვის ელექტროსადგური, საქართველოში აინთო ზაპკისის ჩირაღდნები. შენდებოდა ფაბრიკა-ქარხნები. მაღაზიებში მეტი პროდუქტი გაჩნდა. ხალხის განწყობილება სულ უფრო და უფრო უმჯობესდებოდა.

მახსოვს, ჩვეულებრივ ეგზალტირებული გერონტი ერთხელ, ჩვენი მორიგი კითხვის შემდეგ, როგორ დადლილი გვესაუბრებოდა იმაზე, რომ მუშაობა სულ უფრო ძნელდებოდა, რომ მოვიდა ახალგაზრდობის ახალი თაობა, რომლისთვისაც უცხოა საქართველოს „ჭეშმარიტი პატრიოტების“ იდეები, ისინი ვითომც მზად იყვნენ ლუკმა პურისთვის გაჰყოლოდნენ ბოლშევიკებს ნაცვლად იმისა, რომ ებრძოლათ ჩვენი დამოუკიდებლობისათვის.

იმ საღამოს, მარტონი რომ დავრჩით, ჩვენ დიდხანს ვისაუბრეთ სანთლის მოციმციმე შუქზე. გერონტიმ გამანდო თავისი განზრახვა — ფურცლები გამოეშვა მენშევიკური „დამოუკიდებლობის დღისათვის“ და მოხოვა მათი გავრცელება უნივერსიტეტში. მე უარი არ მითქვამს ამ დავალებაზე, მაგ-

რამ ვკითხე, რამდენად სასარგებლო იყო ასეთი მოქმედება. ვფიქრობდი, რომ იგი ეფექტს არ გამოიღებდა, ჩვენი ჩაგდება კი შეეძლო. გერონტიმ მიპასუხა, ასეთი შესაძლებლობა გამორიცხული არ არის, მაგრამ ჯერჯერობით საჭიროდ მიაჩნია ამგვარი მოქმედება ბოლშევიკების წინააღმდეგ, რადგან ეს უპასუხებს ეროვნული მოძრაობის ინტერესებს და ამაგრებს ემიგრაციის ხელმძღვანელთა მდგომარეობას საზღვარგარეთ. რეალური საფრთხის შემთხვევაში კი მოგვიხდება საზღვარგარეთ გადახვეწა. მან უკვე გაითვალისწინა ეს და გადადგა ზოგიერთი პრაქტიკული ნაბიჯიც.


— შენთვის ეს ხომ უკეთესია, — მარწმუნებდა გერონტი. — შეგეძლება საფრანგეთში დაამთავროსწავლა.

შემდეგ გერონტიმ დამისახელა ლეონიდე სკარუევსკი, ბარათოვის არმიის ყოფილი მუსიკოსი, რომელმაც იცის უხიფათო გზა სპარსეთის საზღვარზე.

— მაგრამ ეს ყოველი შემთხვევისათვის, — შენიშნა გერონტიმ დამშვიდობებისას.

გერონტის რომ გამოვეთხოვე, თენდებოდა და შინ უკაცრიელი ქუჩებით მივდიოდი. ჰაერი გაყინული იყო აყვავებული აკაციის არომატით. ამოვიდა მზე და მისმა პირველმა სხივებმა გამოაღვიძა ქალაქი...

სახლს რომ მივუახლოვდი, ჯერ კიდევ შორიდან შევნიშნე, თუ რო-



გორ გამოკრთა ლანდი ჩემი ოთახის ფანჯარაში. ამან დამაეჭვა, მეზობელ სადარბაზოში შევედი და კიბის ჩარჩოდან დავიწყე თვალი. მალე კუთხიდან გამოვიდა ორი ახალგაზრდა, რომლებიც ერთმანეთს ესაუბრებოდნენ, და ახლოს გაჩერდა. ჩემს ოთახს უთვალთვალებდნენ.

მე გავედი გასასვლელ ეზოში ისე სწრაფად, რომ ძლივს ვიკავებდი თავს სირბილისაგან, და უგზო-უკვლოდ გავიქეცი. თავში მხოლოდ ერთი აზრი მიტრიალებდა: რაც შეიძლება გავშორებოდი ჩემს სახლს. მაგრამ სად წავსულიყავი? ჯერ ვაგზლისავენ წავედი, მაგრამ მერე ვიფიქრე, შეიძლება ეს ბოდაა, ჩემი აგზნებული ფანტაზიის ნაყოფი? უბრალოდ მე შევცდი, შემეშინა. უნდა შევამოწმო.

მტკვრის ნაპირი. სახლი, რომელიც განთიადისას დავტოვე. მალეობიდან, რომელზეც ავედი, იგი კარგად მოჩანდა. ვზივარ. ვუთვალთვალე. ზედიზედ მოვწიე ნახევარი კოლოფი პაპიროსი. არა, საეჭვო არაფერია. როგორ მოვიქცე? და აი სახლის კარი გაიღო და იქიდან სამი კაცის თანხლებით ვაშალომიძე გამოვიდა. ერთი მათგანი ძლიერ მივამსგავსე გამომძიებელ მიქაძეს.

საეჭვო არაფერი იყო. ჩვენ ჩავვარდით. მაშინვე გამახსენდა, რა მითხრა მიქაძემ — არ დაგინდობოთ.

ბევრი აღარ მიფიქრია და ლეონიდე სკარჟევსკის მივაშურე.

— სწორედ დროზე მოხვედით.

— მითხრა სკარჟევსკიმ, როცა მასთან მივედი ყოველივე გარდახდილით აღელვებული და გულდამძიმებული. — ხვალ მივდივარ.

ჩვენ შევუდექით გაქცევის გეგმის განხილვას, უფრო სწორად — სკარჟევსკი ლაპარაკობდა, მე კი ვუსმენდი და ვეთანხმებოდი, რადგან სრულებით არაფერი ვიცოდი, რა მდგომარეობა იყო სახელმწიფო საზღვარზე, რომლის გადალახვასაც ვაპირებდით.

ისიც მაცბუნებდა, რომ ჯიბეში ძლიერ ცოტა ფული აღმომაჩნდა. ხოლო განძეულიდან მარტო საათი, რომელიც სკარჟევსკის რჩევით ქუდში დავმაღე.

მთელი დღე მზადებასა და მსჯელობაში გავიდა, ხოლო დილით შემხვედრი მანქანით ჩავედით რკინიგზის სადგურ სანდარში და ერევნის მატარებელში ჩავსხედით. სკარჟევსკიმ იცოდა ნელი სვლისას სად შეიძლებოდა გადმოხტომა მატარებლიდან, სად წავსულიყავით.

ერთი დღის შემდეგ ჩვენ უკვე მდინარე არაქსთან, სახელმწიფო საზღვრის ხაზზე ვიყავით. საღამოხანს ბუჩქებში დავიმალეთ, ვუთვალთვალე მესაზღვრეთა რაზმის მოძრაობას და ღამის საფარქვეშ უხმაუროდ გადავედით მდინარეზე.

რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს საშიში იყო და დიდ სიფრთხილეს მოითხოვდა, მაგრამ იმ წლებში

ისე გულდაგულ არ იცავდნენ საზღვარს, როგორც შემდეგ.

პირველად ჩემს სიცოცხლეში მივაბიჯებდი ჩემთვის უცხო მიწაზე. ჩვენ უკვე აღარ ვიმალებოდით და ამჟამად მივდიოდით. თენდებოდა.

განთიადისას სოფელთან შეგვხვდა სასაზღვრო დაცვის ორი ჯარისკაცი. მათ მამასახლისთან მიგვიყვანეს და სულ მთლად გადმოგვიბრუნეს ჯიბეები. როგორც კი ჩვენს ფულს ჯარისკაცებმა საკუთარ ქისაში გადაუძახეს, თავი მიგვანებეს, მაგრამ მოძრაობა აგვიკრძალეს, საჭმელს არ გვაძლევდნენ. როცა მამასახლისს ვთხოვე, ეჭმია რაიმე, მან გვანიშნა, რომ ამისათვის ფული არის საჭირო. ჩვენ დიდხანს ვემუდარებოდით ჯარისკაცებს, ვიდრე რამდენიმე ჩვენსავე მონეტას მოგვცემდნენ.

მეორე დილით სასაზღვრო საგუშაგოზე მიგვიყვანეს და ჰაუბტეახტში ჩავსვეს. შემდეგ რამდენიმეჯერ გადაგვიყვანეს საგუშაგოდან საგუშაგოზე, ვიდრე თავრიზში არ აღმოვჩნდით.

ყველაფერი ეს კოშმარს ჰგავდა. გვცემდნენ, ისევ და ისევ გვიბრუნებდნენ ჯიბეებს და, როცა რწმუნდებოდნენ, რომ ისინი ცარიელია, მოითხოვდნენ დაგვესახელებინა მეგობრები, რომელთაც შეეძლოთ მათი ავსება. ჩემი ახსნა-განმარტება, რომ პოლიტიკური მოღვაწეები ვიყავით და ბოლშევიკებს გამოვექეცით, შთაბეჭდილებას არ ახდენდა.

განსაკუთრებით გაგვიჭირდა თავრიზში. აქ ვიჯექით ფანტასტიკურ ნაფლეთებსა და ჩვრებში გახვეულ ქურდებთან და ავარებთან ერთად. საკანი აუტანლად ყარდა, ამასთან არაფერს გვაჭმევდნენ და მესამე თვის ბოლოს ფეხზე ძლივს ვიდექით. არ ვიცი, რით დამთავრდებოდა ყველაფერი ეს, თუ არა საათი, რომელიც ქუდიდან გამოვიღე და რომლის საფასურადაც დარაჯი გვაძლევდა ნაჭერ პურს და ტოლჩა სუფთა წყალს.

ბოლოს გამოგვიცხადეს, რომ თავისუფალი ვართ და შეგვიძლია ვიცხოვროთ თავრიზში, მაგრამ უფლება არ გვქონდა ამ ქალაქიდან გავსულიყავით. სკარჟევსკიმ სწრაფად მონახა ვიღაც არმიელი ნაცნობი და გაქრა, მე კი გავემართე რომელიმე ქართველის მოსაძებნად. უცხო, გულგრილმა აღმოსავლურმა ქალაქმა და მდგომარეობამ, რომელშიც აღმოვჩნდი, სასოწარკვეთილებაში ჩამაგდო. მთელი დღე ვხეტილობდი ვიწრო ქუჩებსა და შესახვევებში, გამვლელებს სახეში ვაცქერდებოდი, ვიხედებოდი მყრალ ეზოებში. ბოლოს გადავყარე ემიგრანტი მენშევიკის — ვასოს სამკერვალო სახელოსნოს. მან დამაპურა და დამეხმარა, რომ ასე თუ ისე რიგიანი შესახედაობა მქონოდა. შემდეგ გამაცნო თავისი მეგობრები, ისეთივე ემიგრანტი - მენშევიკები, რომლებიც საქართველოდან გამოექცნენ საბჭოთა ხელისუფლებას. ისინი უკვე დაბინავებული და მოწყობილი იყ-

ენენ სპარსეთში. ზოგიერთი მუშაობდა ჯულფა-თავრიზის რკინიგზაზე, ხოლო ვიქტორ ჯღარკავას ექიმის თანამდებობაც კი ეკავა ადგილობრივ ჰოსპიტალში. მე მასთან გადავედი და ერთხანს მის ხარჯზე ვცხოვრობდი. რამდენ ხანს შეიძლებოდა ასე გაგრძელებულიყო? სამუშაოს ვეძებდი, მაგრამ ამაოდ, ამასთან მე ზომ საფრანგეთში უნდა მესწავლა?

ერთხელ ვიქტორმა მითხრა, რომ ჯერ კიდევ საქართველოდან იცნობდა პარიზში ქართული ემიგრაციის ერთ-ერთ ხელმძღვანელს — გიორგი გვაზავას, ეგებ დახმარება ვთხოვოთ მას? მე ჩავეჭიდე ამ იდეას და დავწერეთ წერილი, რომელშიც დაწვრილებით და მჭევრმეტყველური გაზვიადებით დავუხატეთ სპარსეთში ქართველი ემიგრანტების საშინელი ცხოვრების სურათები. წერილის დასასრულს ვთხოვდი დამხმარებოდა, თავი დამეღწია თავრიზიდან. პასუხად გვაზავამ გამოგვიგზავნა ამონაწერი ჟურნალ „უენევისა“, რომელსაც ე. წ. პიროვნების დაცვის ლიგა უშვებდა. მოჰყავდათ ამონაწერები ჩემი წერილიდან. „და ეს არის ყველაფერი? — გავიფიქრე მე, — მაგრამ არა, არ მოვეშვები“. და განვაგრძე წერა. მოვლილი გზით გამოგზავნილ გვაზავას ერთ-ერთ საპასუხო წერილში აღმოჩნდა მენშევიკთა საზღვარგარეთული ბიუროს მდივნის სანდრო მენაღარიშვილის წერილი. მასში ნათქვამი იყო, რომ საჭიროა კავშირი მენშევიკურ ია-

ტაკქვეშეთთან საქართველოში წერილის ავტორი მიუთითებდა, რომ ასეთი მოქმედება უაღრესად აუცილებელია, რამდენადაც საზღვარგარეთულ ბიუროს ბოლოხანებში არავითარი ცნობა არ ჰქონდა საქართველოდან. წარმატების შემთხვევაში მპირდებოდნენ, რომ დამეხმარებოდნენ პარიზში გადასვლაში და აღმოთქვამდნენ სტიპენდიას უმაღლეს სასწავლებელში.

ახლა მე კარგად მქონდა წარმოდგენილი, რას ნიშნავდა კავშირის დამყარება იატაკქვეშეთთან საქართველოში. იქ, საგანგებო კომისიაში, უკვე მიცნობდნენ და გამაფრთხილეს, რომ არ დამინდობდნენ. მაგრამ რამდენადაც გაიელვა პარიზში მოხვედრისა და იქ სწავლის იმედმა, გადავწყვიტე შემესრულებინა საზღვარგარეთული ბიუროს დავალება, მაგრამ როგორ?

და აი, ამ დროს გამოჩნდა ახალი ლტოლვილი საქართველოდან — ილია ზაქარაია. მან თავი გაგვაცნო როგორც საქართველოში მენშევიკური არალეგალური ორგანიზაციის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა და განაცხადა, რომ საზღვარგარეთულ ბიუროს უნდა მოახსენოს გაწეული მუშაობის შესახებ. ჩვენ მივეცით მენაღარიშვილის მისამართი და, რამდენიმე ხნის შემდეგ პარიზიდან პასუხი რომ მიიღო, თავი მოგვიყარა და გავგიმეორა პარიზის ხელმძღვანელობის მოთხოვნა: კავშირი, კავშირი და კავშირი!

— აუცილებელია რომელიმე თქვენგანი გამოიყვეს თბილისში.

ყველამ იპოვა საბაბი უარი ეთქვა ამ წინადადებაზე. რამდენადაც მარტო მე არ ვიღებდი ხმას, ყველამ მე შემომხედა. მე ვთქვი:

— რა გაეწყობა, საჭირო თუ არის — წავალ!

საზღვარზე გადასვლაში დაგვეხმარა აქტიური მუსავეტელი მამედ საღიხი, რომელიც სპარსეთში დაბინავდა და ხელმძღვანელობდა ძირგამომთხრელ მუშაობას საბჭოთა აზერბაიჯანის წინააღმდეგ. ორდუბადის მახლობლად არაქსზე რომ გადავედით, გამოვემშვიდობეთ გამყოლ სპარსელს მაგარამს და ნახჭევანს მივადგოეთ, ხოლო მეორე დღეს მატარებლიდან ჩამოვედით სადგურ ნავთლულში.

ფაეტონმა თბილისში ჩამოგვიყვანა. შევედით რესტორან „სიცოცხლეში“ და საღამომდე იქ ვისხედით. დროდადრო ზაქარაია მარტო მტოვებდა და საღდაც იკარგებოდა.

იმ წუთებში ძლიერ მინდოდა გამოვსულიყავი რესტორანიდან, შემეხედა ჩემი ქალაქისათვის, რომელიც ესოდენ მომენატრა, მივსულიყავი სახლთან, სადაც ვცხოვრობდი და შემეძლო ახლაც მეცხოვრა. მაგრამ თავჩაქინდრული ვიჯექი და ყველას ზურგს ვაქცევდი, რომ ვინმეს არ ვეცნე. როცა ჩამობინდდა, ჩვენ ისევ ფაეტონით წავედით მუხრანის ქუჩაზე და შევედით ბინაში, რომლის კარები თვითონ ზაქარაიამ გააღო.

ყველაფერი კარგად მიდიოდა არავის შეგუწუხებიათ და მაგრადაც გამოვიძინეთ, დილით კი ჩვენთან ახალგაზრდა კაცი მოვიდა. ზაქარაიამ იგი გამაცნო როგორც არალეგალური მენშევიკური ცენტრალური კომიტეტის წევრი, რომელსაც იატაკქვეშეთში მეტსახელდ არიანას ეძახდნენ.

არიანა მეტისმეტად ალლოიანი და მარჯვე აღმოჩნდა.

— ანგარიში უორდანიასა და რამიშვილისათვის? ხვალ იქნება!

მეორე დღეს იგი მოვიდა დიდი სასურსათო ჩანთით, საიდანაც მოჩანდა ღვინიანი ბოთლები, შემწვარი ქათამი და სხვა ხორაგეულობა. ყველაფერი ეს გამიზნული იყო სამი არცთუ შეუძლო მამაკაცის ტაბლობისათვის.

— ეს კი — ჩვენს მეგობრებს პარიზში, — თქვა მან და გამოგვიწოდა პაკეტი. ჩვენდამი ნდობის ნიშნად იგი დაწებებული არ იყო და არიანამ მრავალმნიშვნელოვანი გამომეტყველებით პაკეტიდან გამოიღო დოკუმენტი.

— ეს არის ჩვენი გუშინდელი კონფერენციის დადგენილება, რომელსაც ესწრებოდნენ საქართველოს თითქმის ყველა რაიონის წარმომადგენლები. გინდათ წავიკითხოთ?

იგი იყო გრძელი, მაღალფარდოვნად შედგენილი რეზოლუცია, რომლიდანაც დამამახსოვრდა ზოგიერთი პრაქტიკული მუხლი:

— ოპოზიციური საქმიანობისათვის ირაკლი წერეთელი მოიხსნას

მეორე ინტერნაციონალში ქართველი მენშევიკების წარმომადგენლის თანამდებობიდან და მის მაგივრად დაინიშნოს კონსტანტინე გვარჯალაძე.

— გამოეცხადოს სასტიკი საყვედური აკაკი ჩხენკელს და მოიხსნას იგი საფრანგეთის მთავრობასთან მენშევიკების წარმომადგენლის თანამდებობიდან.

— მენშევიკური მთავრობის ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრს ევგენი გეგეჭკორს მიეთითოს ნაციონალისტებთან ბლოკისათვის.

დოკუმენტი რომ წაიკითხა, არიანამ დაწება კონვერტი და გადმოშვაც ამის შემდეგ ჭამას შევუდგეით.

— ბოდიშს ვიხდი ღარიბი სუფრისათვის! — დაიწყო არიანამ თავისი სადღეგრძელო. — მამაჩემის მოჯამავირესაც კი მაგიდაზე მეტი საუზმე ეწყო, ვიდრე ჩვენ, საქართველოს პატივცემულო ადამიანებო. მაგრამ რას იზამ? შეიძლება ჩვენთვისაც დადგეს უკეთესი დრო. მოდიო, ამის სადღეგრძელო შევსვათ!

სადღეგრძელო სადღეგრძელოს მისდევდა.

კარგად რომ შეეზარხოშდით, ზაქარაიამ არიანას უნებლიეთ უწოდა დავითი და, როცა მისი სადღეგრძელოს ჯერი მოვიდა, მე ფეხზე ავდექი და ვთქვი:

— ქედს ვიხრი შენს წინაშე, დათიკო, არა მარტო შენი გაბედულების, არამედ ორგანიზატორუ-

ლი უნარის გამოც. ეს თვისებაა რომ არ გქონოდა, იატაკქვეშეთის პირობებში და ასე მოკლე დროში ვერ შეძლებდი კონფერენციის ჩატარებას და ესოდენ სასარგებლო გადაწყვეტილებათა მიღებას.

დათიკო ღიმილით მისმენდა და, როცა დავამთავრე, ერთბაშად სერიოზული სახე მიიღო და მითხრა, რომ მენშევიკური იდეებისათვის ბრძოლა საქართველოში სულ უფრო ძნელი ხდება, რადგან ხალხმა დიდი ხანია ზურგი შეაქცია მათ. ორგანიზაციები და ცენტრალური კომიტეტი განადგურებულია და შეიძლება მარტო უცხოელთა არმიების შემოჭრის იმედი ვიქონიოთ.

— რაც შეეხება ჩემს ორგანიზატორულ უნარს, ბატონო ანდრო, — დაამთავრა მან, — მას უფრო ლიტერატურული უნდა ვუწოდოთ, რამდენადაც თქვენთვის გადმოცემული დოკუმენტის შესადგენად მთელ ღამეს გულმოდგინედ ვმუშაობდი. რა თქმა უნდა, არავითარი კონფერენცია არ ყოფილა...

უხერხული დუმილი ჩამოვარდა.

— მაშინ შენი სადღეგრძელო მეორედ უნდა დავლიოთ, დათიკო, — შევეცადე მე მდგომარეობა მეხსნა, — ეს შენი გამომგონებლობისა იყოს.

მაგრამ ჩვენი სუფრიდან უკვე გაქრა მხიარულება და კმაყოფილება.

მეორე დღეს იმავე გზით სპარსეთში რომ ვბრუნდებოდი, ვიხსენ-

ნებდი არიანას აღიარებას. სინა-
ნულით ვფიქრობდი იმაზე, რომ
სიცოცხლეს საფრთხეში ვიგდებ-
დი ყალბი ქაღალდებისათვის. მაგ-
რამ ისინი გზას მიხსნიდნენ პარი-
ზისაკენ!

მიღებაზე „პრემიერთან“

ამრიგად, პირველმა გადასვლამ და
„ძვირფასი პაკეტით“ დაბრუნ-
ებამ აამაღლა ჩემი ავტორიტეტი
„საზოგადოების“ თვალში და და-
მეხმარა მიმელო სპარსეთის პას-
პორტი, გზას რომ მიხსნიდა პარი-
ზისაკენ. მაკის, ერზერუმისა და
ტრაპიზონის გავლით ჩავედი სტა-
მბოლში. აქ შემხვდა მენშევიკური
მთავრობის წარმომადგენელი. მან
ადგილი მიმოვა ფრანგულ გემზე,
რომელიც მარსელში მიდიოდა,
მომცა გასამგზავრებელი ლიტერი
და 15 თურქული ლირა.

გემის გასვლის დღეს იგი ნავმი-
სადგომზე შეწუხებული მოვიდა.

— უბედურება მოხდა, პარიზში
მოკლეს ნოე რამიშვილი.

— ვინ, როდის, რა ვითარებაში,

— თავი ვერ შევიკავე შეკითხვის-
აგან.

— დაწვრილებით ამბავს პარიზ-
ში გაიგებ, ჯერჯერობით მე თვი-
თონ არ ვიცი...

...აი ისიც — დიდი ხნის ნანატ-
რი პარიზი...

მე უნდა ვიპოვო მისამართი:
ტროკადეროს მოედანი. წმიდა
მამათა ჩიხი. ჩიხი? რატომ ჩიხი?
ოჰ, დიახ... აქ იმყოფება საქართვე-
ლოდან განდევნილი მენშევიკური
მთავრობის ტართული ლეგაცია-

რეზიდენცია. მანამდე მე არ მეს-
მოდა ამ ჩიხური მისამართის მთე-
ლი ტრაგიკომიზმი, მისი შემთხვე-
ვითი სიმბოლური აზრი.

სანდრო მენაღარიშვილს პირვე-
ლად შევხვდი პატარა გაცვეთილ
ოთახში, რომლის შესახედაობა
სრულებით არ შეეფერებოდა მისი
პატრონის გარეგნობას. ჩემს წინ
იდგა შუახნის სპორტული აღნაგო-
ბის საინტერესო მამაკაცი, რომე-
ლსაც მოდური, კარგად მომდგარი
კოსტიუმი ეცვა.

მე მოხერხებულად მოვკალათდი
და ხანგრძლივი საუბრისათვის მო-
ვემზადე. მე ხომ პაკეტით ჩამოვე-
დი და, ეს-ეს არის ვიყავი იქ, მშობ-
ლიურ მიწაზე! მაგრამ მენაღარი-
შვილი სრულებით არავითარ ემო-
ციას არ ამჟღავნებდა: იგი სადღაც
მიიჩქაროდა და ამიტომ უყურად-
ღებოდ მისმენდა, განუწყვეტლივ
ამოძრავებდა თავის სათუთად მო-
ვლილ ხელებს—ხან კოსტიუმიდან
იფერთხავდა ბუსუსებს, ხან ფურ-
ცლავდა მაგიდაზე დაწყობილ გა-
ზეთებს. ბოლოს, ბოდიში მომიხა-
და და გადამცა მასთან შემოსულ
ახალგაზრდა კაცს — ვინმე აკაკის.

— ახლა თქვენ უნდა დაისვენო-
თ, — თავზიანად მითხრა მან.
— აკაკი გიჩვენებთ სასტუმროს,
სადაც დაბინავდებით, ხოლო დი-
ლით წავიყვანთ ნოე ჟორდანიას-
თან მიღებაზე.

სანამ პარიზის გარეუბან ბიან-
კურს მივადწევდით, სადაც იყო
სასტუმრო „ნაციონალი“, კიდევ
დადამდა. აკაკიმ სასტუმროში დამ-
ტოვა და შემპირდა, ხვალ მოვა-



ლო. დასვენება არ მინდოდა. გამოვედი გაჩირალდნებულ ქუჩებში, ცნობისმოყვარეობით შევეყურებდი ადამიანებს, ყურს ვუვდებდი უცნობ ლაპარაკს. აღმოჩნდება კი მათ შორის ჩემი ადგილი?

ჩემი ფიქრები კვლავ მენალარიშვილთან საუბარს უბრუნდებოდა. რატომ ერთი სიტყვა არ წამოცდა, რომ მე პარიზში ვრჩებოდი სწავლის დასამთავრებლად?! საერთოდ, რატომ ისე მელაპარაკებოდა, თითქმის შიკრიკი ვიყავი, რომელმაც რაღაც მივუტანე და სასწრაფოდ უნდა გავცლოდი? ეგებ, უხერხულიცაა ამაზე ლაპარაკი პირველი შეხვედრისას? ეგებ, ეთიკა კრძალავს ამაზე საუბარს ჟორდანისთან შეხვედრამდე?

მაშინ რომ მცოდნოდა, რას წარმოადგენდა მენალარიშვილი! ცოტა ხნის შემდეგ შემთხვევით შევედი ბიანკურის ერთ-ერთ გასტრონომიულ მაღაზიაში და ვხედავ: ეს პოლიტიკური მოღვაწე, რომელიც თავის თავს სოციალისტს უწოდებს, სალაროში ზის და დათაფლულ ღიმილს აფრქვევს სქელქისიან მყიდველ ქალებს. მაღაზია იყო ჩვენი მარჯვენა სანდროს საკუთრება! საზღვარგარეთული ბიუროს მთელ კონსპირატულ მუშაობას რომ ხელმძღვანელობდა, თავისი პრაქტიკული ჯეჟის მეოხებით მენალარიშვილი ყველგან და უპირველეს ყოვლისა პირად სარგებლობას აღწევდა. იმ დროს, როცა სხვა ქართველი ემიგრანტები სილატაკეში ცხოვრობდნენ და ძლივს გაჰქონდათ თავი, ეს „პარ-

ტიული ბოსი“ ნატიფად იცავდა ყოველთვის სვებედნიერად და დარი იყო. მან იცოდა, როგორ ჩაეგდო ენა ოპონენტებისათვის, როგორ უარეყო თავისივე სიტყვები ან მოხერხებულად, შეუმჩნევლად ჩირქი როგორ მოეცხია ადამიანისათვის, ვისდამიც ჯერ კიდევ გუშინ მხურვალე სიმპათიას ამჟღავნებდა.

ამრიგად, დილით უნდა შევხვედროდი ყოფილ პრემიერს. აკაკი დანიშნულ დროზე გამოცხადდა. ჩვენ ტრამვაიში ჩავსხედით და გავემგზავრეთ. არასოდეს წინათ ასე დიდხანს არ მიმგზავრია ტრანსპორტის ამ სახეობით. ბოლოს, მივედით გარეუბან ლა კურნოვიეს რაიონში და აკაკი მიმიყვანა ორსართულიან სახლთან. აქ ცხოვრობდა ნოე ჟორდანი.

ერთი წუთის შემდეგ კარი გაგვიღო ახალგაზრდა წვერიანმა ქართველმა და წინკარში შეგვიშვა. მე დავინახე სამზარეულო, სადაც ასეთივე ბრგე წვეროსნები კარტოფილს ფცქვნიდნენ. ესენი იყვნენ ჟორდანისა მცველები, გამუდმებით ცხოვრობდნენ ამ სახლში და დროთა ვითარებაში გადაიქცნენ შინამოსამსახურეებად. აკაკიც ამ ამაღას ეკუთვნოდა.

ამასობაში გამოვიდა ჟორდანიას ცოლი, უკვე ჩამომჰყნარი ქალი, რომელსაც სახეზე კოსმეტიკის კვალი აღბეჭდოდა. იგი რუსულად მომესალმა და მიმიწვია ზედა ოთახებში, თვითონ კი ოდნავ ჩამორჩა და წვეროსნებს გასძახა:

— სანამ მთელ კარტოფილს არ

გაფცქვნიტ, არ წახვიდეთ! და კიდეც, მწვანილი არ დაგავიწყდეთ, კარგად გარეცხეთ.

ზემოთ რომ ავედი, მივიხედ-მოვიხედე: მოწყობილობა მდიდრულია. ოთახები ბლომადაა. მასხა-დამე, საქმე კარგად მიდის. პრემიერის ცოლმა შეწყვიტა ჩემი დაკვირვებანი:

— ნოე ნიკოლაევიჩი გელოდებათ.

ღია კარებში შევედი და ვრცელ კაბინეტში აღმოვჩნდი. საწერი მაგიდიდან წამოდგა გამხდარი მოხუცი გრძელი თეთრი წვერით, სავარძელში გადაჯდა და თავის პირდაპირ შემთავაზა ადგილი. მაშინ იგი სამოც წელს იყო გადაბიჯებული, მაგრამ კიდეც უფრო ხნირი ჩანდა. შეიძლება, მომეჩვენა... ოთახში ძლიერ თბილოდა, მაგრამ მას თბილი საშინაო ტუფლები ეცვა და ქალის შალში იყო გახვეული.

მე წარვუდექი და გავუწოდე ჩამოტანილი კონვერტი. ჟორდანიამ პაკეტი გაუხსნელად დადო მაგიდის კიდეზე და დამიწყო საქართველოში არსებული მდგომარეობის გამოკითხვა. უნდოდა, თვითონ მე მეთქვა, როგორ ეკიდებოდნენ მას სამშობლოში. ასე მეგონა, მოხუცი ეს-ეს არის შემეკითხებამეთქი: „ვეუდივართ თუ არა ჩვენ?“

და მე მოვეყვი ტყუილებს, იმგვარად მოვუთხრობდი ჩემთვის ცნობილ ფაქტებსა და ამბებს, რომ მისი გული მომეგო და განმე-მტკიცებინა იმედი საბჭოთა ხე-

ლისუფლების მერყევი მდგომარეობის საქართველოში. ჩემი მონათხრობის სწორედ ამ ნაწილს ხვდა განსაკუთრებული მოწონება. იგი კმაყოფილებით ისრესდა ხელებს და ცმუტავდა სავარძელში.

ვაშალომძის ჯგუფისა და ეგრეთ წოდებული კონფერენციის შესახებ რომ მოვუთხრობდი, მე, რა თქმა უნდა, არიანას აღიარებაზე კრინტიც არ დამიძრავს. ეს დადაბლებდა ჩემს მისიასა და არცთუ უხიფათო მოგზაურობას თბილისში.

თხრობა რომ დავამთავრე, ჟორდანიამ მითხრა:

— ძვირფასო ანდრო, საჭიროა საქართველოში ან, უკიდურეს შემთხვევაში, სპარსეთში დაბრუნდე.. აქ არ უნდა დააყოვნო. არ მინდა აგრეთვე შეხედე აქაურ ემიგრანტებს, რომელთაგან ბევრმა მხნეობა დაკარგა და აქეთ-იქით ეხეთქება. შენ ახალგაზრდა ხარ, ძალღონით სავსე და შეგიძლია დიდი სარგებლობა მოუტანო ჩვენს საერთო საქმეს საქართველოში...

— ამას წინათ ჩვენ დავითირეთ რამიშვილი, — განაგრძო მან დუმილის შემდეგ. — მისი მკვლელობა ბოლშევიკებმა მოაწყვეს და საჭიროა ეს იცოდნენ იქაც, ჩვენს მიწა-წყალზე.

და ჟორდანია აღვხნებულად ალაპარაკდა ბოლშევიკების „ხრიკებზე“.

მე უგულისყუროდ ვუსმენდი მას და საჭირო მომენტს ვეძებდი, რომ სიტყვა ჩამომეგდო ჩემზე, იმაზე, რომ გულმოდგინებისათვის

ჯილდოს შემპირდნენ და სრული-
ადაც არ მსურს დავტოვო პარიზი.

როცა ასეთი მომენტი დადგა,
მან უკმაყოფილოდ მომისმინა, სა-
ვარძლიდან ნელა ადგა, ხელახლა
მიუჯდა საწერ მაგიდას და თავი
ისე დაიკირა, რომ აშკარად მაგრძ-
ნობინა, აუდიენცია დამთავრდო.

ტრამვაის გაჩერებამდე იმავე
აკაკიმ მიმაცილა, განმიმარტა სად
უნდა ჩამოესულიყავი და მაცნობა,
რომ შემიძლია უსასყიდლოდ ვი-
სარგებლო სასტუმროს ნომრით
ერთი კვირის განმავლობაში.

უკან დაბრუნებისას გზა კიდევ
უფრო გრძელი მომეჩვენა. რო-
გორც იქნა, ბიანკურში აღმოჩნ-
დი, მაგრამ სასტუმროში არ შევ-
სულვარ, ნელა წავჩანჩაღდი ქუ-
ჩაზე. სული მიმძიმდა. არ მაინტე-
რესებდა პარიზი და არც მისი ხა-
ლხი...

ამინდიც ჩემს განწყობილებას
შეეფერებოდა — დეკემბრის მო-
ღუშული დღე და წვრილი წვიმა.

— სულ ისეა, როგორც თბილი-
სში, — გავიფიქრე და საყელო
ავიწიე. — მაგრამ მარტო ამით
ამოიწურება მსგავსება. სხვა ყვე-
ლაფერი საოცრად უცხოა.

— სად მოვხვდი? რისთვის?
როგორ მივეცი თავს ნება, დამე-

კარგა ყველაფერი — ჩემი ოცნე-
ბები, ჩემი ახლობლები და ნათესა-
ვები, ჩემი სამშობლო?

მაგრამ უკან დახევა აღარ შეიძ-
ლებოდა.


როგორ მოკლეს ნოე რამიშვილი

როგორც კი ქართულ კოლონია-
ში გავრცელდა ხმა, რომ პარიზში
„ახალი კაცი“ ჩამოვიდა საქართვე-
ლოდანო, ჩემთან სასტუმროში
მოსვლა იწყეს ემიგრანტებმა, რა-
თა „პირველი პირით“ მოესმინათ
რაიმე ახლობლებსა და მეგობრებ-
ზე. მნახველთა შორის აღმოჩ-
ნდნენ ჩემი გიმნაზიელი ამხანაგე-
ბიც. მე მათ მოვუყევი „პრემიერ-
თან“ შეხვედრის შესახებ და ვუთ-
ხარი, რომ მაინც განზრახული მა-
ქვს დავრჩე საფრანგეთში. მათ მო-
მიწონეს ეს გადაწყვეტილება და
შემპირდნენ დახმარებას. ერთ-
ერთ მათგანთან — ისიდორე მანწ-
კავასთან გადავედი კიდევ ღრე-
ბით საცხოვრებლად.

ახალი წლის წინ მანწკავასთან
მოვიდნენ მეგობრები და მთლად
გაავსეს პატარა ოთახი. ყველას
მოჰქონდა რაიმე შეკვრა ან ბოთ-
ლი ღვინო, ხოლო ერთმა ცოლ-
ქმარმა ქოთნით საცივი მოიტანა.

(გაგრძელება იქნება)





ჯამალ ჯაყელი

ნახვამდის, მოსკოვო!

დაგყურებ ახლა ლენინის მთიდან
და სახურავთა უდაბნოს ვხედავ,
ქალაქო დიდო, ქალაქო წმინდავ,
როგორც ამბობენ, ქალაქო დედავ!
და უსასრულოვ
და გამოცანავ,
დაბადებათა დიდო თარიღო,
მე საქართველოს უძირო ცაშა
შენი ლაქვარდის კარი გამიღო
და რივიერამ ბათუმის ზღვისა
მასწავლა შენი სიღრმეთა ფასი.
და მოგიტანე მე წინაპრისა
სადიდებელი სიტყვა და თასი
და შენკენობას დავლიე თერგი.
ბევრი წყურვილი რჩება წყურვილად,
ტვერის ბულვარში დაგირგე ნერგი
და ზედ ლაქვარდი ჩამოწურულა.
ახლა დაგყურებ ლენინის მთიდან
და უთვალავი სვეტი ელვარებს.
ქალაქო დიდო, ქალაქო წმინდავ,
ხარ სიმაღლეთა ბედის მწერალი.
მშენებლის წიგნი ღია კარებით,
კირით ხუროთა ქცეული მითად
და ელმავლების ნიაღვარები
გერთვიან ფერად ტალღებივითა.
ეჭვი, ნახვამდის —

იმავე ყრუოლით,
როგორც პირველად გითხარ სალამი,
გამყვება შენი ხმათა ძაყორი,
როგორც მიჰყვება ანძებს ალაში.
ნახვამდის ახლა!
სათეს-სამკალი
მიხმობს და ისევ ვარ დაფერილი...
ნახვამდის ახლა.
შენი ვარსკვლავი
გულის ფიცარზე მაქვს დაწერილი!

კ ა ვ კ ა ს ი ა ზ ი

ბრძანება ჰგავდა ნაწერს სილაში
და თვით წამალშიც საწამლავის წვეთი ერია.
რუსი მგოსნები გაასახლეს კავკასიაში —
რატომ ხართ ასე ნიჭიერია....
ეს არ აკმარეს, სიძულვილი ესროლეს გულში
ამხელა კაცებს — ლერმონტოვს და საყვარელ პუშკინს.
.....

რუსო მგოსნებო.
ეს არა ჰგავს ნაწერს სილაში,
თუ კი ვტყუოდე, მაშ, შემირცხვეს ქუდი და ჩოხა,
მე თქვენ დღეიდან გაგასახლებთ კავკასიაში
და მეცხრე ზეცის ცისარტყელას დაგიგებთ ნოხად,
გაჩვენებთ უშბას, დარიალის გაჩვენებთ ლოდებს
და ყველა სახლის კარებს შევადებთ.
თბილის-ქალაქში, რუსთაველზე გაჩვენებთ მოდებს,
ბათუმში — ზღვას და სურნელოვან ნარინჯის ბაღებს.
დავივლით მინდვრებს, ზღაპრებივით გადაშლილ

ველებს,
სოფლებს, ქალაქებს, წინაპართა ყოჩად ბადიშებს.
მერე ქართული მარიფათით გავიწვდი ხელებს
და ასმეტრიან მაგიდასთან მიგიბატიყებთ.
გვექნება ლხინი, უსასრულო, უხვი, უღვეი.
გადმოსროლილი ლექსისა და ყანწის ღუელი.



გი ლე მოვასანი

წ უ თ ი ს ი ფ ე ლ ი

ამის შემდეგ ლიზა, სულ მალე კი ლიზონად წოდებული, ჭკუასუსტად მიიჩნიეს. ამ საქციელით გამოწვეული ახლო ნათესავების კეთილი უპატივცემულობა მისდამი ნელ-ნელა შეიჭრა მახლობელთა გულებშიც. თვით პატარა ჟანაც კი, ბავშვური ალღოთი, არავითარ ინტერესს არ იჩენდა მისდამი, არასოდეს არ მირბოდა დეიდასთან საწოლში მოსალერესებლად, არასოდეს არ შედიოდა მის ოთახში. მართო როზალიამ თუ იცოდა სად იყო ეს ოთახი, რადგან ძალაუწებურად საჭირო სამსახური უნდა გაეწია იქ.

როდესაც დეიდა ლიზონი სასაუზმოდ შედიოდა სასადილო ოთახში, „პაწაწა გოგონა“ ჩვეულებრივ შუბლს მიუშვერდა საკონცელად. ეს იყო და ეს.

თუ ვინმე მოისურვებდა მასთან ლაპარაკს, მსახურს გაუგზავნიდნენ; მაგრამ როცა ლიზონი არ ჩანდა, არავის არ აინტერესებდა და არ აგონდებოდა იგი, არავინ არ შეშფოთდებოდა და არ იტყოდა: „კი, მაგრამ ლიზონი არ მინახავს დილას აქეთ?“

მას არავითარი ადგილი არ ეკავა ამ ქვეყნად. იგი ერთი იმთავანი იყო, რომლებიც უცხონი არიან თვით შინაურებისთვისაც კი, როგორც ვიგინდარები, რომ

მელთა სიკვდილი არც ნაზზარს ტოვებს და არც სიცარიელეს ქმნის სახლში. იგი იყო ერთ-ერთი იმ სულიერთავანი, რომელთაც არ შეუძლიათ შეიჭრან მახლობელთა არც ყოფაცხოვრებასა და ზნე-ჩვეულებებში, არც გულში.

როდესაც ამბობდნენ: „დეიდა ლიზონ“, ეს ორი სიტყვა, ასე ვთქვათ, არავის ოდნავადაც არ აღეშვებდა, თითქმის ეთქვათ: „ყავადანი“ ან „საშაქარ“.

დადიოდა იგი ყოველთვის მოკლე, მაგრამ ჩქარი და ჩუმი ნაბიჯებით. არასოდეს ხმაურობდა, არასოდეს არაფერს არ წამოედებოდა, თითქმის საგნებსაც მისგან გადასდებოდა უხმოობა. ხელეზი თითქმის ბამბისა ჰქონდა, ისე მსუბუქად და ფრთხილად ეხებოდა ყველაფერს.

იგი შუა ივლისში ჩამოვიდა, მთლად აფორიაქებული მომავალი ქორწინებათ, თან ჩამოიტანა საჩუქრების დასტა, მაგრამ როგორც ლიზონის საჩუქრები თითქმის შეუმჩნეველი დარჩა.

ჩამოსვლის მეორე დღიდანვე ლიზონს ველარ ამჩნევდნენ.

სამაგიეროდ თვითონ არაჩვეულებრივად ღელავდა და თვალს არ აცილებდა დანიშნულებს. მისთვის უჩვეულო სიმკვირცხლოთა და გატაცებით შეუდგა იგი მზითვის მომზადებას. უბრალო

* გაგრძელება. იხ. „ლიტ. აპარა“, № 4.

მკერავივით მუშაობდა თავის ოთახში, სადაც არავინ არ აკითხავდა.

დღედა ლიზონს წარამარა მიჰქონდა ბარონის მეუღლესთან თავის ხელით შემოკეცილი ცხვირსახოცები, ან ამოქარგული ხელსახოცები და ეკითხებოდა:

— მოგწონს, ადელიდა?

დღეიკი კი გულგრილად შეხედავდა მის ნახელავს და ეტყოდა:

— თავს ნუ იკლავ, ჩემო საბრალო ლიზონ.

ერთხელ, თვის დამღევს, დახუთული პაპანაქება დღის შემდეგ მთვარე გამოჩნდა და ისეთი ნათელი და გრილი ღამე დადგა, როცა ყველაფერი გაღივებებს, გულს გიჩვილებს, ადგაგზნებს, გიღვიძებს სულის იღუმალ პოეზიას. მინდორველის თბილი სუნთქვა იჭრებოდა. წყნარ სასტუმრო ოთახში. ბარონი და მისი მეუღლე უხალისოდ თამაშობდნენ ბაქქოს სინათლის იმ წრეზე, რომელსაც აბაჟური მაგიდაზე ქმნიდა. მათ შორის იჯდა დეიდა ლიზონი და ქსოვდა, ხოლო რაფაზე დაყრდნობილი ახალგაზრდები ღია ფანჯრიდან გაჰყურებდნენ მთვარის სინათლით მოფენილ ბაღს.

ცაცხვი და ჭადარი ჩრდილს სცემდა ფართო მოელვარე მოლს, რომელიც მკრთალად გადაჰიმულებს ბუჩქნარათა შავ ზოლამდე.

ღამის ნახმა მშვენიერებამ, ბუჩქებისა და ხეების ლანდურმა ნათებამ უნებლიეთ მოხიბლბო ქანა და მშობლებს მიუბრუნდა:

— ამიყო, ჩვენ გავისეირნებთ იქ, მდელიოზე, სახლის წინ.

ბარონმა ისე უპასუხა, თამაშისთვის თავი არ დაუწებებია:

— წადით, ბავშვებო, — და თავისი პარტია განაგრძო.

ისინი გავიდნენ და ნელა სეირნობდნენ დიდ ნათელ კორდზე პატარა ტყის პირამდე.

დრო მიდიოდა, მაგრამ ისინი დაბრუნებას არ ფიქრობდნენ. გადაღლილმა ბარონის მეუღლემ თავის ოთახში წასვლა მოისურვა.

— უნდა დავუძახოთ შეყვარებულს,
— თქვა მან.

ბარონმა თვალთ შემოიბრინა დიდი გაციალებული ბალი, სადაც ორი ჩრდილი ნელა ხეტიალობდა.

—თავი დაანებე, — უპასუხა მან, — ისე კარგია გარეთ! ლიზონი დაუცდის მათ. ხომ, ლიზონ?

შინაბერამ ასწია თავისი შეშფოთებული თვალები და ჩვეული გაუბედაობით უპასუხა:

— რასაკვირველია, დაველოდები.

მამიკომ წამოაყენა მეუღლე და სიციხიანი დღით თავდაც გადაქანტულმა თქვა:

— მეც დავწვები, — და მეუღლესთან ერთად გავიდა.

მაშინ დეიდა ლიზონიც ადგა, მიატოვა დაწყებული სამუშაო, მატყლის გორგალი და წინდისჩხირი სავარძლის სახელურზე დაყარა, ფანჯრის რაფას დაეყრდნო და მომჯადოებელ ღამეს გახედა.

დანიშნულები დადიოდნენ და დადიოდნენ მოლზე წარადიდან პარმადამდე და პარმადიდან წარადამდე. ისინი ხელს უჭერდნენ ერთმანეთს და ღუმდნენ, თითქოს თავისი თავი დაივიწყეს და მთლიანად გაითქვიფნენ იმ ხილულ პოეზიაში, რომელსაც მიწა აფრქვევდა.

უცბად ქანამ ფანჯრის ჩარჩოში, ღამის სინათლეზე, შინაბერას სილუეტი დაინახა.

— შეხეთ, — თქვა მან, — დეიდა ლიზონი ჩვენ გვითვალთვალეს.

ვიკონტმა თავი ასწია და გულგრილად, დაუფიქრებლად თქვა:

—ღიახ, დეიდა ლიზონი ჩვენ გვაითვალთვალეს.

და მათ განაგრძეს ხეტიალი, ოცნება, ერთმანეთის სიყვარული.

მაგრამ ბალახი ნამით დაიფარა და სიგრილემ ორივე ააყრყოლა.

—დროა დაგბრუნდეთ, — თქვა ქანამ, და დაბრუნდნენ.

როდესაც ისინი სასტუმრო ოთახში შევიდნენ, დეიდა ლიზონი ისევ თავის საქსოვს ეჯდა. მას თავი დაეხარა სა-მუშაოზე და, თითქოს გადაღლილობისა-

გან, გამხმარი თითები ოდნავ უცახკახებდა.

— ეჲა მიუახლოვდა.

— დეიდა, ძილის დროა.

შინაბერამ უცხად შეხედა. თვალები ჩამტირალევივით დასწითლებოდა, მაგრამ მიჯნურებმა ეს ვერც კი შენიშნეს. სამაგიეროდ ყმაწვილმა კაცმა უცხად შეამჩნია, რომ ქალიშვილს თხელი ფეხსაცმელები მთლად დასველებოდა. იგი შეწუხდა და ნაზად ჰკითხა:

— ხომ არ შესცივნია თქვენს ლამაზ პატარა ფეხებს?

ამ დროს დეიდას თითები ისე აუჯანკალდა, რომ ნაქსოვი ხელიდან გაუვარდა; მატყლის გორგალი პარკეტზე შორს გაგორდა. ლიზონმა სწრაფად ჩამალა სახე ხელებში. იგი იკრუნხებოდა და ხმამაღლა ქვითინებდა.

განცვიფრებული დანიშნულები გაშეშდნენ. შემდეგ ეჲნამ სწრაფად დაიჩოქა. ხელებს სახიდან აცილებდა დეიდას და შეშფოთებული იმეორებდა:

— კი, მაგრამ რა მოვივინა, რა მოვივინა, დეიდა ლიზონ?

მაშინ საბრალო ქალმა ბუტბუტით, ცრემლებისაგან ჩახრინწული ხმით და მწუხარებისაგან სულ მთლად მოკუთნულმა უბასუხა:

— ის, რომ მან გკითხა... ხომ არ შესცივნია თქვე... თქვე... თქვენს ლამაზ პატარა ფეხებსო?... ასეთი რამ ჩემთვის ხომ არასოდეს არ უთქვამთ... ჩემთვის... არასოდეს... არასოდეს...

ეჲა გაოცდა, გული აუჩვილდა და მაინც გაიცინება მოუწდა, როცა წარმოდგინა მიჯნური, რომელიც ნაზ ალერსს აფრქვევდა დეიდა ლიზონს; ვიკონტი კი შებრუნდა, მხიარული განწყობილება რომ არ გაემჟღავნებინა.

მაგრამ დეიდა უცხად წამოდგა, გორგალი იატაკზე, საქსოვი კი საგარძელზე დატოვა, უსანთლოდ აირბინა ბნელი კბეები და ხელის ფათურით მოძებნა თავისი კარები.

მარტოდ დარჩენილმა, გამხიარულ-ბულმა და გრძნობააშლილმა ორმა ახალ-

გაზრდამ ერთმანეთს გადახედეს. **განმარტებული წაიბუტბუტა:**

— საბრალო დეიდა!

— იგი დღეს თავის ჭკუაზე არ უნდა იყოს, — უბასუხა ყულინმა.

ხელჩაკიდებულნი ისინი ვერა და ვერ შორდებოდნენ ერთმანეთს, შემდეგ კი გაუბედავად, ძლიერ გაუბედავად პირველად გადაკოცნეს ერთმანეთი ცარიელ საგარძელთან, რომელიც ის იყო დეიდა ლიზონმა დატოვა.

შეორე დღეს მათ არც კი გახსენებით შეინაბერას ცრემლები.

ქორწილამდელ ორ კვირაში ტკბილი მღელვარებით გადაღლილი ეჲა როგორც დაცხრა და დამშვიდდა.

ქორწილის დღეს, დილით, მას სრულებით არ ეცალა საფიქრლად. იგი მხოლოდ სრულ სიცარიელეს გრძნობდა მთელ სხეულში. თითქოს კანქვეშ ერთიანად გადმოხრილი სისხლი, ხორცი და ძვლები, ხოლო საგნების შეხებისას იგი ამჩნევდა, რომ თითები საშინლად უცახკახებდა.

იგი გონს მოეგო მხოლოდ ეკლესიაში, საკურთხეველს წინ, წირვის დროს.

გათხოვილი! ახლა იგი გათხოვილი! ყველაფერი, რაც განთიადიდან დაწყებული იმ დღეს მოხდა, ამბებისა და შეგრძნებათა თანმიმდევრობა, მას სიზმარი ეგონა, ნამდვილი სიზმარი. არის ისეთი წუთები, როცა ყველაფერი ჩვენს ირგვლივ შეცვლილი გვეჩვენება, ყოველი ექსტი ახალ მნიშვნელობას იღებს და თვით დროც კი თითქოს აირია.

ეჲა ძლიერ დაბნეული, უფრო კი განცვიფრებული იყო. ჯერ კიდევ გუშინ ყველაფერი ძველებურად მიდიოდა, ოღონდ მისი ცხოვრების მუდმივი ოცნება უფრო მიუახლოვდა, თითქმის ხელშესახები გახდა. მან ქალიშვილად დაიძინა, ახლა კი ქალია.

მაშ, ეჲნამ გადალახა ის ზღუდე, რომელიც მაღავდა სისხარულითა და ბედნიერებით სავსე მომავალს, მის საოცნებო მომავალს. მის წინ თითქმის გაიღო კარები და საკმარისია გადაღვას ნაბიჯი, რომ ყველა მოლოდინი გაუმართლდეს.

ჯარისწერა დამთავრდა. გადავიდნენ თითქმის ცარიელ სამოსსაცავში, რადგან ქორწილში არავინ მოუწყვევიათ, და ისევ გამოვიდნენ.

როდესაც ისინი ეკლესიის კარიბჭეში გამოჩნდნენ, საშინელმა გრიალმა შეაერთო ახალგაზრდაწერილი ქალი, ხოლო ბარონის მეუღლემ ხმამაღლა შეპკივლა. ეს გლახებმა მისცეს თოდების ბათქი. და მთელ გზაზე ჩინარში მისვლამდე აღარ შეწყვეტილა სროლის ხმა.

შინ ოჯახისათვის გაეწყით პატარა საუბრე, რომელზეც მიიწვიეს ადგილობრივი და იპორელი მღვდლები, მერი და ახლომახლო მეცხოვრებ მსხვილ ფერმერთა შორის შერჩეული მოწმეები.

შემდეგ სადილის მოლოდინში ბაღში გავიდნენ. ბარონი, მისი მეუღლე, დეიდა ლიზონი, მერი და აბატი პიკო დედისკოს ხეივანში სეირნობდნენ, მეორე მღვდელი კი დიდი ნაბიჯებით დადიოდა მიმობრძაპირე ხეივანში და ლოცვას კითხულობდა.

ეზოდან გლახების მხიარული ღრიანცელი ისმოდა. ისინი ვაშლის ხეების ძირში სიღრს სვამდნენ. სადღესასწაულოდ მორთული მთელი სოფელი იქ იყო. ბიჭები და გოგონები ერთმანეთს ეკუთრებოდნენ.

ქანამ და ყულიენმა გადასტრეს წარაფი, ავიდნენ ფერდობზე და მდუმარედ უტყუარდნენ ზღვას. ცოტათი გრილოდა, თუმცა შუა აგვისტო იყო, ქროდა ჩრდილოეთის ქარი და მზის უზარმაზარი ბურთობი უღმობლად ბრწყინავდა ღია-ლურჯ ცაზე.

ჩრდილის ძებნაში ახალგაზრდებმა გადაიარეს ქვიშიანი დაბლობი მომიბინე ტყიანი ჭალისაკენ, რომელიც დაბლა, იპორში ეშვებოდა. როცა უღრან ტყეს მიაღწიეს, ქარის მცირე სუნთქვასაც აღარ გრძნობდნენ; გზიდან გადაუხვიეს ვიწრო ბილიკზე, რომელიც დაფოთლილ ტოტებს ქვეშ მიდიოდა. სიარული ძლიერ ჭირდა. უეცრად ქანამ იგრძნო, რომ ვაყის ხელი ნელ-ნელა ეხვეოდა მის წელს.

ქალმა არაფერი თქვა, აღელდა, გული

აუჩქარდა და სუნთქვა შეეკრა. ჩამოხვეული ტოტები თმებზე ეხებოდნენ და რომ გაველოთ, ხშირად იკუზებოდნენ. ქანამ მოსწყვიტა ფოთოლი, რომლის ქვემოთ მყოფი ნიჟარების მსგავსი ორი ჭიამაია მოკუნტულიყო.

ოდნავ დამშვიდებულმა ქანამ სავსებით გულბრწყინოვანად თქვა:

— შეხედეთ ამ წყვილს.

ყულიენი ტუჩებით შეეხო მის ყურას:

— ამ საღამოს თქვენ ჩემი ცოლი გახდებით.

თუმცა ქანამ ბევრი რამ გაიგო ველებში ხეტიალის დროს, მაგრამ სიყვარულში ჯერ კიდევ მარტო პოეზიას ხედავდა და განცვიფრდა. მისი ცოლი? განა იგი უკვე მისი ცოლი არ იყო?

ყულიენი მიაღერსა ქანას, ჩაუკოცნა საფეთქელი და კისერი იქ, სადაც მისი ხუჭუჭი თმები იწყებოდა. მამაკაცის ასეთ ხვევნა-კოცნას შეუჩვეველი ქანა კრთოდა, უნებლიეთ თავს განზე სწევდა, ცდილობდა მის ალერსს განრიდებოდა და ამავე დროს ხიბლავდა იგი.

მოულოდნელად ისინი ტყისპირას აღმოჩნდნენ. ქანა შეცბუნდა, ასე შორს როგორ წამოვხეტითო და შეჩერდა. რას იფიქრებენ?

— დაებრუნდეთ; — უთხრა მან.

ყულიენმა ქალს სწრაფად მოაშორა წელზე მოხვეული ხელი. ორივენი შემობრუნდნენ და ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ ისე ახლოს, რომ სახეზე ერთი მეორის სუნთქვას გრძნობდნენ. ისინი ერთმანეთს მიუტერებოდნენ ისეთი მახვილი და გამომცდელი თვალებით, თითქმის ორი სული ერთ არსებად შერწყმას ლამობსო. ერთი მეორის თვალებში, მათს სიღრმეში, ამ გამოუცნობ, იდუმალ არსებობაში ისინი თავის თავს ეძებდნენ. ერთმანეთს გამიჯნდნენ უტყუი და დაჟინებული კითხვით: რა იქნებოდა ისინი ერთმანეთისათვის? როგორ წარიმართებოდა მათი ერთობლივი ცხოვრება? რას უშვადებენ ერთმანეთს? სიხარულს, ბედნიერებას, თუ იმედების გაცურებას ამ სამისდღეშიო განურღვეველი ცოლ-ქმრული კავშირის მანძილზე? და

ორივეს მოეჩვენა, რომ პირველად ხელ-
ვდნენ ერთმანეთს.

უცბად ყულიენმა შენას ორივე ხელი
მოხვია მხრებზე და მის ტუჩებს ისეთი
ვნებიანი კოცნით დააკვდა, როგორც
მისთვის არასოდეს არავის უკოცნია. ამ
კოცნამ ქალს ძალა გამოაცალა, შეეჭრა
ძარღვებში და ძვლის ტვინამდე მიღ-
წია. ასეთმა საოცარმა, წინათ განუცდელ-
მა გრძნობამ ისე შესძრა ქალი, რომ
თავგანწირვით ორივე ხელი ჰკრა ყული-
ენს, თვითონ კი კინლამ პირადმა დაეცა.

— წავიდეთ აქედან, წავიდეთ, — ბუტ-
ბუტებდა იგი.

ყულიენმა არ უპასუხა, მაგრამ ხელე-
ბი დაუჭირა და აღარ უშვებდა.

შინ მისვლამდე მათ ერთი სიტყვაც
აღარ უთქვამთ. ნაშუაღღევის შემდეგ
დრო ძლიერ გაჰიანთურდა.

მაგიდას დაღამებისას მიუსხდნენ.

წინააღმდეგ ნორმანდიული ჩვეულებ-
ებისა, სადილი იყო უბრალო და მალე
დამთავრდა. დამსწრეებს რაღაც რიდი
ბოჭვადათ. მხოლოდ ორივე მღვდელი,
მერი და კიდევ ოთხი სტუმარი ფერმე-
რი უწყობდნენ მხარს იმ ტლანქ მხი-
არულებას, რომელიც თან ახლავს ქო-
წილს.

სიცილიც უხალისო იყო, მხოლოდ მე-
რი აცოცხლებდა მას მოსწრებული თქმე-
ბით. დაახლოებით ცხრა საათი იქნებოდა,
ყავა რომ შემოიტანეს. გარეთ, პირველ
ეზოში, ვაშლის ხეების ქვეშ სოფლური
ბალი იწყებოდა. ღია ფანჯრიდან მთელი
ზეიმი მოჩანდა. ტოტებზე ჩამოკიდე-
ბული ფარნები ფოთლებს მომწვანო-
მონაცრისფერო ელფერს აძლევდა. ქა-
ბუკები და ქალიშვილები წრედ შეიკრ-
ნენ, გაშმაგებით ხტოდნენ და რაღაც
ველურ საცეკვაო სიმღერას ბღაოდნენ.
მათ მოძახილს აძლევდა ორი ვიოლინი
და ერთი კლარნეტი, დიდ სამზარეულო
მაგიდაზე რომ აჩაჩხულიყვნენ, როგორც
ესტრადაზე. ზოგჯერ გლეხების არეული
სიმღერა მთლიანად ფარავდა ინსტრუმენ-
ტების ხმას, ხოლო ნაზი მელოდია, რომ-
ელსაც ხმების ღრიალი ფლეთდა, გე-
გონებოდათ ნაწყვეტ-ნაწყვეტ ცვიოდა

ციდან და ცალკეულ ნოტებად, იფრქვეო-
და.

ბრბოს დასათრობად ორი დიდი კასრი
დაეგორებინათ, რომელთა ირგვლივ ჩი-
რალდნები გიზგიზებდნენ. ორი მსახური
განუწყვეტილად წყლიან როფში ავლებ-
და ჰიქებსა და თასებს, შემდეგ გაუმ-
შრალეზლად შეუშვებდნენ ონკანებს,
საიდანაც მოედინებოდა ღვინის წითელი
ან გამჟვრავლე სიდრის ოქროსფერი
ნაკადი. ადგზნებული მოცეკვავენი, დინ-
ჯი მიხუტები, ვაოფლიანებული ქალი-
შვილები ერთმანეთს აწვებოდნენ, ხე-
ლებს იშვებდნენ, რათა რომელიმე სას-
მისს დაუფლებოდნენ, თავი გადაეყიდათ
და ერთბაშად გადაეშვათ ყელში წითე-
ლი ღვინო ან სიდრი — ვისაც რა მოე-
სურებოდა.

იქვე მაგიდაზე ელაგა პური, კარაქი,
ყველი და ძეხვი. დრო და დრო თვითთუ-
ლი მათგანი ყლაპავდა თითო ლუქმას.
ეს ჯანსაღი და თავაწყვეტილი მხიარუ-
ლება განათებული ფოთლების ჩარდახ-
ქვეშ დარბაზის უხალისო სტუმრებს
სურვილს აღუძრავდა იმგვარადვე ეცეკ-
ვათ, იმგვარადვე დაელიათ ღვინო უზარ-
მაზარი მუცლიანი კასრებიდან და ისევე
დაეყოღებინათ ნატეხი პური კარაქითა
და ნედლი ხახვით.

მერმა, რომელსაც დანით ტაქტი გა-
მოჰყავდა, წამოიყვირა:

— დალაზვროს ეშმაქმა! რა კარგად
მხიარულობენ, ზუსტად ისე, როგორც
განაშის ქორწილში.


სტუმრებმა თავშეკავებით გაიციენს
მაგრამ აბატი პიკო, სამოქალაქო ხელის-
უფლების ბუნებრივი მტერი, მერს არ
დაეთანხმა:

— თქვენ გინდოდათ გეთქვათ: „რო-
გორც კანას ქორწილში“.

მაგრამ მერმა ყურად არ იღო დარი-
გება:

— არა, ბატონო მღვდლო, ძალიან
კარგად ვიცი, რასაც ვამბობ. რაჟი ვთქვი
განაშის-მეთქი, მაშასადამე, ეს არის გა-
ნაშის.

ყველანი ადგნენ და სასტუმრო დარ-
ბაზში გადავიდნენ. შემდეგ ეზოში ჩა-



ვიდნენ, ცოტა ხნით გაერვიენენ შეზარ-
ხოვებულ ხალხს და დაიშალნენ.

ბარონი და მისი მეუღლე რაღაცაზე
ჩერჩხლით კამათობდნენ. მაღამ ადუ-
ლადა ჩვეულებრივზე უფრო ქოშინებ-
და და, როგორც ჩანდა, უარს ეუბნებო-
და ქმარს მის თხოვნაზე. ბოლოს,
თითქმის ხმამაღლა უთხრა:

— არა, ჩემო მეგობარო, არ შემიძლია,
არც კი ვიცი როგორ დაგიწყო ეს საქმე.
მაშინ მაშეკომ ცოლი უცხად მიატო-
ვა და ჟანას მიუახლოვდა:

— არ გინდა ცოტათი გავისერიროთ,
ჩემო გოგონა?

აღელვებულმა ჟანამ უპასუხა:

— როგორც გსურდეს, მამა.

ისინი გავიდნენ.

როგორც კი ეზოში აღმოჩნდნენ და
ზღვისაკენ გასწიეს, ისინი მძაფრმა ქარ-
მა აიტანა, ცივმა ზაფხულის ქარმა, რო-
მელიც შემოდგომის მოახლოებას გეაგრ-
ძნობინებს.

ცაზე ღრუბლები ხეტიალობდნენ, ხან
პირბადედ ჩამოეფარებოდნენ ვარსკვლა-
ვებს, ხან კიდევ აშშშვლებდნენ მათ.

ბარონი მკლავზე ეალერსებოდა ქალი-
შვილს და ნახად იკრავდა გულში მის ხე-
ლებს. ისინი რამდენიმე წუთს ასე დადი-
ოდნენ. მამა გაუბედავი ჩანდა, აღელვებ-
ული. ბოლოს, მან გადაწყვიტა:

— ჩემო სულიკო, მე უნდა შევასრულო
ძნელი მოვალეობა, რომელიც დედაშენს
უფრო შეეფერებოდა, მაგრამ მან უარი
თქვა და უნებლიეთ მე უნდა დავიცავო
მისი ადგილი. არ ვიცი, რამდენად გაგე-
გება შენ ეს საქმე, არის საიდუმლოება-
ნი, რომელთაც გულმოდგინედ უმალა-
ვენ ბავშვებს, განსაკუთრებით გოგო-
ნებს, რათა მათ შეინარჩუნონ გულის-
თქმათა სიწმინდე, უმწიკვლო სიწმინდე
თვით იმ სათამდე, ვიდრე გადასცემ-
დნენ იმ მამაკაცს, რომელიც იკისრებს
იზრუნოს მათი ბედნიერებისათვის. მასვე
ევალება ფარდა ახადოს ცხოვრების ამ
ტკბილ გამოცანას. მაგრამ თუ გოგონებ-
მა სრულებით არაფერი იციან, მათ
არცთუ იშვიათად შეურაცხყოფს უხეში
სინამდვილე, რომელიც ოცნებათა მიღმა

იმალბა: ისინი იტანჯებიან სულითადად
და ხორცილთადად და უარს ეუბნებიან
უღლეს იმაზე, რაც ადამიანური კანონი-
თაც და ბუნების კანონითაც მისი უთუო
უფლებია. მეტი აღარაფერი არ შემიძ-
ლია ვითხრა, ჩემო ძვირფასო, მაგრამ
არასოდეს დაგიწყით: შენ სულ მთლია-
ნად ქმარს ეკუთვნი.

მართლაცდა რა იცოდა ჟანამ? ან რა
უნდა გამოეცნო? იგი აცაცხება საში-
ნელმა წინათგანობამ და მწვავე, მტან-
ჯელობა სევდამ მოიცვა მისი გული.

ისინი დაბრუნდნენ და მოულოდნელი
სანახაობით გაოცებულნი შეჩერდნენ
სასტუმრო დარბაზის კარებთან: მაღამ
აღელადა ქვეითინება ყულიენის მკერ-
დზე. იგი ისე ხმამაღლა სლუქუნებდა,
გეგონებოდათ მჭედლის საბერველი ქში-
ნავსო, ხოლო ცრემლები თითქმის ერთ-
დროულად სდიოდა თვალებიდანაც, ცხვი-
რიდანაც და პირიდანაც. შეცბუნებული
ახალგაზრდა უხერხულად იკავებდა მის
მკლავებში მოქცეულ დუნდრუხას, რომე-
ლიც აფიცებდა გაფრთხილებოდა მის პა-
წაწა, საყვარელ და მომხიბლავ შვილს.

ბარონი მათკენ გაეშურა:

— ოჰ, არავითარი სცენები, არავითარი
სენტიმენტალური სცენები, ვთხოვთ.

მან ხელი მოჰკიდა ცოლს, რომელიც
ცრემლით დასველებულ სახეს იწმენდ-
და, და იქვე საყარძელში ჩასვა, შემდეგ
კი ჟანას მიუბრუნდა:

— აბა, პატარავ, ჩქარა აკოცე დედა-
შენს და გასწი დასაძინებლად.

ჟანა ძლივს იკავებდა ტირილს, სწრა-
ფად გადაკოცა მშობლები და გაიქცა.

დეიდა ლიზონი მანამდე დაიძალა თა-
ვის თათხში. ბარონი და მისი მეუღლე
მარტონი დარჩნენ ყულიენთან. სამივენი
ისეთ უხერხულობას გრძნობდნენ, რომ
ვერცერთი ენას ვერ ძრავდა. სადღესას-
წაულოდ მორთული ორივე მამაკაცი
ფეხზე იდგა და თვალები დაეხარათ, ხო-
ლო საყარძელში წამოწოლილი დანად-
გისებური მაღამ აღელადა ყელში მო-
წოლილ უკანასკნელ ცრემლებს ყლა-
პავდა. ბოლოს და ბოლოს, ასეთი
უხერხული სიჩუმე აუტანელი გახდა და

პარონი ალაპარაკდა საქორწილო მოგზაურობაზე, რომელსაც ახალგაზრდები უნდა შესდგომოდნენ უახლოეს დღეებში.

ამ დროს ენას თავის ოთახში ტანთ ზდიდა როზალია, რომელსაც ცრემლები ღამა-ღუპით სდიოდა. იგი ხელებს ველარ იმორჩილებდა, ვერც ზორტებს, ვერც საკინძეებს ვერ პოულობდა და ამკარად თავის ქალბატონზე უფრო ღელავდა. მაგრამ ენა ვერც კი ამჩნევდა ძუძუმტეს ცრემლებს. მას ეგონა, თითქმის სულ სხვა სამყაროში შევიდა, სულ სხვა პლანეტაზე მოხვდა, მოწყდა ყოველივე ნაცნობსა და ძვირფასს. ყველაფერი თითქმის გადაყარვდა მის ცხოვრებასა და შეგნებაში. ასეთი უცნაური აზრით კი დაებადა: „მიყვარს კი ჩემი მეუღლე?“ უცბად ენას ქმარი სულ უცნოდ წარმოესახა, რომელსაც ხეირიანად არ იცნობდა. სამი თვის წინათ მან არც კი იცოდა მისი არსებობა, ხოლო ახლა მისი ცოლია. რატომ მოხდა ეს? რა საჭირო იყო ასე სწრაფად დაქორწინება, მახეში თავის გაბმა?

როდესაც ღამის ტუალეტს მორჩა, იგი ლოგინში შესრიოდა. გრილმა ზეწარმა კიდევ უფრო შეამძივნა ისედაც აყანკალებულ ენა და გაუძლიერა სიცვიის, მარტოობისა და მოწყენილობის შეგრძნება, ბოლო ორ საათს მძიმე ტვირთად რომ აწვა მის სულს.

როზალია, რომელიც ისევ ქვითინებდა, გაიქცა, ხოლო შეშფოთებული, გულშეკუმშული ენა უცდიდა იმას, რაც ვერ გამოეცნო და რაზეც ბუნდოვანი სიტყვები გადაუტრა მამამ, — იმ იდუმალი ზიარებას, სიყვარულის უდიდეს საიდუმლოებას რომ წარმოადგენს.

ენას არც კი გაუგონია კიბეზე ფეხის ზმა, რომ კარებზე წყნარად სამჯერ დააკაკუნეს. იგი საშინელმა თრთოლამ აიტანა და არ უბასუხა. ხელახლა დააკაკუნეს, ცოტა ხნის შემდეგ კი კარებში გასაღები არაჩხუნდა. ენამ თავი საბანში დამალა, თითქმის მასთან ქურდი შეიპარა. პარკეტზე ოდნავ აკრაჭუნდა ფეხ-

საცმლები და უეცრად ვილიც შევიდა მის საწოლს.

ენა ნერვულად წამოიჭრა და ხმადაბლა წამოიყვირა. საბნიდან თავი რომ გამოჰყო, დინახა, რომ მის წინ ეულიენი იდგა და ღმილით უყურებდა მას.

— ოჰ! როგორ შემაშინეთ. — უთხრა ენამ.

— მაშ, სულ არ მელოდით? — ჰკითხა ეულიენმა.

ქალმა არ უბასუხა. ეულიენს ისევ საზეიმოდ ეცვა და ღამაში მამაკაცის მედიდურ იხტიბარს არ იტევდა. უცბად ენას საშინლად შერცხვა, რომ იწვა ასეთი თავაზიანი მამაკაცის წინაშე.

მათ არ იცოდნენ რა ეთქვათ, რა ეკეთებინათ და ერთმანეთის შეხედვასაც კი ვერ ბელადენენ ამ მნიშვნელოვან და გადამწყვეტ წუთში, რომელზეც დამოკიდებული იყო მთელი შემდგომი ცხოვრების ინტიმური ბედნიერება.

ეულიენი, შესაძლებელია, ბუნდოვნად გრძნობდა, თუ რა განსაცდელს შეიცავდა ეს ორთაბრძოლა, რა მოქნილობა, თავდაპყრილობა, რა მარჯვე ალერსი იყო საჭირო, რომ არ შეურაცხყო ოცნებებით გამოკვებილი უსაზღვროდ სათნო ქალწულგბრები სულის ფაქიზი უმანკოება და უნახესი მგრძნობელობა.

მან ფრთხილად აიღო ენას ხელი, აკოცა, ლოგინთან ისე დაიჩოქა, როგორც საკურთხეველის წინ და, თითქმის ამოიოხრაო, ოდნავ წასჩურჩულა:

— გეყვარებით?

ქალი უცბად დამშვიდდა, მაქმანებით დაფარული თავი ბალიშიდან წამოსწია და გაუღიმა:

— თქვენ უკვე მიყვარხართ, ჩემო მეგობარო.

მან პირში ჩაიღო ცოლის პატარა, თხელი თითები და ტუჩების დაცობის გამო შეცვლილი ხმით უთხრა:

— და გასურთ დამიმტკიცოთ, რომ გიყვარვარ?

ენას ისევ შეეშინა და, მხოლოდ მამამისის სიტყვების გავლენით ისე, რომ ხე-

არიანად არც კი იცოდა რას ამბობდა, უპასუხა:

— მე სულ თქვენი ვარ, ჩემო მეგობარო.

ჟულიენმა გაუბედავი კოცნით დაუფარა ხელები, ნელ-ნელა წამოიშორათა და ქალის სახისაკენ წაიწია. ჟანამ ისევ სცადა საბანში დამალულიყო.

მაგრამ იგი სწრაფად გადაიხარა საწოლზე, ერთი ხელი ცოლს საბანს ზემოდან მოხვია, ხოლო მეორე ხელი ბალოს ქვეშ შეჰყუდა, წამოსწია იგი ჟანას თავთან ერთად და სულ ჩუმად, ძალიან ჩუმად ჰკითხა:

— მაშ დამითმობთ სულ პატარა ადგილს თქვენს გვერდით?

ჟანა შეკრთა. იგი ინსტინქტურმა შიშმა შეიპყრო და წაილულლულა:

— ოჰ! ჯერ არა, გთხოვთ.

ჟულიენი აშკარად იმედგაცრუებული, რამდენადმე შეურაცხყოფილიც კი ჩანდა და ისევ შეევედრა, მაგრამ უფრო უმეხი ტონით:

— რატომ ჯერ არა, თუკი მაინც ამით უნდა დავამთავროთ?

ჟანას ეწყინა ეს სიტყვები, მაგრამ ბედს დამორჩილებულმა მაინც გაიმეორა:

— მე სულ თქვენი ვარ, ჩემო მეგობარო.

მაშინ იგი უცბად გაქრა სატუალეტო ოთახში. ჟანას მკაფიოდ ესმოდა მისი თვითებული მოძრაობა, გახდილი ტანსაცმლის შრიალი, ფულების ჩხარუნე ჯიბეში, დადებული ფეხსაცმლების ბრაუნე.

უეცრად ჟულიენმა წინდებითა და ნიფხვისამარა გადასჭრა ოთახი და ბუხარზე საათი დასდო. შემდეგ სირბილით გაბრუნდა მეზობელ პატარა ოთახში, სადაც ერთხანს კიდევ იწრიალა. როგორც კი გაიგონა, იგი მოდიოდა, ჟანა აჩქარებით გადაბრუნდა მეორე გვერდზე და თვალები დახუჭა.

ჟანა შეხტა, კინაღამ იატაკზე გადმოხტა, როდესაც მისი ფეხის გასწვრივ სვინმა, ცივმა და ბალნიანმა ფეხმა გაისრიალა. მან სახეზე ხელი აიფარა, შიშისა და

შეშფოთებისაგან გაიყვებული მზალ იყო. შემაძრწუნებლად ეყვირა და საწოლის სულ კიდეში მოიკუნტა.

უცბად ჟულიენმა ხელები მოჰხვია, თუმცა ქალი ზურგშეკცევით იწვა, და გაუმადლარი კოცნით დაუფარა კისერი, მაქანებნიანი ჩაჩი და პერანგის ამოქარგული საყელი.

აუტანელი შიშით ვაოგნებული ჟანა არ ინძრეოდა. იგი გრძნობდა ძლიერ ხელს, იდაყევებში ჩამალულ მის მკერდს, რომ ეძებდა, და ვაჟის ასეთი უხეში შეხებით შემაძრწუნებულს სული ეხუთებოდა. ახლა მას მარტო ერთი რამ უნდოდა: ეშველა თავისთვის, მთელი სახლი შემოერბინა და ჩაეკტილიყო სადმე, შორს ამ კაცისაგან.

ჟულიენი აღარ ინძრეოდა. ჟანა მის სიბოძს გრძნობდა ზურგზე. მაშინ შიშიც შეუწელდა და უცებ გაიფიქრა, საყმარისია ერთი შემოგებრუნდე, რომ გულში ჩაეყარა ქმარსო.

ბოლოს და ბოლოს, როგორც ჩანს, ჟულიენმა მოთმინება დაკარგა და შეწუხებული ხმით ჰკითხა:

— მაშ არ გსურთ გახდეთ ჩემი ცოლი?

ჟანამ თითებს შუა წაიბუტბუტა:

— როგორ, განა მე არა ვარ თქვენი ცოლი?

ჟულიენმა ნაწყენი კილოთი უპასუხა:

— კარგით ერთი, ჩემო ძვირფასო, ნუ დამცინით.

ჟანა ძლიერ დააღონა მისმა უცმაყოფილო ტონმა და იმწუთშივე შებრუნდა მისკენ ბოდიშის მოსახდელად.

ჟულიენი დამშეულივით ხარბად ეცა ქალს და სწრაფი, მწველი, გიჟური კოცნით დაუფარა მთელი სახე, ყელი და ალერსით აბრუებდა მას. ჟანამ ხელები გაშალა და უძრავად მიენდო ამ ძაბვას, არ იცოდა რას აკეთებდა ან თვითონ, ან ის და სულ მთლად აფორიაქებულს უყვებოდა. უეცრად მან მწვავე ტყვივით იგრძნო; ჟანამ დაიკუნთა და ალერსის ბურანში დარჩა, ვიდრე იგი გაშმაგებით ფლობდა მას.

რა მოხდა შემდეგ? ენას არაფერი ახსოვდა, რადგან თავგზა სულ აბნეული ჰქონდა. იგი გრძნობდა მხოლოდ, რომ მან ტუჩები დაუსეტყვა ხშირი მადლიერი კონიით.

შემდეგ იგი თითქმის დაელაპარაკა ენას და მან, შესაძლებელია, უპასუხა. შემდეგ ყულიენმა რამდენიმეჯერ კიდევ სცადა იგივე გაემეორებინა, მაგრამ ენამ შიშით უარყო. თავს რომ იცავდა, იგი ქმრის მკერდზე ისეთსავე სქელ ჯაგარს შეეხო, როგორსაც წინათ ფეხებზე, და მაშინვე განერიდა.

ბოლოს ყულიენს მოაბეზრდა ფუჭი მედიკამენტოზობა, დაცხრა და ზურგზე დაწვა. სულის სიღრმეში შეძრწუნებული ენა კი ფიქრებს მიეცა. ტკობა სიტრუე აღმოჩნდა, იგი სრულებით არ ჰგავდა სიზმარში ნანახ ოცნებებს, წინათ სანუეკარი იმედები დაიმსხვრა და ახლახან განადგურებული ნეტარებით განხილული ენა თავისთავს ეუბნებოდა: „აი, თურმე რა ყოფილა, რას ეძახიან ცოლობას; ეს არის! ეს არის!“

იგი დიდხანს იწვა ასე და სევდიანი თვალებით ხეტილობდა კედლებზე, სიყვარულის ძველ ლეგენდაში, რომელშიც მისი ოთახი იყო გახვეული.

მაგრამ, რაკი ყულიენი დუმდა და არ ინძრეოდა, ენამ ფრთხილად გადაიტანა მასზე მზერა და დაინახა, რომ მას ეძინა! მას ეძინა ნახევრად პირიას, მშვიდი სახით! მას ეძინა!

ენას არ შეეძლო დაეჭვებინა ეს. იგი ამ ძილმა უფრო აღაშფოთა, ვიდრე მისმა პირუტყველმა უხეშობამ. მას მოექცნენ ისე, როგორც პირველ შეხვედრილს. მაშ, როგორ შეიძლებოდა ძილი ასეთ ღამეს? მაშ, რაც მოხდა მათ შორის, მისთვის არაფერი ყოფილა განსაცვიფრებელი? ოჰ, ამის დანახვას ერჩივნა გაელახათ, კიდევ ერთხელ აეხადათ ნამუსი, ერჩივნა ბილწი ალერსით დაეტანჯათ იგი გონების დაკარგვამდეც კი.

იღაცეზე დაყრდნობილი და ყულიენისაკენ დახრილი, იგი უძრავად იწვა და

უსმენდა მის მსუბუქ სუთქვას, რომელიც ზოგჯერ ხვრინვას წაგავდა.

დღე დადგა ჯერ მქრქალი, შემდეგ ნათელი, შემდეგ ვარდისფერი, შემდეგ კი კაშკაშა. ყულიენმა თვალები გაახილა, დაამთქნარა, გაიზმორა, ცოლს შეხედა, გაუღიმა და ჰკითხა:

— კარგად გეძინა, ჩემო ძვირფასო?

ენამ შეამჩნია, რომ იგი შენობით ელაპარაკებოდა და გაოცებულმა ჰკითხა:

— მე კი, თქვენ?

მან უპასუხა:

— ო! მე შესანიშნავად გამოვიძინე.

შემდეგ მისკენ შებრუნდა, აკოცა და მოჰყვა წყნარად საუბარს. გადაუშალა ცხოვრების გეგმები, აგებული ეკონომიკა. ამ სიტყვის რამდენიმეჯერ განმეორებამ განაცვიფრა ენა. იგი ისე უსმენდა ყულიენს, რომ ხეირიანად არც კი ესმოდა მისი სიტყვების აზრი. უყურებდა მას და ათასობით წუთიერი ფიქრი უტრიალებდა თავში, რომლებიც ძლივს ხვდებოდა მის ცნობიერებას.

საათმა რვაჯერ დარეკა.

— უნდა ავდგეთ, — თქვა ყულიენმა, — ჩვენივეს უხერხულია გვიანობამდე ვიყოთ ლოგინში.

იგი პირველი ადგა. როდესაც ჩაცმა დაამთავრა, ენას ნება არ მისცა როზალიასათვის დაეძახა, თვითონ თავიანდაკ მოეხმარა ცოლს ყოველ წვირილმანში, რასაც კი მისი ტუალეტი მოითხოვდა.

ოთახიდან გასვლისას ყულიენი შეჩერდა.

— იცი, ჩვენ უკვე შეგვიძლია შენობით ველაპარაკოთ ერთმანეთს, მაგრამ მშობლებთან სჯობს ჯერ თავი შევიკავოთ, საქორწილო მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ კი ეს საცხებით ბუნებრივი იქნება.

საუზმემდე ენა არ გამოჩენილა. დღე-მაც ისე ჩვეულებრივად ჩაიარა, თითქმის ახალი რამ არაფერი მომხდარა. ოღონდ ერთი კაცი გაიზარდა ოჯახი.

V

ოთხი დღის შემდეგ მოვიდა სამგზავრო

ეტლი, რომელსაც ისინი მარსელში უნდა წაეყვანა.

პირველი ღამის საშინელების შემდეგ უნა შეეჩვია ყულისენის სიახლოეს, კოცნას, ნახ ალერსს, თუმცა ზიზლი უფრო ინტიმური დამოკიდებულებისადმი ოდნავადაც არ შენელებია.

უანას მაინც მოსწონდა ქმარი, უყვარდა იგი და თავს ისევ ბედნიერად და მხიარულად თვლიდა.

დამშვიდობება იყო ხანმოკლე და არანაღვლიანი. მხოლოდ ბარონის მეუღლე ჩანდა აღელვებული. გამგზავრების წინ მან დიდი და ტყვიასავით მძიმე ქისა ჩაუღო ხელში თავის ქალიშვილს:

— ეს პირადად შენ, წვრილმანი ხარცებისათვის დაგვირდება ახალგაზრდა ქალს, — უთხრა მან.

უანამ ქისა გიბეში ჩაიღო და ცხენებმა მოკურცხლეს.

სადამოვდებოდა, როცა ყულისენმა ჰკითხა:

— რამდენი მოგცა დედაშენმა სახარჯოდ?

უანა აღარ ფიქრობდა იმ ქისაზე და, როცა იგი კალთაში გადმოაბრუნა, ოქრო ნიაღვარივით წამოვიდა: ორი ათასი ფრანკი. მან ტაში შემოჰკრა: „ოჰ, რამდენს ვისულელებ“ და მოაგროვა ფული.

პაპანაქება სიცხეში ერთი კვირის მგზავრობის შემდეგ ისინი მარსელში ჩაიღენენ.

მეორე დღეს პატარა ხომალდი „მეფე ლუდოვიკო“, რომელიც აჟაკიოს გავლით ნეაპოლს მიდიოდა, მათ კორსიკისაკენ მიაქროლებდა.

კორსიკა! დაბურული ტყეები! ბანდიტები! მთები! ნაპოლეონის სამშობლო! უანას ეჩვენებოდა, რომ სინამდვილიდან იგი ახდენილ სიზმარში გადადიოდა.

ისინი გემბანზე იდგნენ ერთმანეთის გვერდით და უყურებდნენ, თუ რა ჩქარა უვლიდნენ გვერდს პროვანსის ციცაბო კლდეებს.

საოცრად ლურჯ, უსაზღვრო ცის ქვეშ გადაშლილი უმოძრაო, ლაყვაროვანი ზღვა თითქმის შედედებულიყო, თითქმის

გაქვავებულიყო ამ დამაბრმავებელ მზის სინათლეზე.

უანამ ჰკითხა:

— გახსოვს ჩვენი სეირნობა ბიძია ლსტიკის ნავით?

პასუხის ნაცვლად ყულისენმა მალულად აკოცა ყურზე.

ხომალდის ბორბლები წყალს ეხეთქებოდა და არღვევდა მის ღრმა ძილს, ხოლო კიჩოს უკან მისი გრძელი, ქაფიანი კვალი ფერმკრთალ და ფართო ზოლად გაჰმოშლიყო შემპანურივით შუშხუნა ზვირთებში და შორს ჰორიზონტში იკარგებოდა.

უტბად ხომალდის ცხვითან სულ რამდენიმე საუკუნე უზარმაზარი ზღვის ღორი ამოხტა წყლიდან, იმწუთშივე ისევ ჩაყვინთა თავით და გაქრა. უანა შეშინდა, მოულოდნელობისაგან შეჰყვია და გულში ჩაეკრა ყულისენ. შემდეგ თავის სიმხდალზე თვითონვე გაეცინა და შეწუხებულმა გაიხედა, გამოჩნდებოდა თუ არა ის ცხოველი ხელახლა. რამდენიმე წამის შემდეგ დელფინი კვლავ ხმაურით ამოეარა წყლიდან, როგორც დიდი მოსამართლე სათამაშო. შემდეგ ისევ ჩაყვინთა და ისევ გამოჩნდა, მერე თავი ამოჰყო ორმა, შემდეგ სამმა, ექვსმა და მცველი რაზმივით გაჰყვნენ მძიმე გემს, თავის უზარმაზარ თანამომესს, რკინის ფარფლებიან ხის თევზს. ისინი უვლიდნენ გემს ხან მარცხნიდან, ხან მარჯვნიდან, ხან ერთად, ხან კი ერთი ხალისით მისდევდა მეორეს, როგორც თამაშის ღროს, ხტებოდნენ ჰაერში, დიდ რაკალს შემოხაზავდნენ, დაეძგებოდნენ ერთმანეთს და ერთი მეორის მიყოლებით ისევ ჩაყვინთავდნენ წყალში.

უანა ტაშს უკრავდა, ხტოდა, „ალტაცე“ ბით ცახცახებდა ამ ვეებერთელა მარჯვე მცურავების თვითეული გამოჩენისას.

უტბად დელფინები გაქრნენ. ისინი კიდევ ერთხელ შეამჩნიეს ძალიან შორს, გაშლილ ზღვაში და შემდეგ აღარ გამოჩენილან. უანა წუთით დააღონა მათმა გაუჩინარებამ.

საღამო ახლოვდებოდა, მშვიდი, წყნა-

რი, სხივმოსილი, ნეტარებით სავსე სა-
ლაშო. არც ჰაერში, არც ზღვაზე არაფე-
რი არ იბრუნდა. ზღვისა და ცის ეს უღი-
ვლესი ყუჩილი დაბუყებულ სულს წვდე-
ბოდა და მასშიც აცხრობდა სიცოცხლის
ნიშანწყალს.

უზარმაზარი მზე ნელა ეშვებოდა იქ,
ჰორიზონტზე, უჩინარ აფრიკასთან, რომ-
ლის გავარვარებული მიწის მხურვალემა
უკვე შორიდანვე საგრძნობი იყო, მაგ-
რამ როცა მნათობი სულ მიიმალა, რა-
ღაცნაირი გრილი ჰაერი, თუმცა სიოსაც
ქა არ ჰგავდა, მოელამუნა მათს სახეებს.

მათ არ უნდოდათ კაიუტაში დაბრუ-
ნება, სიდაც ხომალდის გულისამრევი
სუნი იდგა და ლაბადებში გამოხვეულნი.
გვერდი-გვერდ გაწვნენ გემბანზე. ყული-
ენმა იმწუთშივე ჩაიძინა, მაგრამ მოგზა-
ურობის შთაბეჭდილებათა სიახლით აღე-
ვლებულ ჟანს თვალი არ მოუხუტავს.
ბორბლების მონოტონური ხმაური არ-
წყევდა მას. მაღლა, სამხრეთის კრიალა
ცაზე იგი ხედავდა მკვეთრი სინათლით
მოკაშვამე, თითქოს სველ, ურიცხვ ვარს-
კვლავს.

მხოლოდ გათენებისას ჩაეძინა ჟანს.
ხმაურმა, ხმებმა გააღვიძეს იგი. მეზღვა-
ურებს სიმღერით მოჰყავდათ გემი წეს-
რიგზე. მან შეანჯღრია მკვდარივით მიი-
ნარე ქმარი და ისინი აღგნენ.

ჟანა თავდავიწყებით ისრუტავდა დი-
ლის მწკლარტე მარილიან ნისლს, რო-
მელიც მთელ სხეულში ატანდა. ირგვლივ
ყველგან ზღვა იყო. თუმცა არა, წინ, თი-
თქოს ტალღებზე თავმოწონედ დგასო,
მოჩანდა რაღაც ნაცრისფერი, დილის რი-
ყრაყის შუქზე ბუნდოვანი გროვა, უცნა-
ური, მახვილწვეტიანი და დაფლეთილი
ღრუბლებისა.

შემდეგ იგი უფრო ნათლად გამოჩნდა.
ნაკვეთი უფრო მკაფიოდ გამოიხატა გა-
ნათებულ ცაზე და უცბად მოველინა იქა-
ურობას ახირებული წვეტიანი მთების
გრძელი გრეხილი — კორსიკა რაღაცნაირ
მსუბუქ პირბადეში გახვეული.

მზეც იქიდან ამოვიდა და მუქ ჩრდი-
ლებში გამოხატა თხემთა ხეულები.

ცოტა ხნის შემდეგ ყველა მწვერვალი
განათდა, მაგრამ თვით კუნძულსაც
ორთქლის მსგავს ნისლში ეხვია.

ხიდურზე გამოჩნდა კაპიტანი — ჩაფ-
სკენილი, მზისა და ქარისაგან გარუჯული,
ჩამომხმარი, გამოქნილი, ძლიერი მლაშე
ქარებისაგან მოკაყული პატარა მოხუცი.
ოცდაათწლიანი უფროსობისაგან ჩახრი-
წული და შტორმების დროს ყვირილისა-
გან ჩახლენილი ხმით უთხრა ჟანას:

— გრძნობთ, როგორი სუნი აქვს ამ
საძაგელს?

ჟანა მართლაც გრძნობდა ბალახებისა
და ველური მცენარეების ძლიერ, უცნობ
სუნს.

კაპიტანმა განაგრძო:

— ეს — კორსიკა აფრქვევს საამურ
არომატს, ქალბატონო. როგორც ყოველ
ლამაზ ქალს, მასაც თავისი განსაკუთრე-
ბული სურნელება აქვს. ოცი წლის გან-
მორების შემდეგაც ხუთ მილზე ვიცნობ
მას. მე ხომ აქაური ვარ. ისიც იქ, წმი-
და ელენეს კუნძულზე, ამბობენ, სულ
თავისი სამშობლოს არომატს ნატრობს.
იგი ჩემი მეგობარია.

და კაპიტანი ქუდის მოხდით მიესალმა
კორსიკას, ოკეანედან მიესალმა დიდ ტყვე
იმპერატორს, რომელიც მას ენათესავე-
ბოდა.

ჟანას ისე აუჩვილდა გული, კინაღამ
ატირდა.

შემდეგ მეზღვაურმა ხელი გაიშვირა
ჰორიზონტისაკენ: „სისხლიანი კუნძულე-
ბია“, თქვა მან.

ყუდიანი ცოლის გვერდით იდგა, რო-
მლისთვისაც ხელი წელზე მოეხვია, და
ორივენი შორს იყურებოდნენ — თვა-
ლით ეძებდნენ მითითებულ წერტილს.

ბოლოს მათ დაინახეს რამდენიმე პი-
რამიდისებური ციკაბო კლდე, რომელ-
თაც გემმა სწრაფად აუარა გვერდი და
გაემართა ფართო და წყნარი ყურესაკენ.
მას გარს ერტყა მაღალი მთების გროვა,
რომელთა ქვემო ფერდობები ხავსის
მსგავს მცენარეებს დაუფარავს.

კაპიტანმა დაინახა ცოლ-ქმარს ეს მცე-
ნარეულობა:

— მაკი! — თქვა მან.

რამდენადაც ხომალდი წინ მიიწევდა, მთების წრე თითქოს მკიდროვდებოდა მის უკან, და იგი აუჩქარებლად მისცურავდა ისე გამჭვირვალე ლაქვარდოვან ტბაში, რომ ფსკერიც კი მოჩანდა ზოგჯერ.

უცბად ყურეს სიღრმეში, ტალღების კიდესთან, მთების ძირში ქათქათა თეთრი ქალაქი გამოჩნდა.

რამდენიმე პატარა იტალიური ხომალდი ღუზაზე იდგა ნავსადგურში. მგზავრების მოლოდინში ოთხი თუ ხუთი ნავი დაძვრებოდა „მეფე ლუდოვიკოს“ გარშემო.

ჟულიენმა, რომელიც ბარგს აგროვებდა, ჩურჩულით ჰკითხა ცოლს:

— ოცი სუ ეყოფა არა მებარგულს?

მთელი კვირის მანძილზე ყოველ წუთში ამასვე ეკითხებოდა იგი, რაც ყოველთვის ტანჯავდა ჟანას. მან, ცოტა არ იყოს, წყენით უბასუხა:

— სჯობს მეტი მისცე, ვიდრე დააცლო.

ჟულიენი განუწყვეტლივ ეკამათებოდა სასტუმროს მფლობელებსა და მსახურებს, მებარგულებს, სხვადასხვა საქონლის გამყიდველებს და, როდესაც ხანგრძლივი კამათის შემდეგ რაიმე შედეგის მიაღწევდა, ხელების სრესით ეუბნებოდა ცოლს:

— არ მიყვარს, როცა მეველფენ.

ყოველთვის, როცა ანგარიში მოჰქონდათ, ჟანა კანკალებდა. იგი დარწმუნებული იყო, რომ ქმარი იმწუთშივე დავას ატეხდა თვითღებული ციფრის გამო. ჟანა თმების ძირებამდე წითლდებოდა მსახურების აბუჩადამდები შემოხედვისაგან, რომლითაც აცილებდნენ ისინი მის ქმარს, როცა გულდაგულ ინახავდნენ ხელში მისგან მიღებულ მცირე გასამრჯელოს.

ჟულიენი შეედავა მენავესაც, რომელმაც ისინი ხმელეთზე გადაიყვანა.

პირველი ხე, რომელიც ჟანამ დაინახა, პალმა იყო.

მათ ბინა აიღეს დიდ ხალხნაკლებ სასტუმროში, ფართო მოედნის ერთ კუთხეზე, და შეუკვეთეს საუზმე.

როცა დესერტი გაათავეს და ჟანა აღგა, ქალაქში რომ გაველო, ჟულიენი მოეხვია მას და ყურში ნახად ჩაუჩურჩულა:

— ცოტა ხანს ხომ არ დავწვეთ, ჩემო ფისუნია?

ჟანა გაოცდა.

— დავწვეთ? მე სრულებით არ ვგრძნობ დაღლას.

იგი მოეხვია ცოლს:

— მე შენ მინდისხარ. გაიგე? უკვე ორი დღეა...

ჟანა სირცხვილისაგან გაწითლდა და წაილულულა:

— რას ამბობ! ახლა? კი, მაგრამ რას იტყვიან, რას იფიქრებენ? როგორ გაბედავ, ოთახი მოითხოვო ამ შუადღისას?! ო, ჟულიენ, გევედრები, არ გინდა!

მაგრამ მან შეაწყვეტინა:

— ფეხებზე მკიდა, რას იტყვიან ან რას იფიქრებენ სასტუმროს ლაქიები. ახლავე დაინახე, თუ ეს დამაბრკოლებს.

და მან დარეკა.

ჟანას არაფერი აღარ უთქვამს. მას ყოველთვის სულითა და ხორცილად აღაფრთოვებდა მეუღლის ასეთი დაუოკებელი სურვილი, მხოლოდ ზიზღით ემორჩილებოდა, მიჰყვებოდა მის ნებას, მაგრამ თავს დამცირებულად გრძნობდა, რადგან მასში ხედავდა რაღაც პირუტყვულს, სამარცხვინოს, სიბილწესაც კი.

ჟანას გრძნობებს ჯერ კიდევ ეძინათ, ხოლო ქმარი უკვე ისე ეპყრობოდა, თითქოს ისიც იზიარებდა მის აგზნებულებას.

როდესაც მსახური მოვიდა, ჟულიენმა სთხოვა, ჩვენს ოთახამდე მიგვაცილეო. ლაქიამ, ნაზღვილმა კორსიკელმა, რომელსაც წვერი თვალებამდე ამოსვლოდა, ვე-რაფერი გაიგო და ჟულიენს უმტიციებდა, ოთახს საღამოსთვის მზად დაგახვედრებოთ.

მოთმინებიდან გამოსულმა ჟულიენმა განუმარტა:

— არა, ამ წუთშივე, გზაში დავიღალეთ და დასვენება გვინდა.

შამის ლაქიამ უღვაშებში ჩაიცინა, ხოლო ჟანს ერჩივნა მიწა გახეთქოდა.

როდესაც ერთი საათის შემდეგ ძირს ჩამოვიდნენ, ჟანა ვერ ბედავდა ლაქების გვერდით გავლას, სჯეროდა, რომ ისინი აუცილებლად დაიწყებდნენ სიცილსა და წითქმა-მოთქმას მის ზურგს უკან. მას გული მოსდიოდა აულოდინე, რომ არ გაეგებოდა ეს და არ გააჩნდა ფაქიზი მოკრძალება, თანდაყოლილი თავაზიანობა. ჟანა თავისთავსა და ქმარს შორის რაღაც რიდეს, ზღუდეს გრძნობდა და პირველად დარწმუნდა, რომ ორი ადამიანი ვერასოდეს ვერ შეიკრება ერთიმეორის სულში, ერთმანეთის ილუმალ ფიქრებში, რომ მათ შეუძლიათ ერთმანეთის გვერდით იარონ, ზოგჯერ მკიდროდ ჩახვეულებამც, მაგრამ ვერასოდეს შეერწყმიან ერთმანეთს და რომ თვითული ჩვენგანის სულიერი არსება სამუდამოდ მარტო რჩება მთელი ცხოვრების მანძილზე.

ისინი სამ დღეს დარჩნენ ამ პატარა, ლილისფერი ყურეს სიღრმეში ჩამალულ ქალაქში. გარშემორტყმული კლდეების მსფარი ნიახსაც კი არ უშვებდა ქალაქი-შაყენ და იგი ქურასავით ვარვარებდა.

შემდეგ მათ შეიმუშავეს მგზავრობის გეზი და, უძნელეს გადასასვლელებზე რომ არ შეფერხებულყვნენ, ცხენები დაიქირავეს. მათ აიყვანეს ხმელ-ხმელი, მაგრამ დაუღალავი ორი პატარა კორსიკული ულაყი და გათენებამდე გზას გაუღდნენ. გიდი ჯორით მიჰყვებოდა მათ და მიჰქონდა სურსათი, რადგანაც ტრაქტირები უცხო რამ არის ამ ველურ ქვეყანაში.

გზა ჯერ ყურეს მიჰყვებოდა, შემდეგ სწრაფად ეშვებოდა ოდნავ ჩალრმავებულ ველზე და იქიდან მაღალი მთებისაკენ მიდიოდა. გზა და გზა სჭირდნენ თითქმის გამშრალ ნაკადებს. ოდნავ შესამჩნევი ღელები დამალული ნადირივით ფრთხილად შრილებდნენ ქვებქვეშ.

დაუმუშავებელი ქვეყანა უდაბურო ჩანდა. ფერდობთა კალთები საშინელ სიცხეში გაყვითლებულ მაღალ ბალახს დაეფარა. დრო და დრო ხვდებოდნენ

მთიელებს. ზოგი მათგანი ქვეითად მიდიოდა, ზოგი კი პატარა ცხენზე უნდა ღლის ოდენა ვირზე იჯდა. ყველა კორსიკელს მხარზე ეკიდა გატენილი თოფი, იველი, დაეანგული, მაგრამ მეტად საშიში მათ ხელში.

მწეავე სურნელი არომატული მცენარეებისა, რომელთაც მთელი კუნძული დაეფარათ, თითქოს ამომებდა ჰაერს. გზა მიიკლავებოდა მთების გრძელ გრეხილებს შუა.

ცისფერი ან ვარდისფერი გრანიტის მწვერვალები ამ გაშლილ პეიზაჟს ზღაპრულ იერს აძლევდა. უზარმაზარი წაბლის ტყეები კი უფრო დაბალ ფერდობებზე მწვანე ბუჩქნარს ჰკავდა, მიწის იმდენად გიგანტური ზვინულებია ამ ქვეყანაში.

ხანდახან გიდი ხელს მიაშვრდა მაღალ ხრამებს და იტყოდა სახელს. ჟანა და ჟულიენი იყურებოდნენ, მაგრამ ვერაფერს ხედავდნენ. ბოლოს შეამჩნევდნენ რაღაც ნაცრისფერ, მწვერვალიდან ჩამოცვენილი ქვების გროვას. ეს იყო გრანიტის რომელიმე სოფელი, კლდეს რომ მიკვროდა და ჩიტის ბუდესავით დაკიდებული არც კი ჩანდა უზარმაზარ მთაზე.

ხანგრძლივი ნაბიჯ-ნაბიჯ სიარული აღიზიანებდა ჟანას.

— გავირბინოთ ცოტა, — თქვა მან და ნაეარლით მიუშვა ცხენი.

რაკი ქმრის ცხენის ფეხის ხმა ვერ გაიგონა, იგი შემობრუნდა და თავშეუკავებლად ახარხარდა. ჟულიენი ფერდკარგული მოჰქროდა, ცხენს ფაფარში ჩასკიდებოდა და უტანურად ხტოდა. მისი სილამაზე, მოხდენილი მხედრის შესახედაობა უფრო სასაცილოს ხდიდა მის მოუქნელობასა და სილაჩრეს.

შემდეგ ცხენები ნელი ჩოროთი წაიყვანეს. გზა ახლა გაიკიმა ორ უქიდეგანო გაუთავად ტყეს შორის, რომლებსაც ლაზადასავით დაეფარათ მთელი ფერდობი. ეს იყო მაკი—გრუზა თმასავით ერთმანეთში არეული მარამწვანე მუხების, ღვიბის, დათვის კენკრების, დანამასტაკების, ზეპრელუბის, მანანების, ბზების,

მურტების, დადნის ხეებისა და ქონდრის გაუვალი ბარდი. ისინი ერთმანეთს გადაწნოდნენ ხვიარა კატაბარდებით, გიგანტური გვიმრებით, ჩიტისვაშლებით, გარეული ვარდებით, როზმარინებით, ლავანდითა და მაცულის ეკლიანი ბუჩქებით და სქელი მატყლივით გადაფენოდნენ მთების კალთებს.

ქანასა და ჟულიენს მოჰმადათ. გიდი წამოეწია მათ და მიიყვანა ისინი მშვენიერ წყაროსთან, რომლებიც ასე ხშირია ხოლმე მთებში. კლდის პატარა ხვრელიდან ყინულისვით ცივი წყალი ძაფივით წვრილად და სწრაფად მოედინებოდა წაბლის ფოთოლზე, რომელიც ღარივით გაკეთებინა ვიღაც გამვლელს, რათა მორაყრავე ნაკადი პირდაპირ პირში ჩასვლოდა.

ქანა ისე ბედნიერად გრძნობდა თავს, რომ მზად იყო სიხარულისაგან ეყვირა.

ისინი ხელახლა გაუდგნენ გზას და დაიწყეს დაშვება საგონის ყურეს შემოვლით.

სალამოს ისინი მიაღწენენ ბერძნების სოფელ კარქეზს, ოდესღაც რომ დაუარსებიათ თავისი სამშობლოდან გაძევებულ ლტოლვილებს. არაჩვეულებრივი გრაციით აღსავსე, მაღალ ლამაზ ქალიშვილებს, რომელთაც გრძელი ხელები, მოყვანილი თეძოები და მოხდენილი ტანის ჰქონდათ, თავი მოეყარათ წყალსატევთან. ჟულიენმა მათ მიამახა: „სალამო მშვიდობისა“. ქალებმს მღერადი ხმით უპასუხეს მიტოვებული სამშობლოს მელოდიურ ენაზე.

ბიანაში რომ ჩავიდნენ, თავშესაფარს ისე ეძებდნენ, როგორც უძველეს დროს ან მიყრუებულ მხარეში სჩადიდოდნენ. ქანა სიხარულისაგან ცაცხებდა, როდის გაიღებოდა კარები, რომელზეც ჟულიენმა დააკაუნა. „ოჰ! აი ეს არის ნამდვილი მოგზაურობა, აღსავსე უცნობი გზების მთელი მოულოდნელობით!

ისინი პირდაპირ ახალგაზრდა ცოლქმარს მიაღწენენ. მათ ისე შეხვდნენ, როგორც პატრიარქები ღვთის მოციქულებს. ეძინათ ჩალის ნალზე ჭივებით გამოქმულ

ფეხსა და ხელზე; სადაც დირთა შემდეგ ვრელი გრძელი მაჯურები ისე ფუსფუსებდნენ სულ მთლად გამოხრულ ძეღურში, რომ იგი ცოცხალივით შრიალებდა და ხვნეშოდა.

გამეზავრდნენ ისინი მზის ამოსვლამდე და მალე შეჩერდნენ ტყესთან, მეწყამული გრანიტის ნამდვილ ტყესთან. აქ იყო შიშვლები, სვეტები, გოდოლები, დროთა განმავლობაში ქარისა და ზღვის ნისლი-საგან გამოძერწილი განსაცვიფრებელი ფიგურები.

სამას მეტრზე აზიდული ეს წვრილი, მრგვალი, დაგრეხილი, მოკუქებული, უფორმო ან უცნაური, ფანტასტიკური, განსაცვიფრებელი ფორმის ციცაბო კლდეები ჰკავდა ხეებს, მცენარეებს, ცხოველებს, ძეგლებს, ადამიანებს, ანაფორიან ბერებს, რქიან ქაჩებს, ვეებერთელა ფრინველებს, ურჩხულთა მთელ ზროვას, რომელიღაც თავგუნება ღმერთის ახირებით გაქვავებულ კოშმარულ სამხეტეს.

ქანა ენას ველარ ძრავდა, გული ეკუმშებოდა. მან ხელი ჩასჭიდა ჟულიენის ხელს და მგერად მოუჭირა. ასეთმა ლამაზმა სანახაობამ იგი ენებიანი სიყვარულის წყურვილით აღანთო.

უეცრად, ამ ქაოსიდან გამოსვლისას, მათ აღმოაჩინეს წითელი გრანიტის სისხლისფერი კედლით გარშემორტყმული ახალი ყურე. ცისფერი ზღვა ირეკლავდა ამ ალისფერ კლდეებს.

ქანამ წაიბუტბუტა: „ოჰ! ჟულიენ!“ მას ვერ ეპოვა სხვა სიტყვები. აღტაცებისაგან გულაჩუყებულს სული ეხუთებოდა და ცრემლები წასკდა. ჟულიენმა შეხედა მას და გაკვირვებით ჰკითხა: „რა მოგივიდა. ჩემო ფისუნიავ?“

ქალმა მოიწმინდა ლოყები, გაიღიმა და მთრთოლავი ხმით უთხრა:

— არაფერია... ეს ისე... ალბათ, ნერვები... თვითონ არ ვიცი... ამან განმაცვიფრა. ისეთი ბედნიერი ვარ, რომ უბრალო რამეც კი გულს მიფორიაქებს.

მას ცერ გაეგო ეს ქალური ნერვულობა, ეს მღელვარება მგრძნობიარე არსებო-

სა, რომელიც ყოველ წვრილმანს სიგი-
ქემდე მიჰყავს, და აღტაცება ისევე აფო-
რიაქებს. როგორც კატასტროფა, ოდნავი
შთაბეჭდილებაც კი ათრთოლებს და სი-
ხარული თუ სასოწარკვეთილება ჭკუას
აკარგვინებს.

ქალის ცრემლები ქულიენს სასაცილოდ
ეჩვენებოდა და ცუდი გზით ძლიერ შე-
წუხებულმა უთხრა:

— უფრო კარგს იზამ, შენს ცხენს რომ
მეტი ყურადღებით ადევნებდე თვალს.

თითქმის გაუვალი ბილიკით ჩავიდნენ
ისინი თვით ყურესთან, შემდეგ მარჯვნივ
გაუხვიეს და აღმართს შეუდგნენ პირ-
ქუშ ოტას ველზე გადასასვლელად.

გზა საშინელი ჩანდა. ქულიენმა შეს-
თავაზა:

— ფეხით რომ ავიდეთ?

უკეთესს ვერც მოიხატრებდა აღტაცე-
ბული ჟანა. რა სჯობდა ფეხით გავლას,
მასთან მარტო ყოფნას ამას წინათ გან-
ცდილი მღელვარების შემდეგ.

გიდი წინ წავიდა თავისი ჯორით და
ცხენებით, ისინი კი ნელი ნაბიჯით შეჰ-
ყვნიან აღმართს.

თავიდან ბოლომდე ორად გაპოზილი
მთა იქით-აქეთ იწეოდა. ბილიკი ეშვებო-
და ამ ნაპრალში და მიჰყვებოდა ორი
უზარმაზარი კლდის ძირს. ხეობის ფსკე-
რზე კი აბობოქრებული ნიაღვარი მიედი-
ნებოდა. პაერი გაყინულიყო, გრანიტი
შავად გამოიყურებოდა, ხოლო იქ, ზე-
მოთ გასაოცრად ლურჯი ცის პატარა
ნაფლეთი მოჩანდა. ყველაფერი განსაც-
ვიერებელი და თავბრუდამხვევი იყო.

უეცარმა ხმაურმა შეაკრთო ჟანა. მან
აიხედა: ვეებერთელა ფრინველი გამოფ-
რინდა რომელიღაც ხერეილიდან. ეს იყო
არწივი. მისი გაშლილი ფრთები, გეგონე-
ბოდათ, ხეობის ორივე კიდეს ეხებოდა.

(გაგრძელება იქნება)

იგი მაღლა აფრინდა და ლაქვარდში მი-
იშალა.

უფრო შორს მთის ნაპრალი ორდებო-
და. ბილიკი მკვეთრად მიიკლანებოდა
ორ უფსკრულს შუა. აგზნებული ჟანა
მსუბუქად მივრბოდა წინ, ფეხით აგო-
რებდა კენჭებს და გაბედულად იხრებო-
და უფსკრულზე. ქმარი ქოშინით მიაბი-
ჯებდა მის უკან და თვალს არ აცილებდა
მიწას, თავბრუ არ დამეხვიოსო.

უეცრად ისინი მზის შუქში გაეხვივნენ,
თითქმის ჯოჯოხეთს დააღწიეს თავი.
სწყუროდთ და ნესტიანმა კვალმა, ქვე-
ბის გროვაში რომ გადიოდა, ისინი მიიყ-
ვანა სულ პატარა წყაროსთან, რომელიც
თხის მწყემსებს ამოღურტნულ მორში
გადაეშვათ. ირგვლივ მიწა ხავსს ხალი-
ჩასავით დაეფარა. ჟანამ დასაღვევად და-
იჩოქა. ქულიენმაც მას მიბაძა.

ჟანას ცივი წყალი ეგემრიელა და პირი
ვერ მოსწყვიტა, მაშინ ქმარმა წელზე მო-
ხვია ხელები და მოინდომა ადგილი წაე-
რთმია მისთვის ხის ღართან. ჟანამ წინა-
აღმდეგობა გაუწია. მათი ტუჩები ერთ-
მანეთს ხვდებოდნენ, ეჯახებოდნენ, ეცი-
ლებოდნენ. ამ ბრძოლისას ხან ერთი,
ხან მეორე ეკიდებოდა სადინარის ვიწრო
ბოლოს, კბილს ავლებდა და არ უშვებდა,
ხან შებოკილი, ხან ნებას მიშვებული ცი-
ვი წყლის ნაკადი კი განუწყვეტლოვ ქრე-
ბოდა და ისევე ჩნდებოდა, ეშვებებოდა
მათ სახეზე, კისერზე, ტანსაცმელზე, ხე-
ლებზე. წვეთები მარგალიტის მძივები-
ვით ბრწყინავდა მათ თმებში და წყალთან
ერთად კოცნაც იფრქვეოდა.

უეცრად ჟანა სიყვარულის სურვილმა
ააგზნო. მან პირი გაივსო გამჟღავნებელ
სითხით, ტიკივით გამობერა ლოყები და
ქულიენს ანიშნა, მსურს ჩემი ბავიდან
შესვა წყალიო.





ალექსანდრე გოზრონიძე იაკობ გოგებაშვილი და ქართული ლიტერატურა

დაბადების 125 წლისთავის გავო

დიდი ქართველი პედაგოგი, „დედა ენის“ პირველი შემქმნელი იაკობ გოგებაშვილი მთელი თავისი საკმაოდ ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე მუდამ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობას, უპირველეს ყოვლისა კი საბავშვო ლიტერატურას.

აღზრდილი ქართული მწერლობის მეზობლად დემოკრატიულ ტრადიციებზე და რუსი რევოლუციონერი დემოკრატების (ბელინსკი, ჩერნიშევსკი, დობროლუბოვი და სხვ.) მოწინავე იდეებზე, იაკობ გოგებაშვილი იცავდა და ავითარებდა ხელოვნების მატერიალისტურ თეორიას, გადაჭრით იბრძოდა ცნობილი იდეალისტური პრინციპის „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ წინააღმდეგ.

„სრულიად უგულო ეგოისტი

უნდა იყოს ქართველი მწერალი, — ხაზგასმით აღნიშნავდა ი. გოგებაშვილი, — რომ მისდევდეს პრინციპსა „კაცია და გუნებაო“, „ხელოვნება ხელოვნებისათვისო... ყოველი პოეტი და ლიტერატორი უნდა სწერდეს მას, რაც ქართველს გონებას უნათლებს და უმდიდრებს ცხოველი ცოდნით, სულს უმაგრებს, უსაუბრებს, უზრუნველს და უფსებს სასოებით მომავალზე ზნეს და ხასიათს, უჩვენებს სახელმძღვანელო პრინციპებს და ჰხდის კარგად შეიარაღებულ და მარჯვე მეომარად სასტიკ საარსებო ბრძოლაში. არც ერთი სიტყვა სახელისათვის, ყოველი სტრიქონი ქვეყნის სიკეთისა და ქართველთა გაუკეთესებისათვის, აი პრინციპი, რომელიც უნდა თვალწინ ედგას ჩვენში ყველას, ვინც საზოგადოებას ემსახურება თავისი კალმით“ (თხზ., ტ. III, გვ. 122-123).

ისევე, როგორც ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი ქართულ ლიტერატურას განსაკუთრებულ როლს აკისრებდა და მიაჩნდა, რომ საზოგადოებრივი პირობების გამო მას უნდა ეტვირთა ხალხის იდეური აღზრდა, ყოფილიყო ერის მოძღვარი და პედაგოგი. „უღმობელმა გარემოებამ, — წერდა ი. გოგებაშვილი, — ყველა ჩვენის ქვეყნის ცენტრები მიანგრ-მონგრია და სარწმუნოება დააუძლურა, ხალხის განათლებას და განვითარებას კრიჭა შეუტრა, უფლება ხალხს არ აღირსა, და ხელს უწყობს მხოლოდ დაბალის, პირუტყულის ინსტინქტების გაძლიერებას... ერთადერთი ცენტრი, ერთადერთი ძალა, რომელსაც შეუძლია ამ ხანაში გაუმკლავდეს. ამ დამლუპველს ტენდენციას, არის ქართული ლიტერატურა“ (თხზ., ტ. IV, გვ. 215).

რაკი ასე იყო, რაკი ლიტერატურას გარკვეულ გარემოებათა გამო უპირატესობა ეძლეოდა საზოგადოებრივი ცნობიერების სხვა ფორმებთან შედარებით, ი. გოგებაშვილის აზრით, მწერლობას უნდა ეკისრა სკოლის როლიც, ე. ი. უპირველეს ამოცანად მიეჩნია მკითხველთა იდეურ-ესთეტიკური აღზრდა, მათი განათლების დონის ამაღლება, ცოდნის გავრცელება, „თუ ქართველი მწერალი მგოსანია, — შენიშნავდა იგი, — საკმარისი არ არის იგი გენიალური პოეტი იყოს, — უკიდურესად საჭიროა, რომ ეს გენიალური პოეტი იყოს აგრეთვე

გენიალური მოძღვარი, გენიალური პედაგოგი თავისი ერისათვის“ (იქვე).

გამოდიოდა რა ამ წანამძღვარიდან, ი. გოგებაშვილი ამტკიცებდა, რომ „მეტი მნიშვნელობა აქვთ იმ მწერლების ქმნილებათა, რომელნიც განირჩევიან განსაკუთრებული აღმზრდელი ხასიათით, ზემოქმედებით, გავლენით“. იგი მკაცრად აკრიტიკებდა თანადროულ მწერლებს, ინდიფერენტულად რომ ეკიდებოდნენ საზოგადოების საჭიროებას და ისეთ თემებზე წერდნენ, „რასაც ჩვენ ჭირ-ვარამთან არავითარი კავშირი არა აქვს და რაც იოტის ოდენადაც ვერ შეასუსტებს საშინელ სიმწარეს ჩვენის არსებობისას“. შემდეგ იგი გულის ტკივილით დასძენდა, რომ „თვით ქართული პოეზია, მელექსეობა, რომელიც წინად ძლიერ შტოს პუბლიცისტობისას წარმოადგენდა, გადაიქცა უმთავრესად გოგონებისადმი ტრფიალების სიმღერად“ (იქვე, გვ. 518).

მაგრამ ასეთი ინდიფერენტი ლიტერატორების გვერდით მოღვაწეობდნენ ჩვენი ლიტერატურის ისეთი გამოჩენილი წარმომადგენლები, როგორიც იყვნენ ილია, აკაკი, ვაჟა, რ. ერისთავი, ეგნ. ნინოშვილი და სხვები, რომელთა შემოქმედებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ერის ცხოვრებაში, ქართველი ხალხის ბრძოლაში სოციალური და ეროვნული თავისუფლებისათვის. მათ-

გან ი. გოგებაშვილი განსაკუთრებით მაღალ შეფასებას აძლევდა ილია ჭავჭავაძეს და მის ღვაწლს. „იქნებ, — წერდა იგი, — არც ერთს მსოფლიო გენიოსს არა ჰქონდეს იმდენი მნიშვნელობა თავისი ერისათვის, რამოდენაც აქვს ილია ჭავჭავაძეს საქართველოსათვის“ (თხზ., ტ. III, გვ. 215).

ერის მოძღვარი და პედაგოგი რომ გახდეს, მწერალი მჭიდროდ უნდა დაუკავშირდეს მშობლიურ ხალხს, ღრმად ჩასწვდეს ხალხის ცხოვრებას, მის საჭიროებას, იღვეს რეალიზმის პოზიციებზე და სიმართლით ასახავდეს სინამდვილეს. 1881 წელს, ეხებოდა რა რაფიელ ერისთავის შემოქმედებას, ი. გოგებაშვილი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მისი თხზულებების ძალა სიმართლე და ხალხის ცხოვრების სრულყოფილი ცოდნა იყო. „რაფიელი ჩვენს ხალხს წიგნებიდან და შორიდგან არ იცნობს, — წერდა იგი, — მას, როგორც ეტყობა, თვითონ უცხოვრია მის შორის, თითქმის ყოველი კუთხე საქართველოსი გაუცვნია საკუთარის თვალთ და ყურით, უნახავს ხალხი ჭირშიაც, ლბინშიაც, ბედნიერ დღესაც და სადა დროსაც, შეთვისებული მასთან გულისა და გონების მრავლის ძაფებით, და უყვარს ხალხი ისეთი, როგორიც არის, მისი ღირსებით და ნაკლოვანებით, უყვარს არა თეორიულის სიყვარულით, რომელიც ხშირად ზეწარივით ეფარება რეალურ სიმართლეს ხალხისასა,

არამედ ნამდვილის, ჭეშმარიტის გრძნობით. ამიტომაც აზის ყოველს ნაწერს თ. რაფიელისას ისეთი ცხადი ბეჭედი ჩვენის ხალხოსნობისა, ეროვნებისა“ (თხზ., ტ. I, გვ. 273).

დიდად აფასებდა ი. გოგებაშვილი აგრეთვე ეგნატე ნინოშვილის შემოქმედებას, განსაკუთრებით იმ პროტესტის გამო, რომელსაც ბელეტრისტი გამოთქვამდა არსებული სოციალური უკუღმართობის წინააღმდეგ. ეგნ. ნინოშვილი, წერდა იგი, „მართო ერთს მოთხრობაში კი არ აცხადებს პროტესტს ხალხის დაჩაგვრის წინააღმდეგ, რაც არ შეიძლება მიაწეროთ ბედნიერ შემთხვევას, არამედ ჰხატავს ამ პროტესტს ყველა თავის მოთხრობაში, ყოველს სტრიქონში, ყოველს გვერდზე. იგი ნამდვილი მწერალი, ნამდვილი ბელეტრისტია, მოწოდებით მომუშავე სალიტერატურო ყანაში“. დიდი ქართველი პედაგოგის აზრით, აი ასეთი ნაწარმოებები ესაჭიროებოდა ხალხს, სულიერად რომ აამაღლებდა მკითხველებს და მოამზადებდა მათ საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის.

როგორც პედაგოგი, იაკობ გოგებაშვილი, ცხადია, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა საბავშვო ლიტერატურას. იგი აღნიშნავდა, რომ მწერლობის ეს დარგი ფრიალ სათუთია და საგანგებო მზრუნველობას მოითხოვს. აქ ყოველი შეცდომა ერთი ათად მავნებელია, რადგან ძნელია ბავშვის გათავისუფლება პირველი

შთაბეჭდილებისაგან. ამიტომ იყო, რომ ი. გოგებაშვილი ძლიერ მკაცრად აკრიტიკებდა სინამდვილისაგან მოწყვეტილ და ზერელე, არაფრისმთქმელ საბავშვო ნაწარმოებებს, როგორც იყო, მაგალითად, ვინმე ლილიუტის „საბრალო ჩიტი“. ეს თხზულებაო, წერდა დიდი ქართველი პედაგოგი, „იმდენად სუსტია, რომ კრიტიკა, რაც უნდა ძირს დაიხაროს, ვერ დასწევდება მას. ყოფაქცევა, მოქმედება, ლაპარაკი და მსჯელობა მოთხრობაში გამოყვანილი ბავშვებისა ყოვლად უცნაურია და სინამდვილესთან არავითარი კავშირი არა აქვს“ (თხზ., ტ. II, გვ. 30).

საყმაწვილო ნაწარმოები, ამტკიცებდა ი. გოგებაშვილი, ბავშვებს ბევრს უნდა ეუბნებოდეს და ასწავლიდეს, იგი უნდა იყოს აგებული ცხოვრებისეულ სიუჟეტზე და საზრდოს აძლევდეს როგორც გონებას, ისე ზნეობას, თანამედროვეობასთან ერთად აცნობდეს ერის წარსულსაც, ხელს უწყობდეს სკოლას მომავალი თაობის მომზადებაში საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის.

საგულისხმოა, რომ იაკობ გოგებაშვილი არ კმაყოფილდებოდა ლიტერატურულ-კრიტიკული სტატიებით საბავშვო მწერლობის ცალკეულ საკითხებზე. იგი ამავე დროს თვითონაც ქმნიდა საყმაწვილო მოთხრობებს, ან რუსულიდან თარგმნიდა მათ. მას არაერთხელ აღუნიშნავს, რომ ბავშვის გონებრივი და ზნეობ-

რივი განვითარება აღზრდის ერთიან პროცესს წარმოადგენს და მთელ თავის მოღვაწეობაში ამ პრინციპით ხელმძღვანელობდა. საკუთარი თუ სხვა ავტორების ნაწარმოებები, რომლებიც თავის „დედა ენაში“ შეჰქონდა, მოზარდ თაობას ასწავლიდა, რომ ცხოვრება წინააღმდეგობით არის სავსე: კეთილს ბოროტი უპირისპირდება; არსებობს ადამიანი მართალიც და უპატიოსნოც, შრომისმოყვარეც და ზარმაციც. წინა პლანზე გამოჰქონდა რა დადებითი თვისებები, ი. გოგებაშვილი ნორჩ მკითხველებს განაწყობდა ბრძოლის სურვილით ბოროტების, სიზარმაცისა თუ სხვა ავ ზნეობრივ თვისებათა წინააღმდეგ.

ნაწარმოებს რომ უფრო მიეზიდა და დაეინტერესებინა ბავშვები, ი. გოგებაშვილი უპირველეს ყოვლისა მათ აცნობდა ბუნებას, მის მოვლენებს და სურათებს, ცხოველებს, ფრინველებს, მცენარეებს. მაგრამ იგი არასოდეს არ იფარგლებოდა მარტოოდენ ბუნების სურათებით და შეუმჩნევლად გადაჰქონდა საუბარი სოციალურ პრობლემებზე. ი. გოგებაშვილს ეხერხებოდა პატარა, თითქოს სულ უბრალო ამბისათვის ფართო საზოგადოებრივი შინაარსი მიეცა. ამ მხრივ სამაგალითოა მოთხრობა „ვასო და ჩიტები“. ცელქი ვასო მამისეულ ბაღში მოსვენებას არ აძლევდა ჩიტებს, უნგრევდა ბუდეებს. ეს იყო ბოროტება, მართალია, შეუგნებელი, მაგრამ მაინც ბოროტება. „რა მოიგო ვასომ

თავის ბოროტებით? — მკვეთრად სვამს კითხვას ი. გოგებაშვილი მოთხრობის ფინალში. — სააშურს ჭიკჭიკ-გალობას მოაქვდა და ამას გარდა ბაღში გამრავლდნენ ჭია-მატლები, ეხვევოდნენ ხეხილებსა და ისე აოხრებდნენ, რომ ბაღი მეოთხედს მოსავალსაც აღარ იძლეოდა“ (თხზ., ტ. IX, გვ. 9).

მსგავსი მაგალითი ბევრია გოგებაშვილის საბავშვო მოთხრობებში და სწორედ აქ ჩანს მისი, როგორც პედაგოგის, სიბრძნე. მან კარგად იცოდა, რომ პატარა ბავშვისათვის უშუალოდ სოციალური ცხოვრების გაცნობა ძნელია, რამდენადაც მასში ნაკლებად არის განვითარებული ლოგიკური აზროვნება. ამიტომ ი. გოგებაშვილი იწყებს კონკრეტულით, მისაწვდომით და თანდათან მიდის „ადვილიდან ძნელისაკენ“, „მარტივიდან რთულისაკენ“, „ნაცნობიდან უცნობისაკენ“. სამაგიეროდ შედარებით მოზრდილი ბავშვებისათვის იგი ითვალისწინებდა ისეთ ფართო სოციალური და ეროვნული ხასიათის მოთხრობებს, როგორიცაა „ერეკლე მეფე და ინგილო ქალი“, „ასპინძის ომი“, „თავდადებული ქართველი“, „სხივი წარსულისა“ და სხვა. ყვე-

ლა ამ მოთხრობას საფუძვლად უდევს ისტორიული გადმოცემა და მიზნად ისახავს ნორჩ მკითხველში აღზარდოს საუკეთესო ზნეობრივი თვისებები. „ისტორიულ მოთხრობებს, — წერდა ი. გოგებაშვილი, — დიდი მნიშვნელობა აქვთ ბავშვის აღზრდაში. საუკეთესო მამულის შვილების მხურვალე სიყვარული თავის ქვეყნისა, თავისი სარგებლობის დავიწყება მისი სიკეთისათვის და თავდადება მამულის ბედნიერებისათვის უპირველესს ღონისძიებად ირიცხებიან ჩასანერგად და აღსაზრდელად მოზარდი თაობის შორის მაღალი ზნის პრინციპებისა“ (თხზ., ტ. II, გვ. 16).

ყველაფერი ეს ცხადყოფს, რომ დიდი ქართველი პედაგოგი ლიტერატურას საერთოდ და საბავშვო ლიტერატურას კერძოდ განიხილავდა როგორც ხალხის აღზრდის მძლავრ იარაღს, როგორც ცხოვრებასთან სკოლის დაახლოების ნაცად საშუალებას. თავისი ლიტერატურულ-კრიტიკული სტატიებითა და მოთხრობებით მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ჩვენი მწერლობის, უპირველეს ყოვლისა კი საბავშვო ლიტერატურის განვითარებაში.



გიორგი სალუქვაძე

ს ე რ გ ე ი ე ს ე ნ ი ნ ი

დაბადების 70 წლისთავის გამო

არიან ბედნიერი პოეტები, რომლე-პოეტი მოკლედ გვიამბობს თავის ცხოვრებაზე და დასძენს, დანარჩენი ჩემს ლექსებშია მოთხრობილიო. და მართლაც, არც ერთი მგოსნის ბიოგრაფია ისე მჭიდროდ არ არის დაკავშირებული მის პოეზიასთან, არც ერთი პოეტის ცხოვრება ისე მკაფიოდ არ ასახულა მის პოეზიაში, როგორც სერგეი ესენინისა, ხოლო ეს ცხოვრება მის პოეზიაზე არანაქლებ დაუდგრომელი, დამაფიქრებელი და მოულოდნელობით აღსაყვ ეყო.

დიდი რუსი მწერლებისა და მოაზროვნეების მსგავსად ესენინიც ეზიარა ქართული ბუნების მადლს, დაუახლოვდა და შეიყვარა ქართველი მგოსნები ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, გიორგი ლეონიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი და სხვ. მათი სიყვარულით, უანგარო მეგობრობით გარემოსილმა პოეტმა შექმნა ოცდაცამეტი საუკეთესო ნაწარმოები, რომლებითაც არა მარტო გაითქვა სახელი, არამედ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო პოეტთა რიგებში ჩაღდა. ეს იყო პოეტის გედის სიმღერა და, ალბათ, არც არის შემთხვევითი, რომ იმ დროს დაწერილ ლექსში „კავკასია“ გამოხსვეყვის პოეტის მოაზრობებული აღსასრული. ამ ლექსში პოეტი წერს იმაზე, რომ ოღითვე რუსულ პარ-

ნას ყველაზე მეტად მხოლოდ კავკასია იტაცებდა. აქ დაწერა პუშკინმა: „ნუ გამაგონებ, ლამაზო ქალო, მაგ კავშირს ქართულ სიმღერას“. ნაღველის გასაქარვებლად ლერმონტოვმა აქ გვიამბო აზმატსა და კაზბიჩზე. გრიბოედოვიც აქ არის დაკრძალული. ახლა კი მეც ჩამოვედი, არ ვიცი რისთვის, იქნებ ახლობელი ადამიანის ნეშტის დასატირებლად ან იქნებ ჩემი აღსასრული რომ ვიგონო. ამავე დროს შექმნა მან ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი „ქართველ მოგონებს“.

„ქართვის მოგონებო!

მინდა გულით მოგესალმოთ.

კეთილი იყოს ის შეხვედრა

და ის საღამო!

ღია თქვენთვის

ჩემი სახლის და გულის კარი,

ერთი გვაქვს გრძნობა

და მოგსწობაც თანაბრად გვშვენის.

მიყვარხართ,

როგორც მქუხარე მტკვარი,

მიყვარს მე თქვენი საუბარი,

ქეიფი თქვენი“.

ქართული სტუმართმოყვარეობით აღტაცებული ესენი მოსკოვიდან ტიციან ტაბიძეს სწერდა: „საქართველომ მომაჯადოვა. როგორც კი მოსკოვსა და პეტერში ჩემთვის დაგროვილ პერს შევსვამ—მამინევე მოგაშურებთ, რათა გნახოთ და გადაგხვდეთ. ამ გაზაფხულზე თბილისს, ალბათ, მოსკოველთა მთელი ყრილობა ეწვევა. ჩამოსვლას აპირებენ კახალოვი, პილნიაკი, ტოლსტაია და ვს. ივანოვი, ბაბელი უფრო ადრე ჩამოვა. ისე დაათვრეთ, ფეხი ვერ მოიცვალს. კარგი ბიჭია, გამასპინძლების დირსი. ჰკითხე პაოლოს, რომელი თოფი ვიყიდა ტახებზე სანადიროდ. მომწეროს №.

მომიკითხე ყველა ჩემი კეთილი მეგობარი — პაოლო, ლეონიძე და გაფრინდა-ქილი. ხელზე აკოცე შენს მეუღლეს და მთელს ოჯახს და, თუ არ დაგეზარება, მომწერე ორიოდ სიტყვა“.

მაინც ყველაზე მეტად ქართველი პოეტებიდან ტიციანი დაუახლოვდა ესენისს და, როგორც ზემოთ მოყვანილ წერილ-

შიც ჩანს, ესენისსაც განსაკუთრებით უყვარდა ტიციანი. მათი მეგობრობა დიდ ხანს აღარ გაგრძელებულა. მალე ტიციანმა ცხარედ დაიჭირა თავისი მეგობარი. შესანიშნავ ხალას პოეტს საუკეთესო ლექსი „სტრევი ესენისს“ მიუძღვნა.

თბილისიდან ესენი ბათუმს გამოემგზავრა... ამ დროს, როგორც ჩანს, მას უკვე მოფიქრებული ჰქონდა ლექსების ციკლი „სპარსული მოტივები“ და ბათუმიდან კონსტანტინეპოლში აპირებდა

გამგზავრებას, რათა „ნამდვილი აღმოსავლეთი“ ენახა და მისი ცოცხალი შთაბეჭდილებით გამდიდრებულს წარმატებით განეხორციელებინა ახალი შემოქმედებითი გეგმა. თბილისიდან წამოღებულმა გავლენიანი პირის ბარათმა ესენისს ვერ უშველა და კონსტანტინეპოლს გამგზავრება ჩაიშალა. ვინ იცის, როგორი იქნებოდა „სპარსული მოტივები“, პოეტს „ნამდვილი აღმოსავლეთი“ რომ ეხილა, მაგრამ არავის აზრადაც არ მოუვა, რომ ესენისს ამ საუკეთესო ციკლს, ბრწყინვალე ლექსებს — რუსული პოეზიის ნამდვილ მშვენიერებას ამით თითქმის რაიმე დააკლდა. და რაოდენ საამაყო ჩვენთვის, რომ ციკლში შესული ლექსების ნაწილი ბათუმში დაიწერა, მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო ლექსი „შაგანე“.

ნ. ვერვბიცი, რომელიც ს. ესენისს ბათუმში ჩამოჰყვა, თავის მოგონებაში წერს: „ციკლონის გამო პატარა აჭარას დედაქალაქ ბათუმში ჩარჩენილმა და ლ. თ. პოვიცის მზრუნველობით გარემოსილმა ესენიმ დაწერა პოემები „ანა სნეგინა“, „წერილი ბაბუსას“, „ყვავილები“, „დედამიწის კაპიტანი“, ლექსები „ქარბუქი“, „გაზაფხული“ და რამდენიმე ლექსი „სპარსული მოტივებიდან“. თვითონ ს. ესენი 1924 წლის 24 დეკემბერს გ. ა. ბენისლავსკაიას ბათუმიდან სწერდა:

„მალე აგავსებთ მასალებით. ესოდენ ბევრი და ასე იოლად ცხოვრებაში ძლიერ იშვიათად იწერება. ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მარტო ვარ და გულისყურით ვმუშაობ... მოიგონეთ, გალია, მე ხომ თითქმის ორი წელია არაფერი დამიწერია, როცა

უტხოეთში ვიყავი... ამბობენ, ძალიან გა-
მოკეთდიო, ალბათ, იმის გამო, რომ რა-
ღაც ვიხილე და დავმშვიდდი... მოგეწო-
ნათ „წერილი ქალისადმი?“ უკეთესი რა-
მეებიც მაქვს... მოდის ტროპიკული წვი-
მა. მარტო ვარ და აი ვწერ და ვწერ...”

ნ. ვერეზიკი გვიამბობს, როგორ დაი-
წერა ლექსი „ყვავილები“. ერთხანს ესე-
ნინი და ვერეზიკი ბათუმში სასტუმრო-
ში „ნოე“ ცხოვრობდნენ. პოეტი გაციე-
და და ავად გახდა. იგი ნალევლმა შეიპყრო.
კენესოდა. მერე ლოგინიდან მეორე ოთა-
ხში გასძახა: „კოლიოშა, მომეცი ერთი
ფურცელი ქაღალდი და ფანქარი!“... ნახე-
ვარი საათის შემდეგ ავადმყოფს ჩაეძინა.

სალმოს ავადმყოფობამ თითქმის გაუ-
არა და ესენინი მხიარულად შეეგება პო-
ვიცკის და უცნობ სტუმარს, რომელიც
მას მოჰყვა. ესენინს რაღაც მოაგონდა,
შევიდა საძინებელ ოთახში, მოიტანა ნა-
წერი ქაღალდი და მთხოვა, წაიკითხეო.
ეს იყო დასაწყისი დიდი ლექსისა „ყვავი-
ლები“. სრულიად შეუძლებლად მოგეჩ-
ვენებოდათ, რომ ავადმყოფმა, ნალველით
შეპყრობილმა, ფიზიკური ტკივილებით
განაწევალეზმა კაცმა, რომელიც იწვა
ბნელ ოთახში, სადაც ჭერში ერთადერთი
ელამი ნათურა ენთო, აიღო და შეუსწო-
რებლად დაწერა შესანიშნავად ჩამოქნი-
ლი რამდენიმე ათეული სტრიქონი ლექ-
სი, ჭეშმარიტ შედეგებს რომ განეკუთ-
ვნება. ნამდვილად კი ეს სტრიქონები
მის ცნობიერებაში უღიდესი და რთული

მუშაობის შედეგად იქმნებოდა, რუს
პოეტი ზეპირად თხზვის დროს ეძებდა
არა მარტო საჭირო სიტყვებს, არამედ
ელავებოდა კიდევაც თავის თავს, იგონე-
ბდა მრავალ ვარიანტს, ყურს უგდებდა
თვითელ სტრიქონს ან რითმათა ნარნა-
რა ჟღერას.

როცა ჩანაფიქრი ხორცს ისხამს და
ცოცხლდება, ლექსი ქაღალდზე ისე იღე-
რება, როგორც ბაღავი სახსე თასიდან.
ესენინი თითქმის ყოველთვის ზეპირად
„წერდა“. აკი თვითონ ამბობს: „ბევრი
ლექსი ჩუმად მიფიქრია, ბევრი ლექსი
მიძლერია გულში“.

1924 წლის 11 დეკემბერს ს. ესენინი
ბათუმიდან სწერდა ჩაგინს: „ლექსებს
ხელმეორედ გიგზავნი. „ყვავილები“
გინდ დაბეჭდე, გინდ ნუ დაბეჭდავ. ეს
ფილოსოფიური ნაწარმოებია. იგი ასე
უნდა წაიკითხო — ცოტა გადაჰყარი.
იფიქრე ვარსკვლავებზე, იმაზე, თუ რას
წარმოადგენ სამყაროსათვის და ა. შ. მა-
შინ იგი უფრო გასაგები გახდება“.

ჭეშმარიტად საამაყოა, რომ ჩვენს ქა-
ლაქში დაიწერა განუმეორებელი რუსი
პოეტის საუკეთესო ნაწარმოებები. ჩვენი
სტუმრები ინტერესით ეცნობიან ენგელსის
ქუჩის № 11 სახლზე გაკეთებულ მემო-
რიალურ დაფას: „აქ 1924 წლის დეკემ-
ბერსა და 1925 წლის იანვარში ცხოვრო-
ბდა სერგეი ესენინი“.

დასასრულ, გთავაზობთ ს. ესენინის
ლექსის „ყვავილები“ ჩვენს თარგმანს.

სეკრეტი ესენინი

ყ ვ ა ვ ი ლ ე ბ ი

მე ყვავილები მეთხოვებიან
და მარიდებენ სევდიან ცქერას,
ველარ ნახავო მშობლიურ კერას
და ველებს, თვალნი რომ ვერ წვდებიან.
არაფერია, ჩემო კარგებო!
ხომ მერგო თქვენი და მიწის მადლი.
კუბოს წინაშე აკანკალებას
ახალ, მეგობრულ ალერსად ჩავთვლი.

II

დგას გაზაფხულის სადამო ლურჯი.
 მე თქვენს სიყვარულს ვერ გადავურჩი.
 ამ სიყვარულის ნამდვილ დასტურად,
 მოდი, გადავკრათ სახლიკაცურად,
 თეთრო რეზედავ და მათიოლაჲ,
 უბედურება მომსპობს ტიალი,
 თავს ვერ დავაღწევ, ალბათ, იოლად,
 თუ არ მომესმა თქვენი შრიალი.

III

ენძელავ, განა ჩემთვის არ ენთე?
 შენ წკრიალებდი ჩემს გულში დღემდე
 და შენ მითხარი: — ველარ იხილო
 სატრფოს თვალები — წყვილი ღიღილო.
 ნულარა მღერი! ნუ მესმის ეგ ხმა.
 გული ისედაც დაფერფლა ცეცხლმა.
 როგორც რითმისთვის სიტყვა „ფარული“,
 რა ვქნა, მოვიდა კვლავ სიყვარული.

IV

ო, ყვავილებო! შეძლებდა ყველა?
 გაეგო, გული რამ დამინელა,
 რამ გამიყინა, ანდა რა შეცვლის.
 ყველა შეძლებდა გაეთბო ცეცხლით?
 ვერ იმორჩილებს ვერაგ ბედს ყველა,
 მის განჩინებას ბევრი დანებდა.
 მე კოცონს ველტვი, როგორც პეპელა,
 რომ დავეწაფო მის მცხუნვარებას.

V

ბუჩქის ყვავილი არ მწამს სრულებით,
 ვერ შევიყვარებ და ველარც ვაქებ
 და თუმც ვაკარებ ხანდახან ბაგეს,
 ნაზ სიტყვებს მაინც ვერ ვეუბნები,
 მე იმ ყვავილით მზად ვარ ვილხინო,
 რომელიც მიწას ეკვრის ფესვებით.
 ის მიყვარს, იმას ვეალერსები,
 როგორც ჩვენებურ ცისფერ ღიღილოს.

VI

ნეკერჩხალს სულ სხვა აცვია ფარჩა,
 ყვავილებიდან კენკრი გამოდის,

მერე მიწაზე სეტყვად ჩამოდის,
არ დაიტოვებს ტოტებზე მარჯანს.
მან სხვანაირი ყვავილი იცის, —
მიწის ყვავილებს არ ეტოლება —
ჩვენს სხეულსა ჰგავს და ჩვენს ცხოვრებას,
სიკვდილ-სიცოცხლით ჩვენსავით იწვის.

VII

ო, საყვარელო! გემშვიდობები.
თვალი არაფერს არ ავარიდე.
რაც არასოდეს არ მეორდება,
უფრო მიყვარს და უფრო ვადიდებ.
ჩვენც ხომ არასდროს განვმეორდებით.
მოვკვდებით. მოვლენ სხვანაირები.
ჩვენ ერთმანეთის აღარ ვიქნებით,
ერთმანეთს ველარ დაველოდებით.

VIII

ჩემო ყვავილნო, დამემშვიდობეთ,
თავდახრილებო, მითხარით ბარემ,
რომ სატრფოს ხილვით ვერ გავიხარებ
და ველარ ვნახავ მშობლიურ სოფელს.
დე, ეგრე იყოს, რა ვუყოთ მერე!
სხვა ყვავილობით ვარ შეპყრობილი
და ამიტომაც სიტყვით წყობილით
ამიერიდან მიწას ვუმღერებ.

IX

კარგო, შენ თვითონ ვერ ამჩნევ განა?
ადამიანნიც ყვავილებს გვანან.
მერწმუნე, ტყუილს არ ვარ ჩვეული
და ჩემი სიტყვა ახლაც ნაღია —
შეხე, ღეროა ტანი რხეული
და თავი თითქოს ოქროს ვარდია.
ამ ყვავილებმა, თოვს თუ სიციხეა,
სიარული და ცოცვა იციან.

X

მოსიარულე ყვავილთა დასტა
ვნახე და გავხდი სიკეთით სავსე,
როცა გავიგე, რა დატრიალდა
ოქტომბრის თვეში დედამიწაზე.

მედგრად ებრძოდა ყვავილი ყვავილს,
ყველას ჯობნიდა წითელი ფერი.
მრავალს თელავდა ქარბუქის ზევეი
და ისახელა მრავალმა თავი.
გაანადგურეს ჯალათი მტერი.

XI

თვე ოქტომბერი!
ვიგონებ მწვავედ
წითელ ყვავილთა ცვენას მაშინდელს.
ვიცი, ვარდის თავს ფოლადით სხლავენ,
მაინც ფოლადი ვერ შემაშინებს.
ფეხადგმულ ყვავილს უხდება შრომაც
და მას ფოლადი ვერაფერს აკლებს:
ზღვაში ჩაუშვებს ფოლადის ზომალდს,
ფოლადისაგან აღმართავს სახლებს.

XII

და ვინაიდან შევიგენ ნათლად —
სქიმა* არ არის წუთისოფელი,
ლექსებში ვაქსოვ ხალისით ახლა,
რომ მეორდება ქვეყნად ყოველი.
და ვინაიდან ვამღერებ სიტყვას
და ლექსის ბალიც ნამდვილად ყვავის,
მზადა ვარ სატრფოს, გულით რომ მიყვარს,
ვით ოქროს ვარდი, მივუძღვნა თავი.

* ბერ-მონაზონთა უმაღლესი ხარისხი, რომლის მოსაპოვებ-
ლად განსაკუთრებული მკაცრი წესების დაცვა იყო საჭირო
(მთარგმნელის შენიშვნა).



ალექსანდრა ჩაპლინოვილი

მხატვრული ოსტატობის თეორიული საკითხები

მარქსისტულ-ლენინურ ლიტერატურისმცოდნეობაში მუდამ დიდი ყურადღება ექცეოდა მხატვრული ოსტატობის შესწავლას, მაგრამ ისიც ცხადია, რომ აღნიშნული საკითხის კვლევა ამ ბოლო დროს უფრო აქტუალური გახდა, გახშირდა და გაღრმავდა. უკვე გამოქვეყნებულია მრავალი ნაშრომი, რომლებშიც მონოგრაფიულად არის შესწავლილი რამდენიმე კლასიკოსის ან ცალკეული მწერლის მხატვრული ოსტატობა. ცნობილია, რომ მწერალ კ. ჩუკოვსკის ლენინური პრემია მიენიჭა ნ. ა. ნეკრასოვის მხატვრულ ოსტატობაზე დაწერილი წიგნისათვის. ოსტატობის კვლევის საქმე გაძლიერდა კულტურის ყველა დარგში. დიდი ინტერესით წარმოებს კინოხელოვნების, აგიტატორის, მასწავლებლისა და სხვათა ოსტატობის შესწავლა. განსაკუთრებით სწავლობენ ვ. ი. ლენინის სალექტორო ოსტატობას, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

საერთოდ ოსტატობის გამოკვლევა, რომელ დარგშიც არ უნდა წარმოებდეს იგი, რაიმე გარკვეულ მიზანს ისახავს. მწერლის მხატვრული ოსტატობის შესწავლის მნიშვნელობა კი, უპირველეს ყოვლისა, ის არის, რომ იგი ხელს უწყ-

ეობს თვით ოსტატის ღრმად და სრულყოფილად შეფასებას, მოღვაწისა და მისგან შესრულებული საქმის მთელი სიღაღით გამოზრწყნებას.

მოკლედ რომ ვთქვათ, „ოსტატი არის რაიმე საქმის კარგად მცოდნე, გამოცდილი, დახელოვნებული ადამიანი“ (ქართ. ენის გან. ლექსიკონი, ტ. VI, გვ. 74). ოსტატი ქმნის მხატვრულად სრულყოფილ, მაღალხარისხოვან სანიმუშო ნაწარმოებს. გენიალური შოთა რუსთაველის სიტყვებით რომ ვთქვათ, ოსტატის მიერ შექმნილი შედეგები—ეს არის „მარგალიტი წყობილი“, მაგრამ „მარგალიტის წყობა“ მეტად რთული პროცესია და დიდ დახელოვნებას გულისხმობს. ოსტატობა ერთობ ძნელი და მძიმე საქმეა. იგი შეუპოვარი შრომის შედეგია. ამას მოწმობენ ქართული ანდაზებიც: „შეუპოვარი შრომა ქმნის ოსტატს“, „ადვილია გაიგო, ნივთი როგორ კეთდება, ძნელია თვითონ გააკეთო იგი“. ოსტატობის ანალოგი ნათლად გვიჩვენებს ამ სიძნელის დაძლევის კონკრეტულ შინაარსს და ამით უფრო გვაფასებინებს ოსტატის პროფესიული შრომის თავისებურებას და მის უკუდავ დამსახურებას ერის კულტურის ისტორიაში.

* შესავალი ნაწილი ნაშრომისა „ნარკვევები ქართული ლიტერატურის კლასიკოსთა მხატვრული ოსტატობის შესახებ“.

ამასთან ერთად მხატვრული ოსტატობის შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ზოგიერთი თანამედროვე მწერლის

მხატვრული ოსტატობის დონის ამაღლებისთვისაც და, მაშასადამე, საერთოდ მწერლობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. ლიტერატურის კლასიკოსების მხატვრული ოსტატობის შესწავლა მაგალითის მაჩვენებელია განსაკუთრებით ახალგაზრდა მწერლებისათვის, რომლებსაც ჯერ კიდევ ვერ გამოუმუშავებიათ პროფესიული ჩვევები.

საბჭოთა ქვეყანაში, როგორც ცნობილია, ხელოვნების, მხატვრული ლიტერატურის საპატიო მოვალეობაა სრულყოფილად გამოსახოს ჩვენი მჭიდვარე ცხოვრება და დაეხმაროს პარტიას დიდი კომუნისტური საზოგადოების აშენების საქმეში. ამ მხრივ ჩვენს მწერლებს დიდად ეხმარება და შემდეგშიც დაეხმარება ლიტერატურის კლასიკოსთა მხატვრული ოსტატობის შესწავლა, სიტყვის ოსტატების გამოცდილების განზოგადება. ცნობილია, რომ ლიტერატურის კლასიკოსებისაგან სწავლებაზე ყურადღებას ამახვილებდა სოციალისტური რეალიზმის ფუძემდებელი მაქსიმ გორკი. თავის ცნობილ წერილში „იმის შესახებ, თუ როგორ ვისწავლე წერა“ იგი ამბობდა: „უცხოეთის ლიტერატურა მაძლევდა რა უხვ მასალას შედარებისათვის, მაკვირვებდა თავისი შესანიშნავი ოსტატობით... ჩემზე, როგორც მწერალზე, ნამდვილი და ღრმა აღმზრდელობითი გავლენა მოახდინა „დიდმა“ ფრანგულმა ლიტერატურამ — სტენდალმა, ბალზაკმა, ფლობერმა. ამ ავტორების კითხვას ძალზე ვურჩევდი „დამწყებთ“. იგივე გორკი ახალგაზრდა ლ. ანდრეევს სწერდა: „საერთოდ არასოდეს არავის არ მიბაძო, არამედ ისწავლე მხოლოდ დიდებისაგან: შექსპირისაგან — შეგარძნების გამოხატვა, ტურგენევისაგან — ბუნების შეგრძნებისა და გამოსახვის ხელოვნება, ჩეხოვისაგან — მოთხრობის აგების საზღვრები“.

მხატვრული ოსტატობის დონის ამაღლების გადაუდებელმა მოთხოვნისაგან აქტუალურ საკითხად აქცია ლიტერატურის კლასიკოსების მხატვრული ოსტატობის საფუძვლიანი შესწავლა. პროფ. დ.

ბლაგოი ამ მხრივ განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევს მეცხრამეტე საუკუნის რუსული ლიტერატურის კლასიკოსებზე შემოქმედებას. ამის ანალოგიურად შევვიძლია ვთქვათ, რომ უდიდესი მნიშვნელობის მქონეა მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის რეალისტი კლასიკოსების — ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, გ. წერეთლის, ალ. ყაზბეგის, ვაჟა-ფშაველასა და სხვათა მხატვრული ოსტატობის შესწავლა.

რევოლუციამდელი ლიტერატურის კლასიკოსთა მხატვრული ოსტატობისადმი ყურადღების გამახვილება ჩვენს ლიტერატურისმცოდნეობაში არ არის შემთხვევითი მოვლენა, იგი გამომდინარეობს წარსულის კულტურული მემკვიდრეობისადმი ლენინური დამოკიდებულებიდან. ცნობილია დიდი ლენინის შთამავრუნებელი სიტყვები: „პროლეტარული კულტურა არ არის საიდანაცა გამოშტაბრი რამ, იგი არ არის იმ ადამიანთა გამოწვევა, რომელნიც თავის თავს პროლეტარული კულტურის სპეციალისტებს უწოდებენ... პროლეტარული კულტურა უნდა იყოს ცოდნის იმ მარაგის კანონზომიერი განვითარება, რომელიც კაცობრიობამ შეიმუშავა კაპიტალისტური საზოგადოების, მოხელური საზოგადოების უღელქვეშ... კომუნისტი მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს, როცა შენს მესხიერებას გაამდიდრებ ყველა იმ სიმდიდრის ცოდნით, რაც კაცობრიობას შეუძლავია“ (ლენინი კულტურისა და ხელოვნების შესახებ, 1957 წ., გვ. 338-339).

მართალია, საბჭოთა მწერლობა ნოვატორულია, მაგრამ იგი უხვად იყენებს იმ ჯანსაღ ტრადიციებს, რაც წარსულის მწერლებსა და ლიტერატურას ახასიათებს მხატვრული ოსტატობის დარგშიც. მაგრამ მხოლოდ ამ ორ მიზეზზე მითითებით არ ამოიწურება მხატვრული ოსტატობის შესწავლის აქტუალური მნიშვნელობა. კიდევ არსებობს ორი მოტივი, რომელთაგან პირველ რიგში უნდა დავასახელოთ **ესთეტიკური აღზრდის ამოცანა**. ვ. ვ. გოლუბოვი, განიხილავს რა ტუ-

ჩვენების მხატვრულ ოსტატობას, წერს: „საუბრის რუსი მწერლების მხატვრული ოსტატობის შესწავლა ერთ-ერთი ამოცანათაგანია ჩვენი სკოლისა, რომელიც მოსწავლეთა ესთეტიკურ აღზრდას ღიად მნიშვნელობას ანიჭებს“. ესთეტიკურ აღზრდას ღიად უწყობს ხელს მწერლის მხატვრული ოსტატობის შესწავლა. მხატვრული ნაწარმოების ანალიზის საფუძველზე მწერლის პოეტური ოსტატობის შესწავლა აშკარად ხდის, რომ მწერალი სულის ინჟინერია: იგი აგებს მწკრივ სიტყვიერ „შენობას“ — ნაწარმოებს, რომლის ყველა კომპონენტი განოზომიერად და ორგანულად არიან ერთმანეთთან შეწყობილი. კლასიკური მხატვრული ნაწარმოების კომპოზიციის თავისებურების ანალიზი, რაც ოსტატობის ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელია, პროპორციისა და სიმეტრიულობის დემონსტრაციას წარმოადგენს. იგი გვჩვენებს, გვაყვარებს მშვენიერებას, რადგან სილამაზისა და მშვენიერების ერთ-ერთი ძირითადი განუყოფელი თვისება პროპორცია-სიმეტრიის დაცვაა. ყოველივე ეს იწვევს სწრაფვას მშვენიერებისაკენ, გვივითარებს მისი ანალიზისა და გაგების უნარს, რაც ესთეტიკური აღზრდის უტყუარი მაჩვენებელია.

სწორედ ამით უნდა ავხსნათ, რომ ამ ბოლო დროს გამოქვეყნდა მთელი რიგი წიგნები, რომლებშიც ყურადღება გამახვილებულია სკოლებში მწერლის მხატვრული ოსტატობის შესწავლის საკითხებზე. მწერლის მხატვრული ოსტატობის შესწავლა არა მარტო მოსწავლეთა ესთეტიკურად აღზრდას უწყობს ხელს, არამედ საერთოდ მკითხველი საზოგადოების აღზრდასაც. ყველაფერი ის, რაც სილამაზისა და მშვენიერებას გვაყვარებს, საერთოდ ხელს უწყობს ხალხის ესთეტიკურ აღზრდას და ამიტომ ამ ამოცანას ემსახურება ოსტატობის რკვევის საქმეც. „ოსტატობის პრობლემა, — წერს პოეტიკადემიკოსი ირ. აბაშიძე, — ხალხის ესთეტიკური აღზრდის პრობლემაა. ამიტომ მას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

ამ პრობლემის შესახებ უნდა ვილაპარაკოთ ჩვენს სხდომებზე, კრებებზე, სემინარებში, პლენუმებზე“ (ი. აბაშიძე, მაღალი ოსტატობისათვის, 1959, გვ. 99-100).

მწერლის ოსტატობის შესწავლისადმი ყურადღების გამახვილებას გააჩნია კიდევ ერთი ძალზე მნიშვნელოვანი მიზეზი. ეს არის ოსტატობის სპეციფიკური ფუნქცია შემოქმედების პროცესში: **ოსტატობა არის ის რთული საკვანძო აქტი, რითაც ხორციელდება ნაწარმოების შინაარსისა და ფორმის ურთიერთშერწყმა.** ოსტატობის ანალიზი სწორედ იმის ცხადყოფას გულისხმობს, თუ როგორ მიადგია შემოქმედმა ამ ერთიანობას.

ბუნებაში, ადამიანისაგან დამოუკიდებლად შექმნილ სამყაროში, ფორმისა და შინაარსის ერთიანობა ბუნებრივად არას განხორციელებული. მათი ერთიანობის შექმნაში ადამიანს მონაწილეობა არ მიუღია. ტყეში იზრდება მუხა, კოზირი და სხვა ჯიშის ხეები. ყველა ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან თავისი გარეგანი ფორმით. მართალია, ყველა ისინი „ხეა“, მაგრამ თავის ამ „ხეობას“ თავისებურად ავლენენ. თვითნებულ მათგანს აქვს თავისებური ტანი, ტოტები, ფოთლები, მათი მოყვანილობა განსხვავებულია. მაგრამ ამ „გარეგნობაში“ ელინდება თვითნებულის თავისებური შინაარსი, ე. ი. არსებითი ნიშან-თვისებები — გამძლეობა თუ სხვა რამ, რაც წარმოადგენს თავისებური „სახმარი ღირებულების“ გამოვლენის საფუძველს. ამ ხეების ცალკეულ სახეობაში შინაარსისა და ფორმის ერთიანობის შემოქმედი თვით ბუნებაა. ამ შემთხვევაში, ოსტატად თვით ბუნების ძალები გვეკლინებიან. მართალია, ეს ერთიანობა გაცნობიერებული არაა, წინასწარგანზრახულად, შეგნებულად არ ხდება, მაგრამ ცხადია, რომ რაღაც კანონი მაინც მოქმედებს.

საზოგადოებაში, კულტურის სფეროში კი შინაარსისა და ფორმის ერთიანობა ადამიანთა შეგნებული მოქმედების სფეროს მიეკუთვნება.

მხატვრულ შემოქმედებაში ფორმისა და შინაარსის ურთიერთ შერწყმა, მათი შესაბამისობა თუ შესატყვისობა ოსტატის შეგნებული მოქმედების გზით ხორციელდება. აქაი წერეთელია ის შემოქმედი, რომელმაც „ნათელაში“ თავისებურ შინაარსს თავისებური შესატყვისი ფორმა მოუხაზა და კონკრეტული პოემის სახით განახორციელა. ეს მოხდა სწორედ აქაიის პოეტური უნარის, მაღლის ამოქმედების საშუალებით, რომელმაც თავისებური შინაარსი შესატყვისი ფორმაში ჩამოაყალიბა ოსტატობის პრაქტიკულად რეალიზაციის პროცესში. ამიტომ **ოსტატობის ანალიზი შემოქმედების კვლევის საკვანძო პუნქტია**. ამის საფუძველზე უნდა ითქვას, რომ „ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ოსტატობის ანალიზში გამოამჟღავნოს შინაარსისა და ფორმის ერთიანობა, შინაარსის გადასვლა ფორმაში და პირუტყუ... ოსტატობა სწორედ ამ ერთიანობის შექმნას ემსახურება“. ნ. პრუცკოვის ეს აზრი სრული ჭეშმარიტებაა და ნათლად გამოხატავს მხატვრული ოსტატობის ანალიზის მეტად დიდ მნიშვნელობას, საჭიროებასა და აქტუალობას.

2

მხატვრული ნაწარმოების შინაარსის, ფორმისა და ოსტატობის ურთიერთობის საკითხი ცალკე კვლევის საგანია. ამჟამად ჩვენ გვსურს ვიმსჯელოთ ერთი საკითხის შესახებ, რომელსაც სერიოზული მნიშვნელობა აქვს ცალკეული მწერლის ოსტატობის შესწავლის დროს. ეს არის საკითხი **მხატვრული ოსტატობის კვლევის შედეგების ნორმატიულობისა**, ე. ი. ოსტატობის ანალიზის შედეგად შეგვიძლია თუ არა დავადგინოთ ისეთი ნორმები, რომელთა შესრულება სავალდებულო იქნება საერთოდ სხვა შემოქმედისათვის.

ლიტერატურისმცოდნეობის ისტორიაში ცნობილია ისეთი მიმდინარეობა, რომელიც იცავს და ქადაგებს ნორმატიულობას. ასეთია, მაგალითად, პოეტკა

არისტოტელისა, რომელიც აღდგენილია ლისათვის სავალდებულო ნორმებს, წესებს და პრინციპებს, რომელთა განხორციელება, ავტორის აზრით, უზრუნველყოფს კარგი ნაწარმოების შექმნას. არისტოტელე ასე იწყებს თავის „პოეტიკას“ ბუნების თანახმად დავიწყეთ და, უპირველეს ყოვლისა, იმის შესახებ ვთქვათ, თუ „როგორ უნდა იქნას შედგენილი აიბულა, რათა პოეტური ქმნილება იყოს კარგი“ (არისტოტელე, პოეტიკა, წინასიტყვაობა, თარგმანი და კომენტარები პროფ. ს. დანელიასი, 1944 წ., გვ. 3).

ასევე ნორმატიული ხასიათისაა პიერ ბუალოს „პოეტური ხელოვნება“. აქ ავტორი მოითხოვს ისეთი ნორმების, კანონების დაცვას, როგორიცაა ე. წ. სამი ერთიანობა: „რომ ერთ ადგილს, ერთ დღეში მხოლოდ ერთმა ამბავმა მიიყვანოს ბოლომდე ავსებული თეატრი“, „აბსტრაქტული ტიპიზაციის“ მოქმედი გმირი კი: „დასტოვებთ ის ბოლომდე ისე, ვით დასაწყისში“, ამბობს ბუალო. მამუკა ბარათაშვილიც ხომ მთელი დამაჯერებლობით წერდა: „ეს სწავლა დავსწერე, რომ ლექსი ურიგოდ არავის მოუვიდეს“.

ასე გამოდის, რომ შესაძლებელი ყოფილა მხატვრული ოსტატობის ანალიზის შედეგად ჩამოყალიბდეს **მხატვრული ოსტატობის თეორია**, სადაც დადგენილი იქნება ის ნორმები, რომელთა ზუსტად განხორციელება უზრუნველყოფს კარგი ნაწარმოების შექმნას.

საერთოდ, ამა თუ იმ მეცნიერებაში ნორმატიულობის საკითხი საესებით კანონიერი საკითხია. მეცნიერება სინამდვილის შესწავლის საფუძველზე გარკვეულ კანონებს აღმოაჩენს და თეორიულად აყალიბებს. შემდეგ აღამიანები მათ ცხოვრებაში იყენებენ და თავის პრაქტიკულ საქმიანობას წარმართავენ. „ლიტერატურული პრაქტიკის საფუძველზე შექმნილი თეორიაც სახელმძღვანელოა, — მასაც ნორმის (კანონის) ხასიათი აქვს, იგი სავალდებულოა, — წერს პროფ. ს. გუჩეილაძე. — ...ლიტერატურის თეორიის თუმცა ნორმატიულია, მაგრამ იგი ერთ

წერტილზე არასოდეს არ იყინება, იგი ვითარდება ლიტერატურულ პრაქტიკასთან, ლიტერატურის განვითარებასთან ერთად“ (ს. გაჩეჩილაძე, ლიტერატურის-მცოდნეობის შესავალი, 1957 წ., გვ. 10). მხატვრული ლიტერატურის და ლიტერატურის თეორიის ასეთი ურთიერთმიმართების დროს თავისებურია მხატვრული ოსტატობის ანალიზის შედეგების ნორმატიულობის შეფასება. ამ თავისებურებას, ერთი მხრივ, ის ქმნის, რომ რომელიმე მწერლის ოსტატობის შესწავლის შედეგების შეფასება არ ეტევა ლიტერატურის თეორიის ჩარჩოში. იგი შედის აგრეთვე ესთეტიკისა და შემოქმედების ფსიქოლოგიის კომპეტენციაში.

ესთეტიკას იგი ესება იმდენად, რამდენადაც ოსტატობის წყალობით იქმნება ისეთი მხატვრული ფაქტი, რომელსაც აქვს ესთეტიკური ზემოქმედების ძალა და ამდენად მხატვრული ნაწარმოების შექმნა და ანალიზი ესთეტიკის კანონებსაც უნდა ითვალისწინებდეს. კ. მარქსი წერს, რომ ადამიანი ნივთს ქმნის სილამაზის კანონების მიხედვით და მხატვრული ნაწარმოებიც ერთ-ერთი ასეთი თავისებურად „ლამაზი ნივთია“.

შემოქმედების ფსიქოლოგია ანვარიშგასაწევი იმდენად, რამდენადაც ეს მეცნიერული დისციპლინა იკვლევს ნაწარმოების შექმნის დროს „ცხოვრების მოვლენების გადამუშავებისა და განზოგადების პროცესს“ (ბ. მეილაზი, პუშკინის მხატვრული აზროვნება როგორც შემოქმედებითი პროცესი, რუს. ენაზე, 1962, გვ. 25). ამ გადამუშავებაში განსაზღვრული კანონები მოქმედებს, რომელთა რეალიზაცია ოსტატობის გზით ხდება და ამდენად ამ ნორმების გაცნობიერება და მათი გამოყენება მხატვრული ნაწარმოების შექმნის ერთგვარი წინაპირობაა.

აშკარაა, რომ ოსტატობის პროცესი რამდენადმე ნორმატიულია და, ერთი შეხედვით, მეტად რეგლამენტირებულიც კი. მაგრამ აქვე გარკვევით უნდა ითქვას, რომ იგი არ არის სტანდარტიზებული. ჰველაფერი რომ მზამზარეულად მოე-

მული ნორმების გამოყენებაში მდგომარეობდეს, მაშინ ხელოვნება ხელოვნება იქნებოდა და არა შემოქმედება. შემოქმედება კი ახლის შექმნაა და ამ ახლის შექმნაც, შექმნის გზა — ხერხების სიახლეს მოითხოვს. ეს რომ ასე არ ხდებოდეს, მაშინ ნოვატორობის საკითხი სულ მოიხსნებოდა ხელოვნებაში. ამიტომ მხატვრული ოსტატობის კვლევის დროს ნორმატიულობის პრობლემაც თავისებურად ისმის. მხატვრული ოსტატობა ვანსხვავდება სხვა სახის ოსტატობისაგან იმით, რომ მასში **გადამწვევები მნიშვნელობა აქვს პოეტობის მადლს, ნიჭს, უნარს, რომელსაც ადამიანი ვერ შეიძენს ვერავითარი ვარჯიშით.** ერთხელ, თურმე, „ანატოლ ფრანსს ჰკითხეს: შეიძლება თუ არა ადამიანს შეასწავლო მწერლის ხელობა? დიდმა სტილისტმა გაიღიმა და თქვა: რასაკვირველია, შეიძლება! თუ ეს ადამიანი მწერალია“ (იხ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 6/2, 1962 წ.). ა. ფრანსის ამ გადაკვრით ნათქვამში აშკარად გამოსკვეთის ის ჭეშმარიტი აზრი, რომ მწერლობის უნარი თანდაყოლილი მადლია, რომ იგი ბუნებისაგან ეძლევა კაცს. „რასაკვირველია, მხატვარ-შემოქმედს არ გააჩნია არავითარი საიდუმლო განსაკუთრებულობა, მაგრამ შექმნის ხელოვნების უნარი, გარდა სკოლითა და პრაქტიკით შეძენილი გაწაფულობისა, მოითხოვს განსაკუთრებულ ნიჭიერებას... ნამდვილად მხატვარი რომ იყო, საჭიროა გქონდეს შესაბამისი ბუნებრივი ნიჭი (მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის საფუძვლები, რუს. ენაზე, 1960 წ., გვ. 354-355).

ეს პოეტური მადლი ისტორიულად შრომის პროცესში გამომუშავდა და კ. მარქსს იგი მიაჩნდა შრომის განაწილების შედეგად. პოეტური ნიჭის არმქონე ადამიანი ვერასოდეს ვერ შექმნის კლასიკურ ნაწარმოებს, მაგრამ პოეტური წიქითა თუ მადლით დაჯილდოებული ჰეროვნებაც ვერაფერს ვერ მიღწევს სისტემატური შრომის, მუყაითი რუდუნების გარეშე. პოეტური მადლი ადამიანისათვის თანდაყოლილია როგორც მხო-

ლოდ შესაძლებლობა, რომელსაც, „უნდა პატრონობა, ხელის შეწყობა, გაზრდა და დაგეგმვა“ (ი. ჭავჭავაძე).

პოეტური მადლის პატრონობისა და ხელის შეწყობის საქმეში ერთ-ერთი პირველი ადგილი ეკუთვნის ლიტერატურის კლასიკოსების მხატვრული ოსტატობის კრიტიკულად ათვისებასა და გამოყენებას. მაგრამ საკითხავია: როგორია ამ გამოყენების საზღვრები? რამდენად გამოადგება ერთი მწერლის მხატვრული ოსტატობის ანალიზის შედეგები მეორე ზეობიანს? სწორედ აქ ისმის მხატვრული ოსტატობის ანალიზის შედეგების ნორმატიული მნიშვნელობის საკითხი. თავისთავად ცხადია, ნორმატიულობა იმას არ ნიშნავს, რომ ერთი ოსტატის მიერ გამოყენებული მხატვრული ხერხები და საშუალებები მეორე შემოქმედმა მექანიკურად გადმოიღოს და გამოიყენოს, ე. ი. ნორმატიულობა არ ნიშნავს ოსტატობის ელემენტების მექანიკურ განმეორებას, არამედ მათ შემოქმედებით ათვისებას. ამ შემთხვევაში კლასიკოსთა ნაწარმოების ნორმები წარმოადგენენ მხოლოდ მაგალითის მაჩვენებელ ნიმუშებს ორიგინალური ნაწარმოებების შესაქმნელად. ჩვენ აზრით, სწორედ ამგვარად უნდა გვესმოდეს კ. მარქსის ნათქვამი ბერძნული ხელოვნებისა და ეპოსის შესახებ. ისინი, წერს კ. მარქსი, „გარკვეული აზრით ნორმისა და მიუწვდომელი ნიმუშის მნიშვნელობას ინარჩუნებენ“ (კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, 1953 წ., გვ. 297). ეს ნათქვამი რომ რუსთაველის „ვეფხისტყაოსანზე“ გადმოგვტანა, შეგვეძლო გავვეიმეორობინა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ჩვენ ახლაც კიდევ ესთეტიკურ სიამოვნებას გვაგრძნობინებს და გარკვეული აზრით ნორმისა და მიუწვდომელი ნიმუშის მნიშვნელობას ინარჩუნებს. მაგრამ იგი ასეთია სწორედ იმიტომ, რომ გვაძლევს იმის ნიმუშს, თუ როგორ სრულყოფილად უნდა ასახოს მწერალმა თავისი ეპოქა. ამ თვალსაზრისით მხატვრული ოსტატობის რვევის შედეგებს მართლაც აქვს ერთგვარი ნორმა-

ტიული ხასიათი, მხოლოდ იმ გავებით, რომ იგი გამოყენებულ იქნას როგორც კონკრეტული მაგალითი ახალი ორიგინალური ნაწარმოების შექმნის პროცესში.

ამ გამოყენების თავისებურების შესახებ კი უნდა ითქვას შემდეგი: ხელოვნებას აქვს თავისი სპეციფიკური კანონები, რომლებიც ახსნილი და დახასიათებულია ხელოვნების თეორიაში, ესთეტიკაში. ასევე, მხატვრული ლიტერატურა, როგორც ხელოვნების დარგი, ხასიათდება სპეციფიკური კანონებით, რომლებიც ფორმულირებულია ლიტერატურის თეორიაში, როგორც ლიტერატურისმცოდნეობით დისციპლინაში. შემოქმედებისათვის, მწერლისათვის სავალდებულოა ამ კანონების ცოდნა. რასაკვირველია, თუ პიროვნებას პოეტური მადლი არ გააჩნია, ამ კანონების ცოდნა თავისთავად ვერ უზრუნველყოფს კარგი ნაწარმოების შექმნას, მაგრამ ისიც უდავოა, რომ ხელოვნების მხატვრული კანონების, ლიტერატურული შემოქმედების უფლებელობა დაუსვგლად არ ჩაივლის. შემოქმედების კანონების ცოდნა მხოლოდ ხელს უწყობს კლასიკური ნაწარმოების შექმნას.

ასევე უნდა ითქვას მხატვრული ოსტატობის ანალიზის შედეგების მნიშვნელობის შესახებაც. მიგმართავთ კონკრეტულ მაგალითს. ლიტერატურის თეორიიდან ცნობილია, რომ შპანუნგი ეწოდება ღაბაბულ მომენტს ფაბულის განვითარებაში. იგი აძლიერებს მკითხველის დინტიერესებას. აქედან გამომდინარეობს ასეთი კანონი: რამდენადაც მეტია მოტივირებული შპანუნგის რაოდენობა ფაბულის განვითარებაში, იმდენად ნაწარმოები მაღალმხატვრულია. მწერლის მხატვრულმა ოსტატობამ პრაქტიკულად უნდა განახორციელოს ეს კანონი. ამ მხრივ ოსტატობა ნორმატიულია, რადგან მან უნდა უზრუნველყოს შპანუნგის არსის რეალიზაცია. მაგრამ საკითხავია: როგორ შევქმნათ ასეთი ეფექტიანი შპანუნგი? სწორედ ამის უზრუნველყოფა არის ოსტატობის მთავარი ამოცანა, რაც ერთობ ძნელია, რადგან აქ არ შეიძლება ისეთი

ნორმის დადგენა, ისეთი თეორიის შემუშავება, რომელიც მზა რეცეპტი იქნება კარგი შპანუნგის შესაქმნელად. არ შეიძლება იმიტომ, რომ ყოველ ნაწარმოებში შპანუნგი ყოველთვის კონკრეტულია, იგი მხოლოდ იმ ნაწარმოებში მოცემულ კონკრეტულ ვითარებას შეესაბამება და ამ ნაწარმოებში გამოხატული ამბის განვითარებისათვის უშუალოდ არ გამოდგება. ამიტომ ოსტატობის საკითხების კვლევის დროს არ შეიძლება დადგინდეს თეორია, რომელშიც მოცემული იქნება, თუ როგორ დაიწეროს კარგი შპანუნგიანი ნაწარმოები (სწორედ აქ ცდებოდა არისტოტელე, რადგან ეძებდა ფაზულის ისეთნაირად შედგენის ხერხებს, რომ ნაწარმოები კარგი ყოფილიყო), არამედ მხოლოდ იმის შესახებ შეიძლება ითქვას, თუ როგორ დაუწერიათ კარგი შპანუნგიანი კლასიკური ნაწარმოები, რომლის გამოყენება შეიძლება როგორც მაგალითისა. სწორედ ამან გვაიძულა, რომ ჩვენი ნარკვევისათვის გვეწოდებინა „მხატვრული ოსტატობის თეორიული საკითხები“ და არა „მხატვრული ოსტატობის თეორიის საკითხები“. ასეთი არჩევანი იმით საბუთდება, რომ ოსტატობის პრაქტიკული რეალიზაცია ისეთ მომენტსაც შეიცავს, რომელიც არ ეტევა ოსტატობის თეორიის ჩარჩოში. ეს გამომდინარეობს პოეტური უნარისაგან, რომლის მოქმე-

დების პროცესის წინასწარ დადგენა ნორმებში მოქცევა ნაძალადევი იქნებოდა. ეს მაღლია ახლის შემქმნელი და ეს ახალია სწორედ ნოვატორული და ძველისაგან განსხვავებული.

ჩვენ იმას კი არ ვამბობთ, რომ მხატვრულ ოსტატობას საერთოდ არ გააჩნდეს არავითარი თეორია. რასაკვირველია, ოსტატი ხელმძღვანელობს ზოგადი თეორიული პრინციპებით. ჩვენ მხოლოდ ის გვსურს ვთქვათ, რომ მხატვრული ოსტატობა არსებითად პრაქტიკული საკითხია და მისი წარმატებით განხორციელება არ არის შეპირობებული მხოლოდ და მხოლოდ ამ ზოგადი თეორიული დებულებებით. ოსტატობაში ორი ნაკადი ერწყმის ერთმანეთს. პირველია ის, რაც ოსტატის სუბიექტური სამყაროდან მომდინარეობს პოეტური მადლის სახით, მეორე კი ის არის, რაც წარმოიშობა სხვების მიერ პრაქტიკულად განხორციელებული ოსტატობის ანალიზის შედეგების თეორიული განზოგადებიდან.

ყოველივე ზემოაქმულის საფუძველზე მხატვრული ოსტატობის ნორმატიულობა უნდა გვესმოდა, როგორც მწერლის მხატვრული ოსტატობის ანალიზის შედეგების განზოგადება, რათა პოეტური მადლით დაჯილდოებულ შემოქმედთათვის იგი დარჩეს როგორც დამხმარე სანიმუშო მაგალითი.



შოთა ქერიძე

რეჟიმის გზა

ოცდაათ წელზე მეტია ლიტერატურულ ასპარეზზე მოღვაწეობს მწერალი-დრამატურგი ამირან შერვაშიძე.

თოთხმეტი-თხუთმეტი წლისა იყო იგი, როცა თავისი პირველი მხატვრული ნაწარმოები — პატარა მოთხრობა „ფატმა“ გამოსცა ცალკე წიგნად (1928 წ.), მალე კი აქტიური მონაწილეობა მიიღო კინოფილმის „ახალგაზრდობა იმარჯვებს“ შექმნაში. ეს ფილმი, როგორც ცნობილია, დადგა გამოჩენილმა ქართველმა მსახიობმა, შემდგომ სსრ კავშირის სახალხო არტისტმა მიხეილ გელოვანმა და საკმაო წარმატებაც ზედა. მისი მეშვეობით მილიონობით საბჭოთა მკითხველი პირველად გაეცნო აჭარის ცხოვრებას, ამ კუთხის აღმსიანებსა და ბუნებას.


ფილმის „ახალგაზრდობა იმარჯვებს“ წარმატებამ ამირან შერვაშიძეს კინოხელოვნებისადმი ინტერესი აღუძრა და მან სწავლა განაგრძო ჯერ მოსკოვის, შემდეგ კი კიევის სახელმწიფო კინემატოგრაფიის ინსტიტუტის სასცენარო-რეჟისორულ ფაკულტეტზე. საქართველოში რომ დაბრუნდა, ერთხანს მუშაობდა სახიკმრეწვის სასცენარო განყოფილებაში, მერე კი ისევ ბათუმს დაუბრუნდა.

და თუმცა მწერალმა შემდგომ კინოს თეატრი ამჯობინა, კინოხელოვნებისადმი

ინტერესი არასოდეს გაქრობია. მართალია, შედარებით იშვიათად, მაგრამ იგი დღესაც მონაწილეობს ახალი კინოფილმების შექმნაში. გავიხსენოთ თუნდაც რეჟისორ შ. ჩაგუნავას დოკუმენტური ფერადი ფილმი „საბჭოთა აჭარა“, რომელსაც საფუძვლად დაედო ა. შერვაშიძის სცენარი. გარდა ამისა, თუ ბათუმელ კინომოყვარულთა ზოგიერთმა ფილმა საკუთარი აღიარება მოიპოვა, ამაში უთუოდ არის ა. შერვაშიძის წვლილიც. იგი მათ უწერს სცენარს ან ეხმარება საჭირო რჩევა-დარიგებით.

თავისი პირველი პიესა „კაპიტანი“ ა. შერვაშიძემ დაწერა ოცდაათიანი წლების დამდეგს. იგი დადგა თბილისის მოზარდ მკითხველთა თეატრმა. 1938 წელს მაყურებელმა ნახა დრამატურგის ახალი პიესა „პატარა შეცდომა“, რომელიც მმართველი იყო აჭარაში ჯერ კიდევ შემორჩენილი მაგნი ადამიანებისათვის წინააღმდეგ. ეს პიესა ითარგმნა და დაიდგა უკრაინულ სცენაზეც.

საგულისხმოა, რომ უკვე ამ პირველ პიესებშივე საკმაო სიმკვეთრით გამოიხატა ა. შერვაშიძის დრამატურგიის ძირითადი ნიშან-თვისება. მწერალს არ უყვარს ე. წ. „ნეიტრალური“ თემები, იგი ცდილობს დაუყოვნებლივ გამოეხმაუროს სა-



კიბობოროტო საზოგადოებრივ მოვლენებს, ასახოს ჩვენი ყოველდღიურობა. აქ იღებს სათავეს მისი პიესების იდეურ-პოლიტიკური სიმახვილე და მგზნებარე პუბლიცისტურობა. ამითვე აიხსნება მათი მწვავე აქტუალობა და, თუ შეიძლება ასე ითქვას, ოპერატულობა. ისინი ყოველ ცალკე მომენტში ჰაერივით ესპირობა თეატრს, რამდენადაც ეხმარებიან დიდ საზოგადოებრივ მოვლენებს და გამოხატავენ ხალხის განწყობილებას.

ამ მხრივ ფრიად დამახასიათებელია ა. შერვაშიძის პიესა „კრავჩუკის ცრემლები“.

1939 წელს, როცა საბჭოთა არმიის ნაწილებმა გადალახეს უკრაინის დასავლეთი საზღვარი, რათა გამოეცნობინათ ისტორიული უსამართლობა და აღედგინათ უკრაინელი ხალხის ერთიანობა, ა. შერვაშიძე კიევში იმყოფებოდა. მოძმე უკრაინელ მწერლებთან ერთად იგი ფეხდაფეხ შეჰყვა ჩვენი არმიის ნაწილებს დასავლეთ უკრაინაში (ქ. ლვოვში) და საკუთარი თვლით იხილა, თუ რა ალტაცებით შეგზნენ დასავლეთ უკრაინის მშრომელები თავის განმათავისუფლებელ საბჭოთა არმიას, რა სიხარულმა მოიცვა მთელი უკრაინელი ხალხი სამშობლოს ეროვნული ორგანიზმის გამოთლიანების გამო. ყველგან ზეიმი, ყველგან სიხარული და ალტაცება სუფევდა, აღამიანები ერთმანეთს ეხვეოდნენ და კოცნიდნენ, ბევრი ვერ იკავებდა ცრემლს, ქალები კი კქიითინებდნენ.

ქართველ მწერალზე ყოველივე ამან წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. მან სულითა და გულით გაიზიარა მოძმე უკრაინელი ხალხის დიდი ეროვნული სიხარული და ნანახისა და განცდილის საფუძველზე დაუყოვნებლივ დაწერა პიესა „კრავჩუკის ცრემლები“. გაზეთმა „სოვეტსკაია უკრაინა“ მოწინავე სტატიაში სწორედ ამ გარემოებას გაუსვა ხაზი და ა. შერვაშიძის პიესა უპირველეს ყოვლისა შეაფასა როგორც საბჭოთა ხალხის მეგობრობის, მისი ერთიანობის მკაფიო გამოხატულება. „დასავლეთ უკრაინისა

და დასავლეთ ბელორუსიის შემოერთება — წერდა გაზეთი, — ისე ახლოს მიიჭვნეს გულთან საბჭოთა კავშირის ხალხებმა, რომ მზიურ აპარაში მწერალმა ამირან შერვაშიძემ პირველმა შექმნა დრამატული ნაწარმოები ამ თემაზე, რომელიც ამჟამად ითარგმნა უკრაინულ ენაზე. რა ბევრს ლაპარაკობს ეს ფაქტი. ეს 193-მილიონიანი საბჭოთა ხალხების დიდი მეგობრობის კიდევ ერთი დამადასტურებელი ფაქტია.“

„კრავჩუკის ცრემლები“ დაიდგა უკრაინის ოცამდე თეატრში და მაყურებელმა იგი ყველგან გულთბილად მიიღო. გარდა ამისა, პიესა დაიბეჭდა უკრაინის კომკავშირის ცენტრალურ ჟურნალში „მოლოდი ბილშოვიკი“ („ახალგაზრდა ბოლშევიკი“) 1940 წელს (№ 11) და მალე ცალკე წიგნადაც გამოვიდა კიევში.

კიდევ მეტი იდეურ-პოლიტიკური სიმახვილითა და პუბლიცისტური მგზნებარებით გამოირჩევა ა. შერვაშიძის პიესა „ვივა კუბა!“ („სანტიაგოელი ქაღალცილი“), რომელიც პირველად ჟურნალ „ლიტერატურულ აპარაში“ გამოქვეყნდა (პირველი მოქმედება და ფინალი). იგი დაიწერა სამოციანი წლების დამდეგს, როცა რევოლუციური კუბის წინააღმდეგ ახალ-ახალ პროვოკაციებს აწყობდა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა და ცდილობდა პირისაგან მიწისა აღეგავა პირველი სოციალისტური სახელმწიფო ამერიკის კონტინენტზე. ამ გარემოებას გამაძვრა პიესისადმი ინტერესი და იგი ჩვენი ქვეყნის ოცდაექვსმა თეატრმა დადგა. „ვივა კუბა!“ ითარგმნა არა მარტო რუსულ, არამედ უკრაინულ, ლატვიურ, უზბეკურ, ესპანურ და სხვა ენებზე. იგი ცალკე წიგნადაც გამოიცა რუსულად და უკრაინულად.

„ვივა კუბა!“ პირველმა დადგა სევასტოპოლის შავი ზღვის ფლოტის რუსულმა დრამატულმა თეატრმა. სპექტაკლს არაჩვეულებრივი წარმატება ჰყვა — მან

1 გაზ. „სოვეტსკაია უკრაინა“, 1940, 11/IX.

მოხილბა მაყურებელი რევოლუციურ-რომანტიკული პათოსით, გმირი კუბელი ხალხისადმი მხურვალე სიმპათიის გრძნობით. დარბაზში ხშირად გაისმოდა ტაში, რითაც საბჭოთა აღმამიანები გამოხატავდნენ თავის ინტერნაციონალურ სოლიდარობასა და სიყვარულს თავისუფლების კუნძულის მშრომელებისადმი, რომლებიც ახალ ცხოვრებას აშენებენ ლოზუნგით — „სამშობლო ან სიკვდილი!“

ჩა თქმა უნდა, სპექტაკლის წარმატება უპირველეს ყოვლისა განაპირობა პიესამ. მართალია, „ვივა კუბა!“, როგორც დრამატული ნაწარმოები, არ არის უნაკლო, მაგრამ ეს როლია მთავარი, თუკი ყველა მის ნაკლს ჩრდილავს პიესის შინაგანი პათოსი, შემოქმედებითი მღელვარება ავტორისა, რომელიც ორგანულად განიცდიდა კუბელი ხალხის ცხოვრებას და გულთან მიაქვს მისი მწუხარებაც და სიხარულიც. გაზეთი „სოვეტსკაია კულტურა“ ამის თაობაზე წერდა: „მხატვარს, რომელიც ფეხდაფეხ მიჰყვება მოვლენათა გაუთვლებელ კვალს, ყოველთვის როდი ძალუძს გაიაზროს მიმდინარე ამბავი, სასურველი ფორმით გამოხატოს აზრი, მაგრამ თუ მისი ხმა გულწრფელად და გატაცებით ჟღერს, მაშინ მისი აზრი, თუნდაც არა სავსებით სრულყოფილად გამოხატული, აღელვებს მაყურებელს“.¹

„გაზეთის თეატრალური მიმომხილველის მტკიცებით, ამირან შერვაშიძის ხმა პიესაში „ვივა კუბა!“ გულწრფელად და გატაცებით ჟღერს და ამ გარემოებამ განაპირობა სპექტაკლის წარმატება. თეატრის „კოლექტივი, — ნათქვამია რეცენზიაში, — გაიტაცა ავტორის მონათხრობმა თავისუფლებისათვის კუბელი ხალხის ბრძოლის პირველ დღეებზე და განიმსჯელა დრამატურგის მღელვარებით. სპექტაკლის ცალკეული სცენები გმირულ პათოსამდეა ამაღლებული. საკმარისია გავისენოთ ისეთი სცენები, როგორიცაა, მაგალითად, დესანტის გადმოსხმა, მარო-

დებების გასაპაროლება, დადგმის დიპლომა“.

იმ დღეებში, როცა ამერიკის შეერთებული შტატების პირატული მოქმედების შედეგად კარიბის ზღვის რაიონში უაღრესად კრიტიკული მომენტი შეიქმნა და კუბას სერიოზული საფრთხე დაემუქრა, ცენტრალურმა ტელევიზიამ მოსკოვიდან გადასცა ა. შერვაშიძის „ვივა კუბა!“ და სევესტოპოლელთა სპექტაკლი მილონობით საბჭოთა მაყურებელმა ნახა. რსდსრ მწერალთა კავშირის გამგეობის ორგანო გაზეთი „კულტურა ი ჟიზნ“ ამის გამო წერდა: „ხეთშმათის რუსეთის ფედერაციის მილონობით (ლიახ, ღიახ, მილონობით!) მცხოვრებმა წარმტაცი მოგზაურობა მოახდინა თავისუფლების კუნძულზე კარიბის ზღვაში. ვინდა დაამზადა ესოდენ უკიდევანო მფრინავი ხალიჩა? ცენტრალურმა ტელევიზიამ. უკრაინიდან ჩამოსულმა რუსმა არტისტებმა სატელევიზიო თეატრის სცენაზე გვიჩვენეს ქართული დრამატურგის პიესა კუბის შესახებ. ეს ფაქტი თავისთავად ძლიერ მნიშვნელოვანია: ერთა მეგობრობა ჩვენი ცხოვრების დამახასიათებელი ნიშანია“.¹

თვით პიესის შესახებ „კულტურა ი ჟიზნის“ რეცენზენტი ბორის ვოლგინი წერს: „ა. შერვაშიძემ თავის ქანრად აირჩია გმირული დრამა, რომელიც, აქვე უნდა ითქვას, დიდი ხანია იზიდავს მას. პეროიკა ცოცხლობს მის პიესაში, რომელიც გვიზიდავს კოლიზიის სიმძაფრით, მოქმედების დინამიკით. მაგრამ სიმძაფრე, სირთულე, პერსონაჟთა ურთიერთობის მოულოდნელობა ყოველთვის არ ექვემდებარება მათი ხასიათის გამოვლინებასა და გაღრმავებას. და მაინც, ვიმეორებთ, ყველა ამ ნაკლის მიუხედავად, სცენაზე ცოცხლობს რევოლუციური აღმავლობის ატმოსფერო. კიდევ მეტი: სპექტაკლი საშუალებას გვაძლევს ვივარძნოთ არა მარტო რევოლუციის პირველი დღეების, არამედ დღევანდელი კუბაც“.

¹ გაზ. „სოვეტსკაია კულტურა“, № 131, 1962 წ.

¹ გაზ. „კულტურა ი ჟიზნ“, № 129, 1962 წ.

ამრიგად, თანამედროვეობა, ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება არის ა. შერვაშიძის დრამატურგიის ძირითადი თემა, რომელსაც მწერალი ყოველთვის საბჭოთა შემოქმედლის მოწინავე მსოფლმხედველობის, ხალხის ინტერესების შესაბამისად წყვეტს.

თანამედროვეობის სიმაღლიდან უცქერის ა. შერვაშიძე ჩვენი ხალხის გმირულ წარსულსაც და ამიტომ არის, რომ მისი ისტორიული პიესებიც კი ეხმაურებიან ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებას და ხელს უწყობენ მკითხველისა თუ მაყურებლის აღზრდას რევოლუციურ-პატრიოტული სულისკვეთებით. აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ დრამატურგს აინტერესებს ისტორიული მოვლენები, რომლებშიც ყველაზე მეფიერდ გამოჩნდა ხალხის რევოლუციური შემართება, ან ისტორიული პიროვნებანი, რომელთა საქმიანობაში მთელი ხალხის სულიერი ძალა და ეროვნული ხასიათი გამოიკვეთა. პირველი რიგის პიესებს უპირველეს ყოვლისა განეკუთვნება „მზე“, ხოლო მეორეს — „მხედართმთავარი ბაგრატიონი“.

„მზე“ ასახავს აჭარაში საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის ეპიზოდებს და პირველად დაიდგა 1941 წელს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ოცი წლისთავზე. სტაბიაში „ამირან შერვაშიძის შემოქმედებითი ანგარიში“ ვასილ გოგოლაძე დაწვრილებით განიხილავს ამ პიესას და წერს: „პიესაში კარგად არის გადმოცემული კლასობრივი ბრძოლის სიმწვავე. ბოლშევიკები, რომლებიც გამოხატავდნენ მშრომელი ხალხის ინტერესებს სოციალიზმისათვის ბრძოლაში, აერთიანებენ ყველა ეროვნების ადამიანებს. აჭარაში საბჭოთა წყობილების დასამყარებლად იბრძვიან ქართველები, რუსები, სომხები, ბერძნები... დრამატურგმა კარგად გვიჩვენა როგორ ხდებოდა გლეხის გადასვლა მუშების მხარეზე, გლეხისა, რომელიც კერძომესაკუთრულ ინსტიტუტს ამყდევნებდა და ამის გამო პირველ ხანებში ეჭვით უცქეროდა რევოლუციურ მოძრაობას, თუ ხელს არ

უშლიდა, არც რაიმეთი ეხმარებოდა მას დასასრულ კრიტიკოსი პიესის უთუოდ ღირსებად თვლის იმ ფაქტს, რომ „ამხელი (პიესის ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირია — შ. ქ.) მიხვდა, რომ რევოლუცია არა მარტო შეძლებულ ცხოვრებას შეუქმნიდა მას და მის მეზობლებს, არამედ ბოლოს მოუღებდა ეროვნულ ჩაგვრასაც“¹.

თუ პიესაში „მზე“ აქცენტირებულია ხალხის რევოლუციური ბრძოლა, რომელსაც ბუნებრივად ერწყმის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, „მხედართმთავარ ბაგრატიონში“ დრამატურგს წინა პლანზე გამოაქვს პატრიოტული გრძნობა და გვიჩვენებს რა შეუძლია ხალხს, როგორ გმირული სულისკვეთებით იმსკვალება იგი, როცა სამშობლოს იცავს უცხოელ დამპყრობთა შემოსევიდან.

„მხედართმთავარი ბაგრატიონი“ ა. შერვაშიძემ დაწერა დიდი სამამულო ომის პირველსავე დღეებში და თავისი პეროიკულ-პატრიოტული პათოსით სავსებით შეესაბამებოდა დროის სულისკვეთებას, დროის მოთხოვნას. მაგრამ იდეურ და პუბლიცისტურ სიმახვილესთან ერთად პიესაში დრამატურგი აღწევს პერსონაჟთა საკმაოდ ღრმა ფსიქოლოგიურ დახასიათებას. განსაკუთრებით ოსტატურად ძერწავს დიდი პატრიოტისა და მხედართმთავრის ბაგრატიონის მხატვრულ სახეს. „იმ მდიდარი მასალიდან, — წერდა გაზეთი „საბჭოთა აჭარა“, — რაც ბაგრატიონის გარშემო წლების მანძილზე დაგროვდა, დრამატურგს შეუტრიადა მხოლოდ დამახასიათებელი, მხოლოდ ისეთი, რომელიც ყველაზე უკეთ გადმოგვცემს გამოჩენილი მხედართუფროსის ნიჭს, სამშობლოსადმი, დიდი რუსი ხალხისადმი მის უმწყივლო მისახურს, უსაზღვრო თავდადებასა და ერთგულებას. ამავე დროს დრამატურგი არ იფარგლება ბაგრატიონის მარტო სამ-

1. ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, № 1, 1961 წ.

შედრო მოღვაწეობით, გეიჩვენებს მისი პირადი ცხოვრების უმთავრეს დამახასიათებელ ეპიზოდებსაც. ამით ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ დიდ მხედართუფროსს არ ჰქონდა ხალხის ინტერესებისაგან გამოთიშული პირადი ინტერესები. მისი პირადი ცხოვრება ექვემდებარებოდა და ემორჩილებოდა ხალხის, სამშობლოს ცხოვრებას.¹

საზოგადოებრივისა და პირადულის ორგანული შერწყმა ბაგრატიონს წარმოგვიდგენს ცოცხალ ადამიანად, რომელსაც გამოკვეთილი ხასიათი აქვს, ხოლო პიესის თვითებული ეპიზოდი კიდევ უფრო აღრმავებს პერსონაჟის ხასიათს, ამდიდრებს ფსიქოლოგიურად. ასევე საინტერესოდ და ფართოდ იღვურობს ფსიქოლოგიური დიპაზონით ძველწავს დრამატურგი ბევრი სხვა მოქმედი პირის ხასიათს, უპირველეს ყოვლისა კი ნაპოლეონისა და საცერონსკაიას მხატვრულ სახეებს. სწორედ ამიტომ „მხედართმთავარი ბაგრატიონი“, ჩვენი აზრით, ა. შერვაშიძის ყველაზე სრულყოფილი დრამატული ნაწარმოებია და მწერლის ყველაზე თვალსაჩინო შემოქმედებით გამარჯვებულ მიგვაჩნია.

ა. შერვაშიძის ეს პიესა დადგა ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის დრამატულმა თეატრმა. რეჟისორმა შ. ინასარიძემ სწორად გახსნა დრამატურგის ჩანაფიქრი და შექმნა უაღრესად პატრიოტული სპექტაკლი, რომელიც მაყურებელმა და პრესამ ძლიერ გულთბილად მიიღო. ბრწყინვალე აქტიორული შესრულებით თავი ისახელეს საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო არტისტებმა ი. კობალაძემ (ბაგრატიონი), მ. ხინიკაძემ (ნაპოლეონი) და ნ. თეთრაძემ (საყვარონსკაია), საქართველოს სს რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტებმა გ. ახვლედიანმა (სუვოროვი), ზ. ლლონტაძემ (კუტუზოვი) და სხვ.

ა. შერვაშიძის ეკუთვნის აგრეთვე ისტორიული პიესა „ოქროს სამაჯურები“.

1 გაზ. საბჭოთა აჭარა, № 265, 1952 წ.

რომელიც ასახავს თურქ დამპყრობთა უღლისაგან აჭარის განთავისუფლებისათვის ბრძოლას გასული საუკუნის 70-80-იან წლებში, დიდი სამამულო ომის სახელოვანი გმირის ისრაფელ ჯინჭარაძისადმი მიძღვნილი პერიოდიული დრამა „სიმღერა შევარდენზე“, კომედია „პროვინციალი“, დრამები „სიმღერა დედაზე“ და „მღერის ჰავანა“.

ნაყოფიერად მუშაობს ამირან შერვაშიძე პროზაშიც. იგი წერს დიდ და პატარა მოთხრობებს, ნოველებს, რომელთაგან პირველ რიგში აღსანიშნავია „მოჩენილი“ და „ერთგულება“. სულ მალე გამოცემლობა „სოვეტსკაია როსია“ მოსკოვში ცალკე წიგნად გამოსცემს ა. შერვაშიძის სქელტანიან რომანს „მხედართმთავარი ბაგრატიონი“. ამ თხზულებაზე მუშაობისას მწერალი გაეცნო ახალგაზოგულენოვლ თუ წინათ ხელმოწვევდომელ ისტორიულ დოკუმენტებს, იყო სოფელ ბოროდინოში და პირადად დაათვალიერა ის ადგილები, სადაც მიმდინარეობდა ისტორიაში ფართოდ ცნობილი ბოროდინოს ბრძოლა, ინახულა მუზეუმები და ა. შ. ყველაფერი ეს იმის საწინდარია, რომ ა. შერვაშიძის პირველი რომანი მკითხველთა მოწონებას დაიმსახურებს.


ლიტერატურული მოღვაწეობის პარალელურად ა. შერვაშიძე თვალსაჩინო საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევა როგორც ჟურნალისტი და საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორი. მისი პუბლიცისტურ-ლიტერატურული სტატიები გამოქვეყნებულია არა მარტო ქართულ, არამედ რუსულ, უკრაინულ, აზერბაიჯანულ, სომხურ, ლიტვურ და სხვა ჟურნალ-გაზეთებში. ყოველთვის შეუწელებელი ინტერესით ისმენენ ა. შერვაშიძის ლექციებს აჭარის წარსულიდან, რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობის, ქართული კულტურის განვითარებისა და მიღწევების შესახებ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან აჭარის კურორტებზე დასასვენებლად ჩამოსული მშრომელები, აგრეთვე ტურისტები. საზოგადოება „ცოდნის“ აჭარის განყოფილებას მოსდის არაერთი

გამოხმაურება, რომლებშიც მშრომელ-
ბი მაღალ შეფასებას აძლევენ ა. შერ-
ვაშიძის ლექციებს და ხელახლა იწვევენ
მას. მწერალი-ლექტორი ლექციებს კი-
თხულობს საქართველოსა და რუსეთის,
უკრაინისა და სხვა მოძმე რესპუბლიკათა
ქალაქებშიც და ყველგან წარმატებით.

დრამატურგიაში ხანგრძლივი და ნა-
ყოფიერი მუშაობისათვის აჭარის ასსრ
უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანე-
ბულებით ამირან შერვაშიძეს მიენიჭა
აჭარის ასსრ ხელოვნების დამსახურებუ-
ლი მოღვაწის საპატიო წოდება. იგი და-
ჯილდოებულია საქართველოს სსრ უმა-
ღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და

აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდი-
უმის რამდენიმე საპატიო სიგელით.

მიმდინარე წლის 15 ნოემბერს ჩვენი
საზოგადოებრიობა აღნიშნავს დრამა-
ტურგ ამირან შერვაშიძის დაბადების ორ-
მოცდათი და ლიტერატურულ-საზოგა-
დოებრივი მოღვაწეობის ოცდაათი
წლისთავს, რაც ერთხელ კიდევ ადას-
ტურებს, თუ რა მშობლიური მზრუნვე-
ლობით არიან გარემოსილი ჩვენი ქვეყნის
ლიტერატურისა და ხელოვნების მუშა-
კები. ხალხი გულწრფელად პატივს სცემს
ყველას, ვისაც კი დიდი თუ მცირე წვლი-
ლი შეაქვს მის სულიერ საგანძურში და
თავისი საქმიანობით ხელს უწყობს კო-
მუნიზმის გამარჯვებას.





საქართველო
საზოგადოებრივი

საზოგადოებრივი

ლალ შარშიძე

მზნეპაი კეპოლუნიონი

სერგო კავთარაძის ღაბაღის 80 წლისთავის გამო

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწეს, ცნობილ პარტიულ პუბლიცისტსა და საბჭოთა დიპლომატს სერგო ივანეს-ძე ქავთარაძეს დაბადების ოთხმოცი წელი შეუსრულდა.

ს. ქავთარაძის სახელი მკიდრად არის დაკავშირებული აჭარასთან; იგი იყო თავმჯდომარე ბათუმის პირველი რევოლუციური კომიტეტისა (რევკომი), რომელმაც გადამწყვეტი როლი შეასრულა აჭარის ტერიტორიიდან თურქი ოკუპანტების განდევნისა და დედა-სამშობლო საქართველოსთან აჭარის სამუდამოდ დაკავშირების საქმეში.

1921 წლის 25 თებერვალს ქართველმა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დაამხო მენშევიკების ბატონობა. დამარცხებულმა მენშევიკურმა მთავრობამ თავი ბათუმს შეაფარა და თურქეთთან მოლაპარაკება დაიწყო, რათა თურქეთსა და რუსეთს შორის უთანხმოება ჩამოეგდო. შეთანხმების შედეგად ბათუმის ოლქი გადაეცა თურქეთს. 1921 წლის 11 მარტს ქ. ბათუმი თურქეთის ჯარმა დაიკავა.

ამ გამყიდველურმა ნაბიჯმა მენშევიკების გაოტრებული მთავრობა ვერ იხსნა. მენშევიკების ჯარი, იქ მომუშავე ბოლშევიკური ორგანიზაციების წყალობით, დღითიდღე იშლებოდა. ბათუმს

უახლოვდებოდნენ აჯანყებულთა რაზმები და წითელი არმიის ნაწილები.

როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ 1920 წლის 7 მაისს მოსკოვში ხელი მოაწერეს საქართველოსა და რსფსრ რესპუბლიკის სამშვიდობო ხელშეკრულებას. ეს ხელშეკრულება, სხვა ვალდებულებებთან ერთად, მენშევიკური მთავრობის მიერ საქართველოს კომუნისტური პარტიის ლეგაციას ითვალისწინებდა, მაგრამ მენშევიკებმა არ შეასრულეს დაპირება და ციხეები პოლიტიკური პატიმრებით გაავსეს. კომუნისტებს განსაკუთრებით მასობრივად აპატიმრებდნენ 1921 წლის იანვარ-თებერვალში. ციხე არ ასცდა ს. ქავთარაძესაც. ჯერ იგი ქუთაისის საპატიმროში იჯდა, ხოლო შემდეგ სხვებთან ერთად ბათუმის ციხეში გადმოიყვანეს.

ბათუმის ციხეში ს. ქავთარაძის ყოფნისას მოხდა ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი.

...ქალაქის ცენტრალური მოედნის (ახლანდელი ლენინის მოედანი) სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეზე მთავრდებოდა რკინიგზის შტო, რომელიც სატვირთო სადგურს პორტთან აკავშირებდა. მარტის დამდეგს აქ ორთქლმავალმა სამგზავრო ვაგონების მოზრდილი შემადგენლობა ჩამოაყენა. ერთი ვაგონ-სალონი ნიადაგ-გამოცლილი მენშევიკური მთავრობის მეთაურს ნ. ყორდანის ეკავა. ხალხის

უმისზოდ დაღვრილი სისხლისათვის პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით, ნ. ჟორდანიამ ქუთაისის ციხიდან ბათუმში გადმოყვანილი პატიმარი კომუნისტების რიგებში დაუწყო ძებნა ისეთ პირს, რომელსაც უკანასკნელ აღსარებას წაუკითხავდა. ამ მიზნით ვაგონ-სალონიში ს. ქავთარაძე მიიყვანეს. ს. ქავთარაძეს მან განუცხადა, რომ ძლიერ აწუხებს ქართველთა ბედი, რომ უმისზოდ იღვრება სისხლი, რაშიც მას დანაშაული არ მიუძღვის, და საჭიროა დაუყოვნებლივ შეწყდეს საომარი მოქმედება, ხელისუფლება ჩაიბაროს მან, ს. ქავთარაძემ, და ბათუმი თურქი ასკერებისაგან გაწმინდოს. ნ. ჟორდანიამ ისეთი პოზა დაიჭირა, თითქოს თურქეთის ჯარი აქ მისი თანხმობით არ შემოსულიყო. ისიც აღსანიშნავია, რომ ნ. ჟორდანიამ არც კი ახსენა საქართველოს რევკომისა და მენშევიკურ მთავრობის წარმომადგენელთა 16 მარტის მოლაპარაკება, რომელსაც მენშევიკებმა დროის მოგების მიზნით ფარისევლური მიზნები დაუთხა.

ს. ქავთარაძემ ნ. ჟორდანის საკადრისი პასუხი გასცა და განუცხადა, რომ მენშევიკური მთავრობა და პირადად ნ. ჟორდანია პასუხისმგებელი არიან ისტორიის წინაშე მთელი იმ დანაშაულისათვის, რაც მათ ჩაიდინეს, მთელი იმ უბედურებისათვის, რომელიც ქართველ ხალხს მიყენეს. რაც შეეხება საქართველოს მომავალ ბედს, უთხრა მან ნ. ჟორდანისა, შეუძლია ამაზე არ შეწუხდეს, ქართველმა ხალხმა დიდი ხანია გადაწყვიტა შექმნას მისი ინტერესების გამომხატველი საბჭოთა ხელისუფლება და ააშენოს სოციალიზმი.

ნ. ჟორდანისა და ს. ქავთარაძის საუბარი გვიან ღამემდე გაგრძელდა. ს. ქავთარაძე ბალრავით ისევ ციხეში მიიყვანეს.

1921 წლის 17 მარტს ბათუმის ციხის კარები გაიღო და იქიდან ათასზე მეტი პოლიტიკური პატიმარი გამოვიდა. ქალქში მათ ნამდვილი ქაოსი დახვდათ. თურქეთის ჯარის ძირითადი ნაწილი უკვე დაპატრონებოდა ბათუმს, შენობებზე გაკრული იყო თურქული განცხადებები და მოწოდებები, რომლებიც აუწყებდნენ

ხალხს, რომ ძალაუფლება თურქების ხელშია. ქუჩებში თამამად დაბაიჯდნენ თურქი ასკერები, რომელთა რიცხვი თანდათან იზრდებოდა. აუტანელი იყო ქალაქის სასურსათო, საყოფაცხოვრებო და ჰიგიენური პირობები.

თურქეთის ჯარის ნაწილები აჭარის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ 5 მარტს გამოჩნდნენ. საოკუპაციო ჯარის ფაქტიური მეთაური ქიაზიმ-ბეი თავისი მთავრობის ინსტრუქციების შესაბამისად ჩამოსვლისთანავე ცდილობდა მომზადებული შეხვედროდა ისეთ სიტუაციას, როდესაც სამხედრო დიქტატურის გამოცხადება ფაქტი გახდებოდა. ამიტომ იყო, რომ პირველ ხანებში 500-ასკერიანი ჯარი ხუთი დღის განმავლობაში 3.500 კაცამდე გაზარდა. ისიც აღსანიშნავია, რომ თურქებმა ხელთ იგდეს მეტად ხელსაყრელი პოზიციები; ქალაქის ირგვლივ განლაგებული სამხედრო ყაზარმები და ფორტები მათ განკარგულებაში აღმოჩნდა.

ბათუმში შემოსვლისთანავე ქიაზიმ-ბეი განუსაზღვრელი უფლებებით სარგებლობდა. მას მენშევიკებმა ნება დართეს ესარგებლა საკუთარი სამხედრო შტაბის ოთახითაც კი.

ციხიდან განთავისუფლებული ქართველი კომუნისტების წინაშე ფრიალ სერიოზული ამოცანა იდგა: ადგილობრივი ხელისუფლების შექმნა, ქალაქიდან თურქების განდევნა და წესრიგის დამყარება.

კომუნისტებმა დაიკავეს ყოფილი გენერალ-გუბერნატორის შენობა (ამჟამად სამშობიარო სახლი) და გაფართოებულ პარტიულ კრებაზე შექმნეს ბათუმისა და ბათუმის ოლქის დროებითი სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი, რომელშიც შევიდნენ ს. ქავთარაძე, მ. ტოროშელიძე, დ. მახარაძე, რევკომის თავმჯდომარე დ. ძეგელი, ნაიცად ბოლშევიკი ს. ქავთარაძე აირჩიეს.

ბათუმის რევკომმა ს. ქავთარაძის ხელმძღვანელობით სასწრაფოდ შეადგინა ბოლშევიკური ჯარი მენშევიკური არმიის იმ ნაწილებისაგან, რომლებიც თავიდანვე კომუნისტებს თანაუგრძნობდნენ და ახლა მზად იყვნენ მონაწილეობა მიეღოთ

თურქებისაგან ბათუმის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, აგრეთვე ბათუმელი მუშებისა და იმ კომუნისტებისაგან, რომლებიც პატიმრობიდან ეს-ეს იყო გაათავისუფლეს.

მაგრამ რევკომს არ ჰყავდა გამოცდილი სამხედრო ხელმძღვანელი. ამ დროს ს. ქავთარაძეს აცნობეს, რომ ქალაქში იმყოფებოდა მენშევიკური ჯარის ცნობილი გენერალი გ. მაზნიაშვილი, რომელსაც რევკომში მიიყვანეს.

ს. ქავთარაძემ დამაჯერებელი საბუთებით დაუმტკიცა გენერალს მენშევიკთა გამცემლური პოლიტიკის გაკოტრება და ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესების დაცვით ნაკარნახევ ღონისძიებათა განხორციელების აუცილებლობა, რომელშიც გ. მაზნიაშვილსაც შეეძლო თავისი წვლილი შეეტანა.

მცირე ყოყმანის შემდეგ მაზნიაშვილი დათანხმდა ეხელმძღვანელა სამხედრო ოპერაციებისათვის, თუ თვითონ და ჰისი ოჯახის წევრები, აგრეთვე ოფიცრობა, რომელსაც ის გამოიყენებდა, არ დაისჯებოდნენ მენშევიკურ ჯარში სამსახურის ბრალდებით.

ბათუმის რევკომის სამხედრო ღონისძიებებმა, რომელთა განხორციელებას აგრეთვე ხელმძღვანელობდა რევკომის წევრი სამხედრო კომისარი თ. ჟღენტი, სასურველი შედეგები გამოიღო. ორი დღის სასტიკი ბრძოლების შემდეგ თურქი ასკერების ძირითადი ნაწილი დახოცული აღმოჩნდა და ქიაზიმ-ბეი იძულებული გახდა გადარჩენილი ჯარით ბათუმიდან გაქცეულიყო.

ამავე დღეს, საღამოს აჭარისწყლის მხრიდან ბათუმში ჩამოვიდა წითელი არმიის 218-ე ცხენოსანი დივიზია დ. ჟღენტის მეთაურობით (მეორე დღეს წითელი არმიის ქვეითი ნაწილით დატვირთული ეშელონი ბარცხანის ნიშანსვეტთან გაჩერდა და ცოტა ხნის შემდეგ უკან გაბრუნდა). ამ დროისათვის ქალაქი უკვე განთავისუფლებული იყო თურქი ოკუპანტებისაგან და ბათუმის რევკომს სრული ძალაუფლება ჰქონდა მოპოვებული.

19 მარტს ს. ქავთარაძემ რევკომის სა-

ხელით მიმართვა შეადგინა ბათუმის რევკომის მშრომელებისადმი: „ქართველ, სომეხი, თათარი, რუსი, ბერძენი, ქრისტიანი, მუსულმანი, — ნათქვამი იყო მიმართვაში, — ყველა ერთნაირად ჰპოვებს მშრომელთა უფლებების დაცვას მშრომელთა ახალ სამეფოში“. მიმართვა აჭარის მოსახლეობას მოუწოდებდა მხარი დაეჭირათ საბჭოთა ხელისუფლებისათვის, დაეცვათ სრული სიმშვიდე და სიწყინარე. რევკომი პირობას იძლეოდა, რომ ყველა ზომას იხმარდა მოქალაქეთა მშვიდობიანი ცხოვრების, ქონებისა და პიროვნების ხელშეუხებლობის დასაცავად.

ბათუმში 17 და 18 მარტს შექმნილი პოლიტიკური ვითარება ჯერ კიდევ უცნობი იყო საქართველოს დედაქალაქისათვის. ეს იმიტომ, რომ ფოსტა-ტელეგრაფის შენობა თურქი ოკუპანტებს ეკავათ და აბარატურის შენარჩუნების მიზნით ისინი იქიდან სამხედრო ოპერაციების გარეშე უნდა განედევნათ. როგორც ს. ქავთარაძე იგონებს, ასეც მოხდა. ფოსტის შენობაში მყოფ დამშეულ ასკერებს ფანჯრიდან რამდენიმე მთელი პური გადაუდგეს და წინადადება მისცეს ნებაყოფლობით დაეტოვებინათ შენობა. ამ ხერხმა გასჭრა და ფოსტა-ტელეგრაფიც რევკომის განკარგულებაში გადავიდა.

ამიერიდან საქართველოს რევკომი და მისი თავმჯდომარე ფ. მაზნარაძე სრულ ინფორმაციას იღებდნენ. საქართველოს რევკომმა საესეებით მოიწონა ბათუმის დროებითი სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის საქმიანობა და შემდგომი მუშაობისათვის სახელმძღვანელო მითითებები მისცა.

20 მარტს დროებითმა რევოლუციურმა კომიტეტმა თავი გაუქმებულად გამოაცხადა. ამავე დღეს შეიქმნა ბათუმის საოლქო რევოლუციური კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: ს. ქავთარაძე, მ. ტოროშელიძე, ს. გუბელი, კ. საჯიაი, თ. ჟღენტი, ი. პეცოვი, კ. თავებრიძე; გარდა ამისა, ორი ადგილი რევკომში დაეთმო მეკლისის პროგრესულ წარმომადგენლებს მ. აბაშიძეს და ნ. ნიყარაძეს. თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ს. ქავთარაძე.

1921 წლის 20 მარტს ბათუმის საოლქო რევკომმა შექმნა სხვადასხვა განყოფილებები: შინაგანი მმართველობის განყოფილება, სახალხო მეურნეობის საბჭო, საფინანსო, სახალხო განათლების, სამხედრო და სასამართლო განყოფილებები.

21 მარტს ბათუმის საოლქო რევკომმა შექმნა მუშურ-გლეხური მილიცია და რევოლუციური ტრიბუნალი. 25 მარტს ჩამოყალიბდა სავანგებო კომისია და სავანგებო დანიშნულების რაზმები. ამ ორგანოებმა ენერგიული მუშაობა გააჩაღეს რევოლუციური წესრიგის დასაცავად და საბჭოთა ხელისუფლების განსამტკიცებლად.

ბათუმის მიდამოებში წარმოებული ბრძოლების დროს თურქმა ოკუპანტებმა, დაჭრილებს გარდა, ათასამდე ასკერი დაკარგეს, რევკომის ჯარის დანაკლისმა კი მოკლულთა სახით 83 კაცი შეადგინა. ს. ქავთარაძის ინიციატივით, რევკომმა დაადგინა დაღუპულ პატრიოტ მეზობლთა დაკრძალვა სათანადო პატივისცემით მოეწყო. 23 მარტს დღის 1 საათზე ქალაქის მშრომელთა ჯგუფებმა წითელი დროშებით და სასულე ორკესტრის თანხლებით გამართეს დიდი დემონსტრაცია, რომელიც 43 წითელი ქსოვილდაკრულ კუბოს მიაცილებდა (დანარჩენი მოკლულები ჭირისუფლებმა გაასვენეს). ისინი დაკრძალეს ქალაქის ცენტრალურ მოედანზე, სადაც ს. ქავთარაძემ რევკომის სახელით წარმოთქმულ სიტყვაში დეტალურად გააშუქა საქართველოს ტერიტორიიდან მენშევიკთა და თურქთა ბანდების გაძევების პოლიტიკური მნიშვნელობა. სიტყვის დასასრულ მან თავი დახარა იმ პატრიოტ-მეომართა წინაშე, რომლებიც გმირთა სიკვდილით დაეცნენ სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამგლოვიარო მიტინგზე სიტყვები სხვებმაც წარმოთქვეს.

ს. ქავთარაძის სახელთან არის დაკავშირებული ბათუმის პირველი ლეგალური ბოლშევიკური გაზეთების გამოცემა. 19 მარტს გამოვიდა გაზეთი „იზვესტია“, ხოლო მეორე დღეს — გაზეთი „უწყე-

ბები“. ამ გაზეთებმა, როგორც რევკომისა და მე-11 არმიის პოლიტგანყოფილების ორგანოებმა, დიდი როლი შეასრულეს საბჭოთა ხელისუფლების პირველი დღეების რევოლუციური ღონისძიებების განხორციელებაში.

ბათუმის საოლქო რევკომის თანმიმდევრული ღონისძიებები მოსახლეობაში სულ უფრო პოპულარული ხდებოდა. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავდა, რომ აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცება უბრძოლველად და წინააღმდეგობათა გარეშე მიმდინარეობდა.

ჯერ ერთი, აჭარის მშრომელებს წლები მანძილზე ჩაგრავდნენ იმპერიალისტი ოკუპანტები. დამპყრობლები უხვ დაპირებებს იძლეოდნენ, მაგრამ საქმით ხალხის საკეთილდღეოდ არაფერს აკეთებდნენ. პირიქით, უსირცხვილად ძარცვავდნენ მას. ანტიხალხურ პოლიტიკას აწარმოებდნენ მენშევიკებიც, რომლებმაც თავიანთი ბატონობის დროს აჭარასა და საქართველოს სხვა კუთხეებს შორის საშინელი ორმო გათხარეს. მენშევიკების სავანგებო კომისარია ბ. ჩხიკვაშვილი ისეთ საშინელ სისასტიკესა და ამინისტრაციულ თვითნებობას იჩენდა, რომ ყორდანის მთავრობა იძულებული გახდა უკანე გაეწვია იგი. მაგრამ არანაკლები სატრაპები აღმოჩნდნენ მისი შემცველი ყოფილი სამხედრო მინისტრი გიორგაძე და ყოფილი პოლიციის ბოქაული მიქაბერიძე. ამას ისიც დაერთო, რომ დამარცხებული თურქები ხალხში მომწავლელ აგიტაციას ეწეოდნენ და არც ოქროთი მოსყიდვას თაკილობდნენ.

გარდა ამისა, არსებობდა კიდევ ერთი ხელისშემშლელი ფაქტორი. ეს იყო მეჯლისი, რომელიც რევკომის გვერდით საქმიანობდა. იგი თავისი შემადგენლობით ფეოდალური იყო და, ცხადია, მშრომელთა ინტერესებს არ გამოხატავდა.

საჭირო იყო მშრომელთა შორის მუშაობის ახალი ფორმების ძიება. ყველაზე მისაღები აღმოჩნდა ახალი ხელისუფლების განმტკიცების ის ფორმა, რომელიც რევოლუციის პირველ წლებში საბ-

ჭოთა რუსეთის მშრომელებმა გამოიყენეს. საქმე ეხებოდა უღარიბეს და ღარიბ გლეხთა ფართო ფენების ახალი ცხოვრების ფერხულში ჩაბმას.

აჭარაში ღარიბ გლეხთა მოძრაობა, რომელსაც ღარიბთა კომიტეტები ხელმძღვანელობდნენ, თანდათანობით აფართოვებდა გავლენის სფეროებს. ეს მოძრაობა იმით დამთავრდა, რომ 1921 წლის 7 ნოემბერს მოეწყო ღარიბ გლეხთა პირველი ყრილობა, რომელმაც ბოლო მოუღო აჭარაში ბეგებისა და ადების გავლენას, მოსპო ფეოდალური ურთიერთობის ნაშთები და მიწები გლეხებს გადასცა.

ყრილობამ აირჩია ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და დეპუტა გუგუზა ვ. ი. ლენინს.

აჭარაში საბოლოოდ დამკვიდრდა საბჭოთა ხელისუფლება.

ბათუმის საოლქო რევკომის ყველა აქ არასრულად ჩამოთვლილ ღონისძიებებს ბოლშევიკური პრინციპულობით ხელმძღვანელობდა ს. ქავთარაძე, ხოლო თბილისში მისი გადასვლის შემდეგ ს. გუბელი (მეძმარიაშვილი) და ა. ღამბარაძე.

ს. ქავთარაძე ბათუმის რევკომის თავმჯდომარეობიდან დააწინაურეს ჯერ რეს-

პუბლიკის იუსტიციის სახალხო კომისარად, ხოლო შემდეგ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარედ. შემდეგ იგი მოსკოვში გადავიდა, სადაც იმყოფებოდა საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელ პოსტებზე; ხანგრძლივი დროის მანძილზე ს. ქავთარაძე ასრულებდა საბჭოთა დიპლომატიის საპატიო მოვალეობას. საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომისა და ომისშემდგომ წლებში იგი იყო ბევრი საერთაშორისო კონფერენციის მონაწილე. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მონაწილეობა იალტი-სა და პოტსდამის ისტორიულ კონფერენციებში, სადაც საბჭოთა დელეგაცია წარმოდგენილი იყო ი. ბ. სტალინის მეთაურობით.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე თვალსაჩინო დამსახურებისათვის ს. ქავთარაძეს მიღებული აქვს მთავრობის მაღალი ჯილდოების მკერდს ამშვენებს აგრეთვე რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის პირველი ზარისხის ოქროს ვარსკვლავის ორდენი.

მიუხედავად ხანდაზმულობისა, ს. ქავთარაძე დღესაც განაგრძობს ნაყოფიერ საზოგადოებრივ საქმიანობას.



ალექსანდრე მსხალაძე ძეოების დამს-სიმღერები

საოჯახო წეს-ჩვეულებებთან დაკავშირებული ხალხური ლექსები საწესჩვეულებო პოეზიის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილია.

ზოგადქართული საოჯახო საწესჩვეულებო პოეზიის ცალკეული ციკლები მეტ-ნაკლები სიუხვით ხასიათდებიან. ზოგიერთის შესახებ ჩვენ მხოლოდ რამდენიმე მაღალმხატვრული ნიმუში შემოგვრჩა. უკანასკნელთა რიცხვს ეკუთვნის ძეობა, რომელიც საქართველოში შვილის — ვაჟისა თუ ქალის შეძენისას იმართებოდა, როგორც გარკვეული ხასიათის საოჯახო დღესასწაული.

ქართულ მხატვრულ და მეცნიერულ ლიტერატურაში ძეობის შესახებ დაცულია სათანადო ცნობები. დიდი ქართველი პოეტი შოთა რუსთველი „ვეფხისტყაოსანში“ ნესტან-დარეჯანის დაბადებასთან დაკავშირებით გამართულ საძეობო წვეულებას „საშობელს“ უწოდებს. საყურად-

ღებო ცნობები ძეობაზე მოიპოვება XVIII საუკუნის მეფე პოეტის თეიმურაზ მეორის პოემაში „სარკე თქმულთა ანუ დღისა და ღამის გაბაასება“, აგრეთვე იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ და ალ. ჯამბაკურ-ობელიანის წერილში „ივერიელთა გლობა, სიმღერა და ლილინი“. თავის გამოკვლევებში ძეობას ჯეროვან ყურადღებას უთმობენ პროფესორები მ. ჩიქოვანი, ქ. სიხარულიძე, გრ. ჩხიკვაძე, შ. ასლანიშვილი, აგრეთვე ცნობილი მკვლევარი პროფ. ვ. კოტეტიშვილი.

როგორც ირკვევა, ქართული საძეობო სიმღერები საფერხულონი იყვნენ. ამის თაობაზე პირველი ცნობები თეიმურაზ მეორემ დაგვიტოვა. ამავე საკითხს მუსიკალური თვალსაზრისით პროფ. შ. ასლანიშვილიც ეხება და პოპულარულ „მზე შინას“ საფერხულოთა ციკლში აქცევს.

ქართული ფერხულების უმრავ-

ლესობის მუსიკალური თავისებურება სამწილადი ზომისა. სამღერო ტექსტი მთქმელის ანუ კორიფესა და გუნდის მონაცვლეობას ემყარება: კორიფეს ყოველ ახალ პოეტურ ფრაზას გუნდი ერთი და იგივე მისამღერით ანუ რეფერენტით უპასუხებს, ან კორიფეს ტექსტს იმეორებს. ზოგადქართული საძეობო სიმღერა „მზე შინა“ სწორედ ზემოხსენებულ პრინციპზეა აგებული.

ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებით აჭარაში ბევრი უძველესი ქართული რიტუალი არსებობს. ამჟამად ჩვენ შევხვებით მხოლოდ ძეობის წესჩვეულებებსა და მასთან დაკავშირებულ ხალხურ სიტყვიერებას.

აჭარელი მშობლები ვაჟის გაჩენისას ორმაგ სიხარულს განიცდიდნენ. ეს უმთავრესად ეკონომიური მიზეზით იყო გამოწვეული. ვაჟი „თვალის სინათლედ“, „მუხლის ძალად“ და „სახლის ღირვად“ ანუ „დედაბოძად“ ითვლებოდა და მისი დაბადების აღსანიშნავად სახლის დედაბოძე ცხენის ნალს მიაჭედებდნენ. როგორც გადმოგვცემენ, უწინ გოგოს დაბადებას ვაით და ვივით ხვდებოდნენ. ეს იმიტომ, რომ ქალი „სხვისი ნაცარი“ იყო. ეს მომენტი საქართველოს დანარჩენ კუთხეებშიც შეინიშნებოდა, რამაც ასახვა პოვა ძეობის ლექსის ერთ-ერთ ვარიანტშიც:

„ჩვენ ვაჟი დავბადებია,
მზევ, შინ შემოდო.“

დუმანსა ქალი ჰგონია,
მზევ, შინ შემოდო.“

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ აჭარაში ცოლის დატოვების ან მეორე ცოლის მოყვანის ერთ-ერთი მიზეზი, საერთოდ უმეილობასთან ერთად, ხშირად ვაჟის უყოლობაც იყო.

მთიანი აჭარის ეკონომიურმა პირობებმა აქაური ქალი ორსულობის დროსაც მძიმე დღეში ჩააყენა. ბარის აჭარაში შევროვებული მასალის მიხედვით იოკვევა, რომ მოლოგინებამდე 15-20 დღით ადრე აქ ქალს მაიმე საოჯახო საქმისაგან ათავისუფლებდნენ. სულ სხვა ვითარება იყო მთაში: „ხშირად ყოფილა შემთხვევები, რომ ტყეში ან ჭალაში (სათიბი) უმშობიარებია ქალს და იქვე ქვით მოუჭრია ბავშვისათვის ჭიპლარი (ჭიპი), ბავშვი ჩერებში შეუხვევია და შინ დაბრუნებულს თავისთვის მანამ არ მიუხედავს, სანამ საქმე არ მოუთავებია“ (აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ფონდი, № 114). ხულოს რაიონის სოფ. ხიხაძის მცხოვრები — 76 წლის ქ. მ. გაბაიძე გადმოგვცემს: „ბევრი არის, რომ საღამომდე ყანას ფხეკს (თოხნის), საღამოს სახლში მოვა და დალოგინდება“.

ჩვეულებრივ, როცა მშობიარეს ტივილები დაეწყებოდა, მიუყვანდნენ „ბავშვის ამყვანს“, რომელსაც ქვემო აჭარაში „ბებუას“ ან „ბებია ქალს“ ეძახიან, ხოლო ზემო აჭარაში „ეებს“.

აჭარაში არსებული ჩვეულების მიხედვით, ბავშვის დაბადების მომენტში, რა დროც არ უნდა ყოფილიყო, ოჯახს უნდა გასცლოდნენ მამაკაცები. ამ მდგომარეობას თავის პოემაში მამის მიმართ ხაზს უსვამს თეიმურაზ მეორეც.

„გამოვა კაცი, ცოლისთვის
წუხს, დაჯდეს სხვასა სახლსა-და,
დრო მოვა, ღმერთი შვილს მისცემს
ქალს-ვაჟსა ანუ ქალსა-და“.

საინტერესოა ერთი ჩვეულებაც, რომლის პარალელს კვლავ თეიმურაზ მეორესთან ვპოულობთ: აჭარაში, დოც. ჯ. ნოღაიძის მიერ ჩაწერილი მასალის მიხედვით, მშობიარის ქმარი ცერსა და სალოც თითებს შუა წყალს დაიგუბებს და მელოგინეს შეასმევს. ზოგჯერ ქმარი მშობიარის ტახტის ქვეშ ჩუმად შეძვრება და თოფს გაისვრის. ამის მსგავს მომენტს თეიმურაზ მეორე ლექსად ასე გადმოგვცემს:

„შევიდეს სახლში, მშვილდითა,
ოთხ კუთხესა ჰკრას ისარი,
პერანგის უკან კალთითა
ცოლის დამლევს წყლის არი“.

შვილის შეძენისთანავე მამასთან აფრენდნენ მახარობელს, რომელსაც ფულით ან რაიმე ნივთით დაასაჩუქრებდნენ.

ვაჟის შეძენისას ოჯახში ფლავს, ხოლო ქალის შეძენისას — ფაფას მოამზადებდნენ. ზემო აჭარაში, როცა ქალი დალოგინდებოდა, გამზადებული საჭმელი მეზობლებს მოჰქონდათ. ყველგან წე-

სად იყო თოფის გასროლა, მაგრამ უფრო მაშინ, როცა შეეძინებოდათ.

ახალშობილს ძველმანებში — მამის ხალათში ან დედის კაბაში შეახვევდნენ და ჩააწვენდნენ უბრალო ხისაგან ან ხის ქერქისაგან დამზადებულ ხოჩიში, სადაც ბავშვი სამ დღეს იმყოფებოდა. მშობიარის საწოლს ირგვლივ თოქს შემოავლებდნენ ან ბადეს გადაადარებდნენ, შეუწყობდნენ საცერს, წალდსა და საჩეჩელს. მთქმელთა აზრით, ყველაფერი ეს საჭიროა იმიტომ, რომ მელოგინეს „ალი არ დაეცეს“. მაგნე სულეზისაგან დასაცავად მშობიარეს შეაბამდნენ აგრეთვე „ალიყურს“; ბადეს, წალდს, საცერსა და საჩეჩელს მშვიდედ დღეზე აალაგებდნენ, ხოლო „ალიყურს“ ქალი მხოლოდ მეორმოცე დღეს შეიხსნიდა.

ისე, როგორც მთელ საქართველოში, აჭარაშიც ძველითგანვე არსებობდა ძეობის ჩვეულება. შეკრებილი მასალის მიხედვით ამ წესს თანაბრად იცნობდნენ და ასრულებდნენ როგორც ბარის, ისე მთის აჭარაში. მოხუცი მთქმელების გადმოცემით, ძეობის არსებობა დავადასტურეთ ხულოს (ხიხაძერი, ღორჯომი), ქედის (მერისი, ოქტომბერი, ბზუბზუ), ბათუმის (მაჭახელი, ჯოჭო, კირნათი, მირვეთი) და ქობულეთის (ჭახათი) რაიონებში. ჩვეულებასთან ერთად აჭარაში თვით ტერმინიც შემონახულა, ოღონდ ოდნავ სა-

ხეშეცვლილი ფორმით: ყველგან ძიობა იხმარება, რაც ე-ს დავიწროების შედეგია. იგივე ფონეტიკური პროცესი შეიმჩნევა სხვა აჭარულ გამოთქმებშიც: ნეფიობა (ნეფეობა), სიძიობა (სიძეობა), დლიობა (დადეობა) და მისთ.

ძეობას აჭარაშიც ორივე სქესის ბავშვის შეძენისას მართავდნენ, მაგრამ მთქმელთა აღიარებით იგი უმეტესად ვაჟის შეძენისას იმართებოდა. განსხვავებულია მთქმელთა აზრი ძეობის თარიღის შესახებ: ზოგის მტკიცებით, ძეობა ბავშვის შეძენიდან მესამე დღეს გაიმართებოდა, ზოგი კი მეშვიდე დღესაც ასახელებს. ფრიად საყურადღებოა ბათუმის რაიონის სოფ. ქვედა ჩხუტუნეთის მკვიდრის ემინე აბდულის ასულ კახიძის მიერ მოწოდებული ცნობა: „უმეტესად ძიობა ტარდება აკვანში პირველი დაწვევის დროს. მანამდე ახალდაბადებული გახვეულია ხოჩიჩში. ეს ხოჩიჩი ბალიშივითაა და ბავშვი იმაზეა დაწვენილი. შეკრულია ძველ ურუბაში (ტანისამოსში) — დედის ძველ კაბაში, მამის ხალათში, ან რომელიმე დეიდა გაახვევდა თავის ძველმანში, რომ ჩემი თავი უყვარდესო. ბავშვი ხოჩიჩში სამ დღეს რჩება. სამი დღის შემდეგ გამოაცხობდნენ კეცის პურს; ბავშვს აკვანში ჩააწვენდნენ, პურს აკვანზე სამჯერ დააკარებდნენ და მესამეზე გადატეხდნენ. ეს უნდა გაეკეთებინა დედამისი პირველ და დედ-მამიან

ახალგაზრდა გოგოს. ძიობის დროს დედა, თუ თავს კარგად გრძნობს, შეიძლება ფეხზე იყოს, შეიძლება იწვეს კიდეც“. მამსადამე, ძეობა აკვანში პირველი ჩაწვევის მომენტს უკავშირდება. ამასთან ერთად რამდენიმე სიტყვით აღვნიშნავთ აჭარაში გავრცელებულ ე. წ. „აკვნის მიტანის“ წესს.

როცა ოჯახში ბავშვი დაიბადებოდა და ქალის მშობლები ამ ამბავს შეიტყობდნენ, ისინი დაიწყებდნენ სამზადის ბადიშის „სანახავად“. ქალის მშობლები ვალდებული იყვნენ თან მიეტანათ ახალი აკვანი. ისინიც დაპატიჟებდნენ ახლობლებს, უმეტესად ქალებს და მიდიოდნენ აკვნით ახალშობილის სანახავად. ნახვის მომენტში წვეულებს ბავშვისათვის საჩუქრები (ფული, ტანისამოსი და სხვ.) უნდა მიერთმიათ. აკვნის წაღება კი უმეტესად შვიდი ან ათი დღის შემდეგ ხდებოდა. ამ წესს შედარებით შეძლებული ოჯახები ასრულებდნენ და მხოლოდ პირველი ბავშვის შემთხვევაში. შემდეგ დაბადებული ბავშვები კი ამ აკვანში იზრდებოდნენ. თუ ქალის მამისეული ოჯახი აკვნის მიტანას აპირებდა, ახალშობილის მშობლები ძეობას ხშირად ამ მომენტს უკავშირებდნენ და ამიტომ იგი ზოგჯერ მოგვიანებით ტარდებოდა.

ქართულ საძეობო ლექსში „მზე შინა“, რომელიც ცხადია, საერთოდ ისევე ძველია, როგორც სიმღერის მელოდია და თვით ჩვე-

ულება, აკვანი ახალშობილის მამას მოაქვს სახლში:

„ვაყის მამა შინ არ არის,
მზე, შინ შემოდის.

შინ არ არის, ქალაქს არის,
მზე, შინ შემოდის,

აკვნის საყილად წასულა,
მზე, შინ შემოდის.

უყიდნია, წამოსულა,
მზე, შინ შემოდის,

შინაც მშვიდობით მოსულა,
მზე, შინ შემოდის“.

საფიქრებელია, რომ აკვნის საყილად ქალაქში წასვლა მოგვიანო პერიოდის დანამატი. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქალის მამისეული ოჯახის მიერ „აკვნის მიტანის“ აჭარაში შემორჩენილი ჩვეულება იმ დროის გადმონაშთი იყოს, როცა შთამომავლობა ოჯახში დედისეულ გვარს აგრძელებდა და ამიტომ ახალშობილისათვის ზრუნვა ამ გვარის მოვალეობას შეადგენდა.

ძირითადად ძეობა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იმართებოდა მესამე დღეს, დღისით. ბავშვის მშობლები დაიწვევდნენ მეზობლებსა და ნათესავებს — ქალებს და კაცებსაც, ოღონდ თავისიანებს, „მისიანებს“, როგორც აჭარაში ამბობენ. ძეობის საპატიო სტუმრები იყვნენ ხალხური მუსიკოსები, უპირატესად მეჭიბონეები. იკვლებოდა საკლავი, მზადდებოდა სანიმუშო კერძები, როგორც ქორწილში, და იმართებოდა ლხინი და შექცევა.

ძეობის აუცილებელი ელემენტი იყო ცეკვა-სიმღერა. წინასწარ უნდა შევნიშნოთ, რომ აჭარაში

ჯერჯერობით ვერ მივაკვლიეთ „მზე შინას“ უბრალო ფრაგმენტსაც კი. საერთოდ, აჭარული ძეობის რიტუალურ მხარეში ძირითადად ქალები მონაწილეობდნენ. რაც შეეხება ცეკვა-სიმღერას და მასთან დაკავშირებულ ზოგიერთ ჩვეულებას, აქ ქალთა და მამაკაცთა როლი შედარებით თანაბარი იყო, მით უმეტეს, რომ ძეობაში მონაწილე მამაკაცები „მისიანები“, ე. ი. ახლო ნათესავები იყვნენ.

„თუ ქალებს შეეძლოთ, იმღერებდნენ ძიობის დროს, შეიძლებოდა დამკვრელებიც (მესაკრავენი) მოეწვიათ და ემხიარულებიათ. ცალკე რომ რაიმე სიმღერა იყოს ბავშვის დაბადებაზე, ასეთი არ ვიცი“, გვეუბნება 68 წლის მერისელი (ქედის რაიონი) უსუფ მემედის-ძე ბეჟანიძე. ამ ცნობის მიხედვით, სიმღერების შემსრულებლად ქალები გვევლინებიან, მაგრამ ყველას როდი შეეძლო ძეობის სარიტუალო ცეკვა-სიმღერა.

„ძიობაზე ქალებმა იცოდნენ ცეკვა „ფათიკო“ და „ნაი-ნაი ნინაინა“. „ფათიკოს“ ორი ქალი იცეკვებდა წყვილ-წყვილად. „ნაი-ნაი ნინაინას“ ქალების „ხოროსაც ვუძახდით“ (ემინე აბდულის ასული კახიძე, ბათუმის რაიონი, ჩხუტუნეთი).

„ფათიკო“ („ფადიკო“) პერიკაობის აჭარული ნაირსახეობა და მუსიკალურ მელოდიაზე შესასრულებელი ცეკვაა, რომელსაც ქალებიცა და კაცებიც ასრულებდნენ. მიუხედავად უძველესი წა-

რმოშობისა და განსხვავებული ფუნქციისა, იგი ბოლო დროს აჭარაში საქორწილო რიტუალს დაუკავშირდა.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს საფერხულო სიმღერა „ნაინა ნინაინა“. პირველად იგი მამაკაცთა სამხმანი გუნდის შესრულებით ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფოლკლორულმა ექსპედიციამ ჩაიწერა 1958 წელს ქედაში. 1958 წელსვე იგივე სიმღერა კვლავ მამაკაცთა სამხმანი გუნდის შესრულებით ჩვენ ჩავიწერეთ ბათუმის რაიონის სოფ. ქედედში, ხოლო ჩვენვე მოვახდინეთ მისი ფიჭსაცია 1964 წელს ბათუმის რაიონის სოფელ ჩხუტუნეთში ქალთა ერთხმანი გუნდის შესრულებით. ორივე უკანასკნელი ნოტებზეც გვაქვს გადატანილი.

ქალები ამ საფერხულოს მხოლოდ ერთ ხმაში მღერიან. მთქმელების სიტყვით, სამხმანად არამც თუ ამ სიმღერას, ქალები საერთოდ არც ერთ სიმღერას არ ასრულებენ. ზოგჯერ თუ ყოჩალი ქალები გამოერეოდნენ, შეიძლება ბანი ეთქვათ. ძნელია იმის დადგენა, ეს საერთო წესი იყო, თუ ქალები მამაკაცებს ბაძავდნენ. ფაქტი ერთია, რომ მრავალხმანობა აჭარელ ქალთა რეპერტუარში ძალიან ძნელი მისაკვლევაა.

ჩვენ მიერ ჩაწერილი და გაშიფრული საფერხულოები სამწილადი (6/8 გრძლიობის) ზომისაა. მელოდია ძალიან მარტივი და ადვილად დასამახსოვრებელია. ორი-

ვე სიმღერის მელოდია ფაქტურად ერთი და იგივეა. მათი ზონი წმინდა კვარტის ფარგლებს არ სცილდება.

ქალთა ერთხმანი ფერხული იწყება დო-მიქსოლიდიური კილოს-ტონიკაში და მეორე ტაქტის დასაწყისში აკეთებს ნახტომს კვარტით ზევით. მელოდიის შემდგომი მსვლელობა კი დადმაჟალა და ყოველ ახალ საფეხურზე გადასვლა სეკუნდის ინტერვალს არ სცილდება. მუხლის ბოლოს კილოს მეორე საფეხურიდან მელოდია კვლავ ტონიკაში გადადის. შემდეგ მუხლებშიც პირველი მუხლის ანალოგიური სურათი მეორდება ოდნავი ვარირებით. მთელი სიმღერა სულ ოთხი ტაქტისაგან შედგება. ფერხულის დაწყებისას მთქმელი. ერთ მუხლს და მოუკიდებლად მღერის, მეორე მუხლის დასაწყის ორ ტაქტს გუნდი ასრულებს, ხოლო ბოლო ორს კვლავ მთქმელი და ა. შ.

ანალოგიურია მელოდიის მოძრაობა მამაკაცთა მიერ შესრულებულ ფერხულშიც, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ დაამთავრებს თუ არა მთქმელი დასაწყის მუხლს, არც თვითონ და არც დანარჩენი ხმები ფერხულის დამთავრებამდე სიმღერიდან არ ითიშება. სიმღერის ბოლო ორ ტაქტს ბანი და მოძახილი კრინში მღერიან, რომ მთქმელის სიტყვები არ დაფარონ და მსმენელისათვის მკაფიო მოსასმენი იყოს.

ბანის დასაწყისი ორი ტაქტი ბურღონულ ბანის პრინციპზეა

დამყარებული და ტონიკაში ბგერს, შემდეგ კი იწყებს დაღმა სვლას, აღწევს კვარტის ინტერვალს და კვლავ ზევით მიემართება. მუხლის ბოლო მეშვიდე საფეხურიდან ახალი მუხლის დაწყებისას კვლავ ტონიკას უბრუნდება. ნახტომი ბანის პარტიაში (დაღმა სვლისას) ტერციას არ აღემატება.

მოძახილი დასაწყის ტაქტში თქმასთან ჯერ კვინტურ, შემდეგ სექსტურ და კვარტულ შეფარდებაშია, ხოლო ამის შემდეგ ორი ზედა ხმის შეფარდება ტერციულია. მოძახილის მოძრაობაში ნახტომები არ შეინიშნება.

აჭარაში გავრცელებული საძეობო ფერხულები ძალიან ღარიბია პოეტური ტექსტებით. საერთოდ, ფერხულებს ტექსტები ახლავს, მაგრამ ისინი უფრო სატრფიალო ხასიათის მქონეა, ვიდრე ჩვეულებრივი ფერხულის სიტყვიერი ტექსტი.

ყურადღებას იქცევს ჩვენს მიერ ჩაწერილი ფრაგმენტი სააკუნო სიმღერების ციკლიდან:

„ეს აკვანი ხარატული,
შით ბიჭია დახატული“.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძეობას აჭარაში აკვანში პირველი ჩაწვენის დროს გამართავდნენ ხოლმე. ამიტომ „ნანას“ ციკლის ლექსის გამოყენება საძეობო ფერხულში სრულებითაც არ უნდა ჩაითვალოს შემთხვევით მოვლენად. ესეც რომ არ იყოს, პროფ. მ. ჩიქოვანის სიტყვით, „ადრე მრავალი აკვნის სიმღერა საძეოდ ყოფილა გამოყენებული“.

დასასრულ საჭიროდ ვთვლით, დავსვათ საკითხი ჩვენს მიერ ჩაწერილი საფერხულო სიმღერების სახელწოდებათა შესახებ. ტერმინი „ფერხული“, ზემო აჭარაში მაინც, იშვიათად გვხვდება. ყოველნაირ გუნდურ ცეკვას აჭარაში „ხორუმს“ უწოდებენ, იქნება ის ადგილობრივ-ქართული თუ უცხო წარმოშობისა. ეს იმით უნდა ავხსნათ, რომ ძველი ქართული მეომრული ცეკვა, მუსიკალური თვალსაზრისით ხუთწილად ზომანზე აგებული „ხორუმი“ ძველითგანვე არნახული პოპულარობით სარგებლობს აჭარაში. მისი გავლენით ყოველნაირ საფერხულო ცეკვას დღეს ხშირად „ხორუმის“ სახელით ნათლავენ.*

აჭარული საძეობო ფერხულების მელოდია მსგავსებას ამჟღავნებს დღეს უკვე სხვა ქანრებად გაგებული ზოგიერთი სიმღერის მელოდიასთან, კერძოდ, „იავნანას“ და „მზე შინას“ მელოდიებთან.

„ნაი-ნაი ნინაინასთან“ მელოდიურად ახლოს დგას აჭარაში, კერძოდ, ქედის რაიონში შემორჩენილი „ჩაღმა ჩაყრილო ვენახოს“ ე. წ. ახალი ვარიანტი. მელოდიური მსგავსება განსაკუთრებით თვალსაჩინოა ორივე სიმღერის მუხლის მეორე ნაწილში.

* მხედველობაში მაქვს აჭარაში გავრცელებული ლაზური ფერხულის სახეობა და არა ნამდვილი, ხუთწილადი ხორუმი (ასრულებენ გონიო-სარფში მცხოვრები ლაზები), რომელიც თითქმის არაფრით განსხვავდება აჭარული ხუთწილადი ხორუმისაგან.

„ჩაღმა ჩაყრილო ვენახოს“ მუ-
ხლის პირველი ნახევარი, დასა-
წყისი ტაქტის გარდა, იდენტუ-
რია „იავ-ნანას“ მელოდიისა.
ეს მოსაზრება ჩვენ ადრეც გამოვ-
თქვით „აჭარის ხალხური შრომის
ლექსებისა და სიმღერების ზო-
გიერთ საკითხში“ და „ჩაღმა ჩა-
ყრილოს“ ახალი ვარიანტი შეც-
დომით უახლეს მოვლენად მი-
ვიჩნიეთ აჭარულ ხალხურ მუსი-
კაში.

აშკარაა „იავ-ნანას“ მელოდიის
მსგავსება „მზე შინას“ მელოდი-
ასთან, რასაც პროფ. შ. ასლანი-
შვილი ნაშრომში „იავ-ნანას მე-
ლოდია და მისი ადგილი ქართულ
მუსიკალურ ფოლკლორში“ რა-
ტომდაც არ აღნიშნავს.

ჩვენ მიერ მოტანილი ყველა ნი-
მუში სამწილადი ზომისაა. „ჩაღ-
მა ჩაყრილო ვენახოს“ შედარებით
დინჯი და ჰიმნისებურია. მე-
ლოდიის მოძრაობა ყველგან აღ-
მაჯალი მიმართულებისაა. ყველა-
ზე მცირე დიაპაზონი — წმინდა
კვარტა — „ნაი-ნაის“ ახასიათებს.
„ჩაღმა ჩაყრილოსა“ და „იავ-ნა-
ნას“ დიაპაზონი წმინდა კვარტაა,
ხოლო „მზე შინას“ დიაპაზონი
პატარა სექსტამდეა გაზრდილი.

საგულისხმოა ისიც, რომ მო-
ტანილ ნიმუშებში მსგავსია სიმ-

ღერის ფრაზაც: „ნაი-ნაი ნინანა-
და ნანი და ნა ნინაა“ — „ნაი-ნაი-
ში“, „ნაინანინა ნანინა“ — „ჩაღ-
მა ჩაყრილოში“, „იავ-ნანა, ვარ-
დო ნანა“ — „იავ-ნანაში“. აქ-
ვე შევნიშნავთ, რომ „ჩაღმა ჩაყ-
რილოს“ პოეტური ტექსტი გვი-
ანდელი მოვლენაა და „იავ-ნანას“
ტიპის უძველეს მელოდიას ვენა-
ხის კულტურასთან დაკავშირებუ-
ლი ლექსი გაცილებით გვიან, აჭა-
რიდან თურქების განდევნის შე-
მდეგ მიეთვისა.

აჭარაში გავრცელებული სა-
ძეობო ფერხულის „ნაი-ნაი ნი-
ნაინას“ დასაწყის სიტყვაში, ჩვე-
ნი აზრით, ნანა უნდა ვიგულის-
ხმოთ. ხმოვნების შემდეგ ი ხმო-
ვნის ჩართვა და შემდეგ დიფთონ-
გად ქცევა ქართული სიმღე-
რებისათვის სრულებითაც არ არის
უცხო. და თუ სწორია ის მოსა-
ზრება, რომ აჭარულ საძეობო ფე-
რხულებში (აგრეთვე იმ სიმღერე-
ბში, რომელთა სიტყვიერი ტექს-
ტი დღეს სულ სხვა ჟანრისაა, მა-
გრამ წარმოშობით ისინიც საფე-
რხულოთა ციკლს ეკუთვნოდნენ)
ნანა იგულისხმება, მაშინ მისამღე-
რი ტექსტის „ნანაში“ საგულვე-
ბელია ქართველთა უძველესი
ქალღმერთი დიდი დედა ნანა, რო-
მელიც ნაყოფიერების, შვილიე-
რებისა და მზის ქალღვთაება იყო.





ბეჭდისა და
 ი. ვ. ბ. მ. ჯ. ი.

აზიზ ნესინი

მიზოქეთ, რასაც ინებებთ

ოთხი წელია ტაქსიში არ მჯდარა, დღეს კი ერთობ საჭიროდ მიიჩნია. რადგან საცოლე ახლდა.

პარკის წინ ავტოები იდგა. ყველაზე ძველი ამოიღეს ნიშანში. მძღოლების ბუნება მშვენივრად იცოდნენ. რამდენადაც ახალია ავტო, იმდენად დიდგულობენ. მანქანის პატრონი ხანდაზმული აღმოჩნდა. გაეხარდათ, გამოცდილი მძღოლი სულ სხვააო. ჩასხდნენ... მძღოლმა მრიცხველი ჩართო, ციფრები წამდაუწუმ მატულობდა: 60, 65, 75, 95...

— მშვენიერი დღეა, არა? — თქვა ქალმა.

— დიახ... თქვენ წარმოიდგინეთ...

105, 110, 120... ტიკ-ტაკ, ტიკ-ტაკ, ტიკ-ტაკ... არ ცხრებოდა მრიცხველი, რომელსაც ვაყის მთელი ყურადღება მიეპყრო.

— თქვენ უგუნებოდ ხომ არ ხართ? — იკითხა ქალმა.

— ო, არა, გეთაყვა, ღმერთმანი, არა...

ტიკ-ტაკ, ტიკ-ტაკ, ტიკ...

— თითქოს მოწყენილიც ჩანხართ!

— ვითომ?! ჰი, ჰი, ჰი, ჰი, რას ბრძანებთ, პირიქით, მშვენიერ ხასიათზე გახლავართ. ჰი, ჰი, ჰი...

355, 360, ტიკ-ტაკ, ტიკ-ტაკ. „ეყოფაო“, გულში გაივლო ვაჟმა და „ჩამოგვსვითო“, სთხოვა მძღოლს.

მანქანა გაჩერდა, ვაჟს საყვარელი არსებისაკენ არც კი მიუხედავს, ისე მიაყურადა მრიცხველს, რომელიც 395 ყურთუშ* უჩვენებდა. ვაჟმა თავისთვის ანგარიში დაიწყო — ოთხ ლირად ვიგულისხმეთ. იყოს ორჯერ მეტი, ე. ი. რვა ლირა. თუ ქალი გახლავს, მაშინ მით უფრო მეტია საჭირო, არა? ჯანი გავარდეს! ათ ლირას მივცემ, დაასკვნა და მძღოლს თავაზიანად ჰკითხა:

* ყურთუში — წვრილი ფული.

— რამდენი მოგართვათ, ბატონო?

— თქვენ რასაც ინებებთ, ჩემო ბატონო.

— ასე როგორ შეიძლება?!

— ბატონო, აქ არაფერია სალაპარაკო. მომეცით, რასაც ინებებთ.

— ო, ასე არა, ვიცი, მეტს არ ინებებთ, მაგრამ არც მინდა გაწყენინოთ.

— ბატონო, მომეცით, თუნდაც ნაკლები იყოს, რა საანგარიშოა.

— ღმერთმანი, მითხარით რა, იქნებ, მე მეტი მეგონოს და თქვენ კი ცოტად მიიჩნიოთ.

— როგორ გეკადრებათ, რასაც ინებებთ, ყაბულსა ვარ.

ვაჟმა გაიფიქრა, რა კარგია, რომ არსებობენ ქვეყნად ესოდენ კარგი და სათნო ადამიანები. ათი ლირა ცოტა არ იქნება, ვგონებ, აქამდე ექვსნახევარიც კი არ ღირს.

— ჩემო ძმაო! — მიმართა ისევ, — მითხარით, რა მოგცეთ, გენაცვა. ზომ ხედავთ, როგორ ვწუხვარ.

— სულაც ნუ წუხნართ, ბეი-ეფენდი! განა ამას გაკადრებთ, მეტი მერგებოდა და ცოტა მომცა-მეთქი?! ხარბი გულის არ გახლავართ; ღვთის წყალობით, რასაც გამოიმეტებთ, მაღლობელი ვიქნები.

— მაინც საიდან გავიგო რა მოგართვა?

— გაგებული ადამიანი ბრძანდებით, ბეი, ნახეთ რამდენი გზა გამოვიარეთ... მომეცით, რასაც ინებებთ.

ვაჟმა საფუღე ამოიღო, ათ ლირა რას დახედა, ერთობ მეტად არ მოეწონა. მივიდესო, გაივლო გულში კიდევ. თუმცა „რასაც ინებებთ“, თავაზობდა მძლოლი. ორნახევარი ყურუში მაინც დაუმატა, ქალიშვილთან თავის გამოჩენა ხომ იყო საჭირო, მით უფრო, რომ გუმანში საცოლედ თვლიდა.

„ინებეთო“, მძლოლს ფული გაუწოდა.

მძლოლმა მუტში ფული ააბრუნ-ჩააბრუნა და „ეს რააო“. დაიყვირა.

— თორმეტი ლირა.

— თქვენ ზომ არ გაგაჩვენებთ ხარო, ბეი! დღევანდელ დროში ეს ვის...

ქალიშვილი წამოეშველათ:

— ორი ღლის წინ შეიძინახევრად მოგვიყვანეს.

აღშფოთებულმა მძლოლმა ფული ახალგაზრდა კაცს სახეში მიაცარა:

— ამით ყავა დალიე! ეს რას გაგს, უსირცხვილო ყოფილხარო და მეტი არაფერი!

ვაჟმა ორი ლირა კიდევ დაუმატა.

შეურაცხყოფილი მძლოლი მთელი ხმით გაჰყვიროდა:

— რაო, მოწყალებას იღებთ? არ ვსაჭიროებ. ეფენდი, რატომ არ გრცხვენიათ? პატივი დაგდეთ, კაცად ჩაგაგდეთ, რასაც ინებებთ-მეთქი გთხოვეთ, მაგრამ სად არის შეგნება?

შეცბუნებული ვაჟი მზად იყო მთელი საფუღე მიეცა, ოღონდ მძლოლი გაეჩუმებინა, ქალიშვილ-

თან თავი მოეჭრა. ხუთი ლირა კიდევ დაუმატა.

მძლოლი ისევ ილანძღებოდა:

— ქალიშვილიც რომ ვითომ გვერდით მიუსვამს და თავი კაცი ჰგონია! რასაც ინებებთ-მეთქი, მიეჭარე, და ეგონა მოწყალებას ვთხოვდი მე, ჩემო ბატონო, გასამრჯელოს მოვითხოვ... გასამრჯელოს.

ვაჟს შეეშინა. მძლოლმა რომ მანქანა წაიყვანოს, ქვაფენილზე დაყრილი ფულის აკრეფას ხომ არ შეეუღლებიო, ისიც გოგონას წინაშე.

თავის მოჭრა ამაზე მეტი რაღა უნდა ყოფილიყო...

ხუთი ლირა ისევ დაუმატა, ძირს დაყრილი ფული აკრიფა და მძლოლს მუჭში ჩაუდო.

გაჯავრებულმა მძლოლმა ფული ისევ ჩაბლუჯა, რომ ვაჟისათვის არც კი მიუხედავს. თუმცა მანქანა დასძრა, მაგრამ მაინც ილანძღებოდა:

— დამნაშავე მე გახლავართ, შენისთანები არც უნდა ჩაისვას კაცმა. აქოლდა, რასაც ინებებთ-მეთ-

ქი, დავაფასე, პატივი დავდე. ბიჭოს, ამას შეხედდეთ ერთი, დაწინა-
ლვა არ მომინდომა?! თუ არა,
ღირსება ვის, შენ ვინ!

ახალგაზრდები საზაფხულო კაფისაკენ გაეშურნენ.

ვაჟი საშინელ ხასიათზე იყო. თავს მიწასთან გასწორებულად თვლიდა. მძლოლის უშვერი სიტყვები გონებიდან არ ამოუდიოდა. ნეტავ უფრო მეტი მიეცა. მიეცა იმდენი, რაც მძლოლს გუნებაში ჰქონდა.

რატომ ვერ მიუხვდა?!

ჭალმა ჰკითხა:

— რა მშვენიერი ბუნებაა, არა?!

— რაო? — იკითხა ვაჟმა.

— რა კარგი ბუნებაა-მეთქი!

— გუნებაში რაცა გაქვს, თქვი!

— ვერ გავიგე?!


— რამდენი მოგცე?

—

ქალი უსიტყვოდ ზეზე წამოიჭრა და თავქვე დაეშვა.

ასე დამთავრდა მათ შორის ყველაფერი.

თურქულიდან თარგმნა ნანა გვარამაძემ.



ხელმოწერილია დასაბეჭდად 4/X, 1965 წ. საბეჭდი 6, საგამომცემლო 5 თაბახ
შეკვეთის № 6531, ემ 00605, ქალაქის ზომა 60X90, ტირაჟი 1600.

* * *

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტის
მთავარბიბლიოგრაფსამმართველოს ბათუმის სტამბა № 9 (ლუქსემბურგის, 22).

შანი 40 333.

6 7/272

საქართველო
ბიბლიოთეკა

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„Литератури Аджара“

ОРГАН АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ
СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ
ИНДЕКС 76118